



საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია
GEORGIAN OIL & GAS CORPORATION

2020 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

ზოგადი ინფორმაცია ჯგუფის შესახებ.....	3
ჯგუფის ადგილი ენერგორესურსების ბაზარზე	5
ჯგუფის საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები	7
ჯგუფის შემოსავლები/ხარჯები საქმიანობის მიმართულებების მიხედვით	12
ჯგუფის განვითარების გეგმები	15
საინვესტიციო საქმიანობა	17
ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები	22
ინფორმაცია კორპორაციის მიერ გაცემული დივიდენდების შესახებ	24
კორპორატიული მართვა. კორპორაციის მმართველობითი ორგანოები	24
კორპორაციის შიდა კონტროლის სისტემა.....	25
გარემოს დაცვა.....	26
კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა	26

ზოგადი ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია (შემდგომში „კორპორაცია“) დაარსდა 2006 წლის 21 მარტს, როგორც სახელმწიფოს 100%-იან საკუთრებაში მყოფი საწარმო, საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული შემდეგი სამი კომპანიის ბაზაზე: სს საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია, სს საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია და სს თელეთის ნავთობის კომპანია.

„კორპორაციას“ დაფუძნებული აქვს შვილობილი კომპანიები შპს გარდაბნის თბოსადგური, შპს გარდაბნის თბოსადგური 2, GOGC Trading S.A, შპს საქართველოს გაზსაცავის კომპანია, შპს გარდაბნის თბოსადგური 3, შპს საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის ოპერატორი (შემდგომში „ჯგუფი“) და აგრეთვე აქვს წილები ენერგოსექტორში მომუშავე სხვადასხვა კომპანიებში, რომელთა მეშვეობითაც ის ახორციელებს სტრატეგიულად მნიშვნელოვან პროექტებს და აფართოებს საქმიანობის მიმართულებებს.

„ჯგუფი“ არის დივერსიფიცირებული კომპანიების ერთობლიობა, ბიზნესსაქმიანობით ენერგეტიკის სხვადასხვა სეგმენტში. „ჯგუფის“ საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: გაზის შეუფერხებელი მიწოდების უზრუნველყოფა ქვეყნის ე.წ. „სოციალური“ სექტორისათვის, მაგისტრალური გაზსადენების რეაბილიტაცია-განვითარების სამუშაოების წარმოება, თბოელექტროენერგიის გენერაციის სექტორის განვითარება და ხელშეწყობა, კუთვნილ და იჯარით გაცემულ ნავთობსადენებთან დაკავშირებული საკითხები, პროდუქციის წილობრივი განაწილების (პწგ) კონტრაქტების საფუძველზე მიღებული სახელმწიფოს წილი ნავთობისა და გაზის კაპიტალიზაცია და სხვა. „კორპორაციას“ მინიჭებული აქვს ნავთობის ეროვნული კომპანიის სტატუსი. იგი სახელმწიფოს ინტერესების დამცველია ინვესტირებთან გაფორმებულ პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებებში.

2019 წლის 27 დეკემბერს ძალაში შევიდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ახალი კანონი (შემდგომში „კანონი“). „კანონი“ მოითხოვს გარკვეული წესების დანერგვას, ისეთის როგორიცაა ელექტროენერგიის ბაზრის კონცეპცია („ბგკ“) და ბუნებრივი გაზის ბაზრის კონცეპცია („ბგპ“) და ინსტიტუციონალურ განვითარებას ამ კუთხით. კონცეპციების დანერგვა მიჰყვება „კანონით“ განსაზღვრულ გარკვეულ განრიგს, რომლის მიხედვით აღნიშნულ ცვლილებებს არ ექნება მყისიერი გავლენა საქართველოს ელექტროენერგიის და ბუნებრივი გაზის ბაზარზე და მის მონაწილეებზე („ჯგუფის“ ჩათვლით).

განკარგულებები/დადგენილებები, რომელიც საჭიროა „ბგპ“-ის დანერგვისთვის მთავრობაზე დასამტკიცებლად გატანილ იქნება არაუადრეს 2021 წლის დეკემბრისა. შესაბამისად, „კორპორაციის“ გადმოსახედიდან, „კანონს“ არ ექნება „კორპორაციის“ ოპერაციებზე გავლენა 2022 წლის დასაწყისამდე.

გაზის ოპერაციები

მენეჯმენტის გადმოსახედიდან, „კანონს“ არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა „კორპორაციის“ გაზის ოპერაციებზე 2021 წლის შემდეგაც, რადგან ის ოპერირებს ძირითადად საბითუმო ბაზარზე და მისი ოპერაციები შეზღუდულია ბუნებრივი გაზის მიწოდების კუთხით (იმპორტი და შემდგომი რეალიზაცია).

ბგპ-ს მიხედვით, „კორპორაცია“ ბაზრის სხვა მონაწილეებთან ერთად ვალდებული იქნება ბუნებრივი გაზის გარკვეული მოცულობის რეალიზაცია მოახდინოს ორგანიზებულ საბითუმო ბაზარზე, რომელსაც ოპერირებას გაუწევს ე.წ. ბაზრის ოპერატორი, საბაზრო ფასად, რაც იქნება მომგებიანი „კორპორაციისთვის“. აღსანიშნავია, რომ ბაზრის ოპერატორის ფუნქციებს შეითავსებს სპეციალურად შექმნილი კომპანია, რომელიც დაფუძნებული იქნება „კორპორაციისა“ და შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის მონაწილეობით. გარდა ამისა, ბგპ-ს პროექტი არ უზღუდავს ბაზრის მონაწილეებს („კორპორაციის“ ჩათვლით) ბუნებრივი გაზის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების წარმოებას ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე.

აგრეთვე, „კანონის“ მიხედვით ოფციური და დამატებითი გაზის (აზერბაიჯანული გაზის მოცულობები, რომლის ყიდვის უფლება „კორპორაციას“ აქვს საქართველოში ბუნებრივ გაზზე დადგენილ, სოციალურ ფასზე ნაკლებ ფასად) ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები ხვდება „კანონის“ გამონაკლისებში.

საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემა

2021 წლის 25 მარტის #129 „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორის განცალკევების გეგმის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების მიხედვით შერჩეულ იქნა დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორის მოდელი. აღნიშნული მოდელის მიხედვით „კორპორაცია“ დარჩება საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ირიბი მესაკუთრე. საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემა გადაეცემა „კორპორაციის“ შვილობილ კომპანიას (100%-იანი წილი მფლობელი იქნება „კორპორაცია“), რომელიც ჩაენაცვლება „კორპორაციას“ შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირებასთან გაფორმებულ მილსადენების იჯარის ხელშეკრულებაში.

განცალკევებას არ ექნება ეფექტი „ჯგუფის“ ოპერაციებზე (ჯგუფის დონეზე), რადგან როგორც ადრე აღინიშნა, კომპანია, რომელსაც გადაეცემა საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემა იქნება „კორპორაციის“ 100%-იანი შვილობილი კომპანია.

ელექტროენერგიასთან დაკავშირებული ოპერაციები

„კორპორაციის“ მენეჯმენტის შეფასებით შპს გარდაბნის თბოსადგურის და შპს გარდაბნის თბოსადგური 2-ის ოპერაციებზე და ფინანსურ შედეგებზე „კანონს“ გავლენა არ ექნება, რადგან ორივე შვილობილის ოპერაციები რეგულირდება იმპლემენტაციის ხელშეკრულებით, რომელიც გაფორმებულია „კორპორაციას“, ამ შვილობილების, საქართველოს მთავრობასა და სს ელექტროენერგიის სისტემის კომერციულ ოპერატორს შორის და აგრეთვე რეგულირდება, ამ უკანასკნელთან გაფორმებული, გარანტირებული სიმძლავრის შესყიდვის ხელშეკრულებით.

„ებკ“, რომელიც დამტკიცდა 2020 წლის 16 აპრილს საქართველოს მთავრობის #246 განკარგულებით, ელექტროენერგიის მწარმოებლებს, რომლებიც არიან გარანტირებული სიმძლავრის შესყიდვის ხელშეკრულების (PPAs) მხარეები, აძლევს საშუალებას გაყიდონ ელექტროენერგია ბითუმად პირდაპირ ენერგეტიკული ბაზრის ოპერატორზე (ესკო), რომელიც შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, მათ შორის ელექტროენერგიის შესყიდვას PPA ხელშეკრულების ფარგლებში, ან ორგანიზებულ ბაზარზე (სავაჭრო პლატფორმა, რომელსაც ოპერირებას გაუწევს ელექტროენერგიის ბაზრის ოპერატორი).

„ებკ“-ს თანახმად, ორგანიზებულ ბაზრებში ელექტროენერგიის მწარმოებლების ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების საფუძველზე, შესაძლებელია გაფორმდეს შეთანხმებები საზოგადოებრივი სერვისების საბითუმო მომწოდებელ ორგანიზაციასთან, რომლებიც უზრუნველყოფს საბაზრო ფასსა და PPA-ის მიხედვით დადგენილ ფასს შორის უარყოფითი სხვაობის კომპენსაციას, ან სხვა დამხმარე ღონისძიების განხორციელებას.

შპს გარდაბნის თბოსადგურისთვის მინიჭებული გარანტირებული სიმძლავრის წყაროს სტატუსი, შესაბამისი იმპლემენტაციის ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონის შესაბამისად, „ებკ“-ს ფარგლებში განხილულია როგორც საზოგადოებრივი მომსახურების ვალდებულება, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის და ენერგეტიკის ეროვნული საბჭოსთან კონსულტაციის შემდეგ. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული სტატუსი გარანტირებულია საქართველოს მთავრობის მიერ იმპლემენტაციის ხელშეკრულების საფუძველზე.


შესაბამისად, მოსალოდნელი არ არის, რომ „ებკ“ და სხვა დადგენილებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის განხორციელებას, გავლენას მოახდენს შპს გარდაბნის თბოსადგურისა და შპს გარდაბნის თბოსადგური 2-ის საქმიანობაზე.

2020 წლისთვის სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის 100%-იანი წილის მფლობელი არის სს საპარტნიორო ფონდი, რომელიც თავის მხრივ დაფუძნებულია სახელმწიფოს მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მართვას ახორციელებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

„ჯგუფის“ სტრუქტურა, ანგარიშის მომზადების მომენტისთვის, იხილეთ ქვემოთ ცხრილში

სნგკ ჯგუფის სტრუქტურა




ჯგუფის ადგილი ენერგორესურსების ბაზარზე

„ჯგუფი“ საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების სისტემის მფლობელი და გაზის ძირითადი მიმწოდებელია ბაზრის „სოციალური“ სეგმენტისათვის, წამყვან როლს ასრულებს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფაში, ენერგეტიკული ბაზრის, ნავთობისა და გაზის, აგრეთვე ენერგოგენერაციის სექტორებში.

„ჯგუფი“ სარგებლობს რა ქვეყნის სტრატეგიული მდებარეობით, ხელს უწყობს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ტრანსსასაზღვრო ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების სისტემების შეუფერხებელ ფუნქციონირებას და მხარს უჭერს ახალი სატრანსპორტო მარშრუტების განვითარებას კასპიისა და ცენტრალური აზიის პოტენციალის სრული ათვისებისთვის.

„კორპორაცია“ აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო პროექტებსა და ბიზნეს ურთიერთობებში, გადამწყვეტ როლს თამაშობს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სამთავრობო ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში. მისი სტრატეგიული და ძირითადი ბიზნეს პარტნიორები არიან: SOCAR, BP, BOTAS, ROMGAZ, MVM, PERN, UkrTransnafta, ArmGazprom, GAZPROM, TCC, GEOSTOCK, RAMBOLL, USAID, MCC, KfW, ADB, EBRD, SINOSURE და სხვა.

ჯგუფის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები



„ჯგუფი“ ოპერირებს სამი ძირითადი მიმართულებით:

- 1) **გაზის მიწოდება.** „კორპორაცია“ აზერბაიჯანული პარტნიორი კომპანია SOCAR-ის მეშვეობით (ძირითადი მომწოდებელი) ახორციელებს გაზის შესყიდვას და რეალიზაციას შიდა საბითუმო, სოციალური სექტორისთვის, აგრეთვე ადგილობრივად მოპოვებული გაზის გაყიდვას იგივე პარტნიორი კომპანიის დახმარებით.
„კორპორაცია“ აგრეთვე ახორციელებდა კომერციული გაზის შესყიდვას კომპანია GAZPROM EXPORT LLC-ისგან 2020 წლის მაისის ჩათვლით, ხოლო 2020 წლის ივნისიდან „კორპორაცია“ ახორციელებს კომერციული სექტორისთვის სარეალიზაციოდ განკუთვნილი გაზის შესყიდვას კომპანია GAZPROM Schweiz AG-ისგან.
- 2) **ელექტროენერგიის წარმოება და რეალიზაცია.** „კორპორაციის“ შვილობილი კომპანიების შპს გარდაბნის თბოსადგურის და შპს გარდაბნის თბოსადგური 2-ის (ექსპლუატაციაში შევიდა და ელექტროენერგიის გამომუშავება დაიწყო 2020 წლის მარტში) მეშვეობით ხორციელდება ქ. გარდაბანში არსებული თბოელექტროსადგურების მიერ ელექტროენერგიის წარმოება და საბითუმო რეალიზაცია საქართველოს ენერგობაზარზე მოქმედ ელექტროენერგიის დისტრიბუტორებზე, მათ შორის ისეთ კომპანიებზე როგორიცაა სს თელასი, სს ენერგო-პრო ჯორჯია, სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი და სხვა.
- 3) **ნავთობსადენების და გაზსადენების იჯარა.** 2021 წლის მაისამდე „კორპორაცია“ იყო საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების სისტემის (MGPS) მფლობელი, რომელსაც ის გასცემდა იჯარით და იღებდა შემოსავალს აღნიშნულ მილსადენებში გაზის ტრანსპორტირებიდან.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 21 მარტის N129 დადგენილებით, „კორპორაციას“ დაევა 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით, შვილობილი კომპანიის დაარსება, რომელსაც ის გადასცემდა MGPS-ს საკუთრებაში და რომელიც ჩაანაცვლებდა „კორპორაციის მხარეს“ იჯარის ხელშეკრულებაში. 2021 წლის მაისში დაფუძნდა „შპს საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის ოპერატორი“, რომელსაც იმავე თვეში „კორპორაციამ“ კაპიტალში ჩაუდო MGPS, თავისი ინფრასტრუქტურით. „ჯგუფის“ გადმოსახედიდან აღნიშნულ ცვლილებას გავლენა არ აქვს ამ უკანასკნელის ფინანსურ შედეგებზე.

MGPS-ს მოიჯარე არის შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია, რომელიც ახორციელებს გაზის ტრანსპორტირებას „ჯგუფის“ საკუთრებაში არსებული გაზსადენების მეშვეობით, საქართველოს ტერიტორიაზე, რისთვისაც უხდის „ჯგუფს“ შესაბამის იჯარის საფასურს.

2010 წელს „კორპორაციას“ ფინანსური იჯარის სახით სახელმწიფომ დროებით სარგებლობაში გადასცა ბაქო-სუფსის მაგისტრალური მილსადენი, რომელიც „კორპორაციამ“ იმავე წელს გადასცა იჯარით საერთაშორისო ნავთობკომპანია BP-ს, რომელიც თავისი შვილობილი კომპანიის მეშვეობით ახორციელებს აღნიშნული მილსადენით ნავთობის ტრანზიტს აზერბაიჯანიდან სუფსის ნავთობტერმინალამდე. ყოველწლიურად აღნიშნული მილსადენის გავლით ხდება 31 მლნ ბარელამდე ნავთობის ტრანზიტი.

„ჯგუფის“ საქმიანობის სხვა მიმართულებებია ნავთობმომპოვებელი კომპანიების მიერ მოპოვებული ნავთობის სახელმწიფოს კუთვნილი წილი ნავთობის რეალიზაცია წილობრივი განაწილების ხელშეკრულებების ფარგლებში.

2020 წელს „ჯგუფის“ წმინდა მოგება შემცირდა წინა წელთან შედარებით, რაც ძირითადად გამოწვეულია სოციალური სექტორისთვის საშუალო გასაყიდი ფასის შემცირებით (პანდემიის გამო, მოსახლეობის მხარდაჭერისთვის, ე.წ. სოციალური გაზის ტარიფის შენარჩუნების მიზნით) და ზამთრის პერიოდში გაზრდილი გაზის მოთხოვნიდან, რის გამოც „კორპორაცია“ მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით იძულებული გახდა შეესყიდა ე.წ. „ძვირიანი გაზი“, რომელიც სრულად მოხმარდა სოციალურ სექტორს. აგრეთვე, მნიშვნელოვნად შემცირდა „ჯგუფის“ საპროცენტო შემოსავალი, რომელიც უმეტესწილად შედგება ბანკებისგან მისაღები, საბანკო ანგარიშებზე არსებულ თანხებზე დარიცხული სარგებლისგან.

„ჯგუფის“ ფინანსური შედეგები დეტალურად განხილულია ამ ანგარიშის შემდეგ ნაწილში.

ჯგუფის საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

„ჯგუფის“ 2020 წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები და მათი ცვლილების დინამიკა წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებლები*	2020 წელი	2019 წელი გადაფასებული	ცვლილება %
ამონაგები	997,212	873,748	+14%
გაზის და ნავთობის ხარჯი	(746,056)	(616,415)	+21%
ცვეთა და ამორტიზაცია	(58,814)	(41,152)	+43%
შრომის ანაზღაურება და მუშაკების სხვა ანაზღაურება	(24,163)	(23,004)	+5%
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(13,789)	(15,742)	-12%
გაუფასურების ზარალი სავაჭრო მოთხოვნებსა და სახელშეკრულებო აქტივებზე	1,386	(2,668)	-*
სხვა საოპერაციო ხარჯები	(21,661)	(31,389)	-31%
სხვა შემოსავალი	9,854	17,461	-44%
საოპერაციო მოგება	143,969	160,839	-10%
ფინანსური შემოსავლები	17,066	22,828	-25%
ფინანსური ხარჯები	(157,838)	(65,246)	+142%
მოგება დაბეგვრამდე	3,197	118,421	-*
მეკავშირე კომპანიის მოგების წილი	-	1,731	-100%
მოგება წლის განმავლობაში	3,197	120,152	-*
მოგების გადასახადი	-	-	-
წმინდა მოგება	3,197	120,152	-*

* ცვლილება, რომელიც 1.5-ზე მეტია

„ჯგუფის“ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს გაზის საბითუმო რეალიზაცია, რომელიც შეადგენს მთლიანი შემოსავლის 59%-ს (2019 წელს - 65%).

2020 წელს ამონაგებმა შეადგინა 997,212 ათასი ლარი, რაც 123,464 ათასი ლარით მეტია წინა წელთან შედარებით. ზრდა უმეტესწილად განაპირობა გარდაბნის მეორე თბოელექტროსადგურის ექსპლუატაციაში შესვლამ და შედეგად, წარმოებული ელექტროენერგიის ზრდამ (ამონაგები ელექტროენერგიის წარმოებიდან და რეალიზაციიდან გაიზარდა 108,121 ათასი ლარით) და გაზის მიწოდებიდან მიღებული ამონაგების 15,803 ათასი ლარით ზრდამ (2019 წელთან შედარებით), რის ძირითად მიზეზს წარმოადგენს ზამთრის პერიოდში სოციალურ სექტორში მოთხოვნის ზრდა და 2020 წელს „კორპორაციის“ მიერ კომერციულ სექტორში გაზის რეალიზაციის ზრდა (წინა წელთან შედარებით კომერციულ სექტორზე გაზის მიწოდების მოცულობა გაიზარდა 42 მილიონი კუბური მეტრით).

შესყიდული გაზის ზრდა წინა წელთან შედარებით განპირობებულია გაზზე მოთხოვნის ზრდით, როგორც სოციალურ, ასევე კომერციულ სექტორში.

2020 წელს წინა წელთან შედარებით „ჯგუფის“ ცვეთის ხარჯის 43%-ით ზრდა განპირობებულია გარდაბნის მეორე თბოელექტროსადგურის ექსპლუატაციაში შესვლასთან და წარმოების ლიცენზიის მიღებასთან, რომელიც განხორციელდა 2020 წლის მარტში.

2020 წელს წინა წელთან შედარებით „ჯგუფის“ საგადასახადო ხარჯი შემცირდა 1,953 ათასი ლარით, რაც ძირითადად დაკავშირებულია ფინანსური აუდიტის მიერ გატარებულ კორექტირებებთან.

2019 წელს „ჯგუფმა“ აღიარა 2,668 ათასი ლარის გაუფასურების ზარალი, რისი ძირითადი მიზეზი იყო გაზრდილი სავაჭრო მოთხოვნების ბალანსი 2018 წელთან შედარებით (გაზრდილი იყო თითქმის 2-ჯერ). 2020 წელს სავაჭრო მოთხოვნების ბალანსი შემცირდა და შესაბამისად მოხდა გაუფასურების ზარალის ნაწილის ამოტრიალება.

სხვა საოპერაციო ხარჯების 31%-ით შემცირება ძირითადად დაკავშირებულია „კორპორაციასა“ და „ფრონტიერას“ შორის არსებული დავის დასრულებასთან. საბოლოო გადაწყვეტილება, „კორპორაციის“ სასარგებლოდ, ლონდონის საერთაშორისო არბიტრაჟის ტრიბუნალმა მიიღო 2020 წლის აპრილში.

შედეგად, 2019 წელთან შედარებით 2020 წელს დავასთან დაკავშირებული იურიდიული ხარჯები შემცირდა დაახლოებით 7.5 მილიონი ლარით.

2020 წელს სხვა შემოსავლის შემცირება ძირითადად გამომდინარეობს იქიდან, რომ „ჯგუფის“ მიერ 2019 წლის დეკემბერში მოხდა მისი მეკავშირე კომპანიის, შპს ქართლის ქარის ელექტროსადგურის წილის რეალიზაცია, რომლის შედეგად „კორპორაციამ“ მიიღო მოგება 6,845 ათასი ლარის ოდენობით. მსგავსი ოპერაცია „კორპორაციას“ 2020 წელს არ ჰქონია. აგრეთვე, შემცირდა შპს გარდაბნის თბოსადგური 2-ის მიერ მიღებული შემოსავალი პირგასამტეხლოდან, რომელიც დაეკისრა ჩინურ სამშენებლო კომპანიას, სამშენებლო სამუშაოების დაგვიანებით ჩაბარების გამო. 2019 წელს შპს გარდაბნის თბოსადგური 2-ის მიერ მიღებულმა შემოსავალმა პირგასამტეხლოდან შეადგინა 8,889 ათასი ლარი, ხოლო 2020 წელს - 4,592 ათასი ლარი.

2020 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ფინანსური ხარჯები წინა წელთან შედარებით - 92,592 ათასი ლარით, რაც დაკავშირებულია კურსის ცვალებადობასთან. 2019 წელთან შედარებით 84% არის გაზრდილი სესხებზე გადახდილი პროცენტი, რაც გამოწვეულია იმით რომ 2019 წელთან შედარებით 2020 წელს ნაკლები თანხა იქნა დაკაპიტალიზებული გარდაბნის მეორე თბოსადგურის მშენებლობაზე (2019 წელს კაპიტალიზირებულმა პროცენტმა შეადგინა 34,460 ათასი ლარი, ხოლო 2020-ში - 7,152 ათასი ლარი). ხოლო ფინანსური შემოსავლების 5,762 ათას-ლარიანი შემცირება გამოწვეულია „ჯგუფის“ საბანკო ანგარიშებზე ფულადი სახსრების ბალანსის შემცირებით წლის განმავლობაში, რის გამოც მოხდა ნაკლები პროცენტის დარიცხვა ბანკების მხრიდან და შესაბამისად შემცირდა საპროცენტო შემოსავალი.

„ჯგუფის“ 2020 წლის ფინანსურ შედეგებზე უმეტესწილად იმოქმედა სავალუტო კურსის მერყეობამ, რადგან „ჯგუფს“ ნასესხები ფინანსური სახსრები აქვს დენომინირებული აშშ დოლარში.

„ჯგუფის“ საოპერაციო მოგების შემცირება ატარებს დროებით ხასიათს და მომავალ პერიოდებში ივარაუდება დადებითი დინამიკა, გარდაბნის მეორე თბოელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების გამო და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც გავლენას ახდენს „ჯგუფის“ საოპერაციო მოგებაზე.

ჯგუფის საოპერაციო საქმიანობის შედეგების სტრუქტურა

მაჩვენებლები	2020 წელი	2019 წელი გადაფასებული	ცვლილება %
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1,284,885	1,186,626	8%
წინასწარ გადახდილი თანხები	1,039	97,170	*
არამატერიალური აქტივები	61	1,421	*
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	79,962	73,134	9%
გაცემული სესხები	20,121	16,154	25%
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14,514	15,718	-8%
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	2,021	2,021	0%
გრძელვადიანი აქტივები	1,402,603	1,392,244	1%
გაცემული სესხები	1,513	1,692	-11%
მარაგები	14,477	4,253	*
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	3,991	437	*
წინასწარ გადახდილი თანხები	94,566	66,198	43%
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	252,090	281,628	-10%
შეზღუდული ფულადი სახსრები	924	60	*
ფული და ფულის ექვივალენტები	74,034	135,815	-45%
მიმდინარე აქტივები	441,595	490,083	-10%
სულ აქტივები	1,844,198	1,882,327	-2%
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	646,044	642,905	0%
დამატებითი გადახდილი კაპიტალი	59,797	59,797	0%
მფლობელების არაფულადი შენატანების რეზერვი	(282,181)	(282,181)	0%
გაუნაწილებელი მოგება	402,749	540,696	-26%
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი	826,409	961,217	-14%
არაკონტროლირებადი წილი	80,856	90,669	-11%
სულ კაპიტალი	907,265	1,051,886	-14%
ვალდებულებები			
სესხები და ვალდებულებები	-	705,122	*
საწესდებო ვალდებულება	-	4,621	*
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	709,743	*
სესხები და ვალდებულებები	828,152	16,902	*
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	106,171	95,182	12%
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	545	6,549	.*
რეზერვები	2,065	2,065	0%
მიმდინარე ვალდებულებები	936,933	120,698	*
სულ ვალდებულებები	936,933	830,441	13%
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	1,844,198	1,882,327	-2%

* ცვლილება, რომელიც 1.5-ზე მეტია

** ყველა თანხა მოცემულია ათასებში

ძირითადი ცვლილებები „ჯგუფის“ ფინანსურ მაჩვენებლებში ეხება ძირითად საშუალებებს, წინასწარ გადახდილ თანხებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს, ინვესტიციებს მეკავშირე საწარმოებში და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

„ჯგუფის“ ძირითადი საშუალებების ბალანსის ზრდა 98 მილიონი ლარით ძირითადად დაკავშირებულია ქ. გარდაბანში მეორე თბოელექტროსადგურის მშენებლობასთან, რომელიც 2019 წლის ბოლოს ანგარიშგებაში ასახული იყო დაუმთავრებელი მშენებლობის ნაწილში.

2020 წელს ძირითადი საშუალებების შეძენისთვის წინასწარი გადახდილი თანხების შემცირება 96 მილიონი ლარით ძირითადად გამოწვეულია გარდაბანში მეორე თბოელექტროსადგურის მშენებლობის დასრულებასთან. 2019 წელს ეს თანხა ასახული იყო ჩინური სამშენებლო კომპანია China Thianchen Engeneering Corporation-სთვის გადახდილი საავანსო თანხებით. აღნიშნული კომპანია ასრულებდა ქ. გარდაბანში მეორე თბოელექტროსადგურის მშენებლობას.

2020 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა არამატერიალური აქტივები, რაც გამოწვეულია შპს გარდაბნის თბოსადგური 2-ის არამატერიალური აქტივების კლასიფიკაციის შეცვლით.

მარაგების მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია შპს გარდაბნის თბოსადგური 2-ის ფუნქციონირების შედეგად გაზრდილმა მარაგებმა.

წინასწარ გადახდილი თანხები გაზრდილია 43%-ით, ზრდის მიზეზი არის გაზის მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი ავანსები.

სავაჭრო მოთხოვნების კლება ძირითადად დაკავშირებულია შპს „სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტის“ მიმართ არსებული მოთხოვნების ბალანსის დაახლოებით 21 მილიონიან კლებასთან და იმ კონტრაგენტების მოთხოვნების ბალანსების 31 მილიონი ლარით შემცირებასთან, რომლებზეც „კორპორაციამ“ მოახდინა კომერციული გაზის რეალიზაცია.

ფულადი სახსრების შემცირება 62 მილიონი ლარით გამოწვეულია გარდაბნის მეორე თბოელექტროსადგურის მშენებლობის დაფინანსებით („ჯგუფი“ თბოსადგურის მშენებლობას ახორციელებს საკუთარი სახსრებით) და ატარებს დროებით ხასიათს.

2020 და 2019 წლებში ჯგუფის EBITDA წარმოდგენილია ქვემოთ (თანხები მოცემულია ათას ლარებში).

2020 წელი	2019 წელი	ცვლილება
201,397	201,991	-0.3%

ჯგუფის შემოსავლები/ხარჯები საქმიანობის მიმართულებების მიხედვით

ქვემოთ მოცემულია „ჯგუფის“ შემოსავლების ძირითადი წყაროების მოცულობები და თანხები, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს თითოეულის წილი ჯამური პოზიტიური ეფექტის მიდწევად.

- 2020 წლის განმავლობაში ფაქტური შემოსავალი გაზის რეალიზაციიდან 2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა **15,803** ათასი ლარით კურსის ცვლილების გამო.

გაზის რეალიზაცია	2020 წელი	2019 წელი	ცვლილება
გაზის მოცულობა, ათასი მ3 (სოციალური სექტორი)	1,450,109	1,402,673	+3%
გაზის მოცულობა, ათასი მ3 (კომერციული სექტორი)	205,256	163,349	+26%
სულ	1,655,365	1,566,022	+6%
გაზის რეალიზაცია, ათასი \$	180,163	204,113	-12%
საშუალო კურსი	3.25	2.79	
გაზის რეალიზაცია, ათასი ლარი	585,093	569,290	+3%

ელექტროენერგიის წარმოება/მიწოდება

შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ და შპს „გარდაბნის თბოსადგური 2-ის“ კომერციული საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს გამომუშავებული ელექტროენერგიით ვაჭრობა და გარანტირებული სიმძლავრის მომსახურებისათვის მიღებული შემოსავლები. გარდა ამისა, სადგურის რემონტში და/ან მარქაფში ყოფნის პერიოდში იგი თვითონ არის მომხმარებელი და ელექტროენერგიას საკუთარი მოხმარებისთვის ყიდულობს ელექტროენერგეტიკული ბაზრის კომერციული ოპერატორისგან.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილებში მოცემულია:

- საანგარიშო პერიოდში წარმოებული და რეალიზებული ელ. ენერგიის მონაცემები - ცხრილი 1
- საანგარიშო პერიოდში რეალიზებული ელ.ენერგიის განაწილება შემსყიდველების მიხედვით - გრაფიკი 1.


ცხრილი 1. ელექტროენერგიის მოცულობები

საანგარიშო პერიოდი	გენერაცია ათ. კვტ. სთ.	რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი ათ. ლარი
იანვარი	212,741	15,105
თებერვალი	252,113	13,567
მარტი	122,312	12,590
აპრილი	118,319	11,352
მაისი	12,382	1,172
ივნისი	-	-

ივლისი	45,515	7,699
აგვისტო	83,667	12,763
სექტემბერი	217,395	25,590
ოქტომბერი	327,347	39,518
ნოემბერი	320,894	39,743
დეკემბერი	314,033	38,253
სულ	2,026,719	217,352

გრაფიკი 1

ელექტროენერგიის რეალიზაცია შემსყიდველების მიხედვით
ათასი კვტ.სთ




შემოსავალი რეალიზაციიდან შედგება გაყიდული ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის მომსახურებისათვის მიღებული შემოსავლებისგან.

ელექტროენერგიის რეალიზაციის თვითღირებულებაში შედის ბუნებრივი გაზის, ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების და ქიმიკატების ღირებულება.

2020 წელს ელექტროენერგიის წარმოებისთვის შპს „გარდაბნის თბოსადგურმა“ და შპს „გარდაბნის თბოსადგური 2-მა“ ჯამში მოიხმარა 355,273 ათასი კუბური მეტრი გაზი, რომლის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 184,584 ათასი ლარი.

შპს გარდაბნის თბოსადგურის მიერ თვეების მიხედვით გამომუშავებული ელექტროენერგიის და გახარჯული გაზის მოცულობები მოცემულია 2-ე გრაფიკში.

გრაფიკი 2



ნავთობის მიღება/რეალიზაცია პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებების (პწგხ) ფარგლებში

„ჯგუფი“ ახორციელებს პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებების ფარგლებში მიღებული ნედლი ნავთობის რეალიზაციას აუქციონის მეშვეობით. 2020 წლის განმავლობაში შედგა რამდენიმე აუქციონი, რომლის ფარგლებში კორპორაციამ მოახდინა 92,213 ბარელი ნედლი ნავთობის რეალიზაცია. რეალიზაციის ჯამურმა თანხამ შეადგინა 3,083 ათასი აშშ დოლარი (დღგ-ს გარეშე).

პწგხ-ს ფარგლებში მიღებული ნავთობის რეალიზაცია	2020 წელი	2019 წელი	ცვლილება
ნავთობის მოცულობა (ბარელი)	92,213	94,150	-2%
ბარელის საშუალო ფასი (\$)	39.46	65.74	-40%
ნავთობის რეალიზაცია ათასი \$ (დღგ-ს ჩათვლით)	3,638	6,189	-41%
ნავთობის რეალიზაცია ათასი \$ (დღგ-ს გარეშე)	3,083	5,245	-41%
საშუალო კურსი	3.07	2.88	
ნავთობის რეალიზაცია, ათასი ლარი	9,459	15,105	-37%

როგორც ჩანს ცხრილიდან 2020 წელს ნავთობის საშუალო გასაყიდი ფასი შემცირდა თითქმის 26 აშშ დოლარით, პანდემიით გამოწვეული, მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის შემცირების გამო, რამაც გავლენა იქონია ნავთობის რეალიზაციიდან მისაღებ ამონაგებზე უცხოურ ვალუტაში, თუმცა ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ დადებითი გავლენა იქონია ამონაგებზე ლარში.

ნავთობის და გაზის ტრანზიტი

გარდა ზემოხსენებული საქმიანობებისა „ჯგუფი“ აგრეთვე ახორციელებს ნავთობისა და გაზის ტრანზიტის მის საკუთრებაში/კონტროლს ქვეშ არსებული მილსადენებით.

ნავთობის ტრანზიტი ხორციელდება ე.წ. ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მეშვეობით, რომლის ოპერატორი არის Azerbaijan International Operation Company, რომელიც არის საერთაშორისო კომპანია BP-ს მფლობელობაში არსებული კომპანია და ახორციელებს საქართველოში საქმიანობას. 2020 წლის განმავლობაში ნავთობსადენში გატარებულმა ნავთობის მოცულობამ შეადგინა 31,035 ბარელი ნავთობი, ხოლო შემოსავალმა ამ ნავთობის ტრანზიტიდან - 26,348 ათასი ლარი.

ჯგუფის განვითარების გეგმები

“ჯგუფის” სტაბილური და წარმატებული განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ “ჯგუფს” ჰქონდეს სტრატეგიული ხედვა, რომელზეც ის იქნება ორიენტირებული გრძელვადიან პერსპექტივაში. ამისთვის საჭიროა “ჯგუფის” სტრატეგიის ძირითადი მიმართულებების შესწავლა და მათი განვითარების გეგმის შემუშავება.

“ჯგუფის” სტრატეგიის ძირითადი მიმართულებებია:

- იაფი ენერგორესურსების მოზიდვა და რეგიონალურ ენერგოკომპანიებთან თანამშრომლობა მოწოდების იაფი და საიმედო, მათ შორის ახალი წყაროების უზრუნველყოფის მიზნით;
- საქართველოს ტერიტორიის გავლით ნავთობისა და გაზის არსებული და დაგეგმილი სატრანზიტო პროექტების განვითარების აქტიური მხარდაჭერა;
- სატრანზიტო პროექტებიდან მიღებული შემოსავლების გამოყენების ეფექტური მექანიზმების დანერგვა, ენერგო რესურსებზე საბაზრო ფასის ცვალებადობით გამოწვეული რისკების მინიმუმადე დაყვანისა და საქართველოს მოსახლეობისა და ენერგეტიკული სექტორისათვის ბუნებრივი გაზის ხელმისაწვდომი და გარანტირებული მოწოდების უზრუნველყოფის მიზნით;
- საქართველოში ნავთობისა და ბუნებრივი გაზის სექტორის სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობა სახელმწიფო ინტერესების გატარების ექსკლუზიური უფლებით;
- ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ქსელისა და დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განახლება და განვითარება მათი ფუნქციონირების მაღალი ტექნიკური საიმედოობის უზრუნველყოფის მიზნით;
- ბიზნესის დივერსიფიკაცია, მათ შორის ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პროექტებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვით გზით.
- რეგიონულ სტრუქტურებში ინტეგრაციის ხელშეწყობა ევროკავშირის მესამე ენერგეტიკული პაკეტით გათვალისწინებული სამართლებრივი ბაზისა და საერთაშორისო ტექნიკური სტანდარტებისა და ნორმების იმპლემენტაციის მეშვეობით.

“კორპორაციის” სტრატეგიული დაგეგმვის და ტექნიკური დეპარტამენტები უწყვეტ რეჟიმში მუშაობენ ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის, ენერგიის დამატებითი წყაროების, ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის და სხვა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მიმართულებებით და ადგენენ გრძელვადიან პროექტებს, რომლის შესრულება და დანერგვა ხდება ეტაპობრივად.

ზემოაღნიშნული მიზნების განხორციელებისთვის „ჯგუფი“ მუდმივად მუშაობს ნავთობისა და გაზის და ელექტროენერგიის წარმოება/მოწოდების ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლების ეფექტურ მართვაზე და ახორციელებს მნიშვნელოვან ინვესტიციებს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ენერგოპროექტებში საკუთარი სახსრებით.

„ჯგუფი“ აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან პროექტების დაფინანსების კუთხით.

2020 წლის 11 მარტს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. COVID-19-ის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის პოტენციურად სერიოზულ საფრთხეზე რეაგირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ ვირუსის გავრცელების შესაკავებლად, ქვეყანაში საქმიანობებზე გარკვეული შეზღუდვები დააწესა, მათ შორის, ადამიანების ტრანსსასაზღვრო გადაადგილების შეზღუდვების დაწესება, უცხოელი ვიზიტორებისთვის შემოსვლის შეზღუდვები და ბიზნეს საზოგადოებისთვის რეკომენდაციის გაცემა, რომ თანამშრომლები სახლიდან მუშაობის რეჟიმზე გადაიყვანონ.

ბევრ ქვეყანაში, კარანტინისა და ბიზნესის შეფერხების გამო, ნავთობის გლობალური მოთხოვნა მკვეთრად შემცირდა, რამაც გამოიწვია ზედმეტი მიწოდება და ნავთობის ფასების მკვეთრი ვარდნა.

ამ მოვლენებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკონომიკაზე, მათ შორის:

- ბიზნეს ოპერაციებისა და ეკონომიკური საქმიანობის შეფერხება, რამაც უარყოფითად იმოქმედა მიწოდების ჯაჭვებზე და ხელშეკრულებების დარღვევაზე;
- გარკვეულ სექტორებში ბიზნესის მნიშვნელოვანი შეფერხება, როგორც შიდა ბაზარზე, ისე ექსპორტზე ორიენტირებული ბიზნესებისთვის, რომლებიც საგარეო ბაზრებზე არიან დამოკიდებულნი. ძირითადად დაზარალებულ სექტორებში შედის საცალო ვაჭრობა, მოგზაურობა და ტურიზმი, გასართობი და სასტუმროების სექტორი, ტრანსპორტირება, ნავთობის მრეწველობა, მშენებლობა, ავტომობილები, სადაზღვევო და ფინანსური სექტორი.
- მნიშვნელოვნად შემცირდა მოთხოვნა მეორეხარისხოვან საქონელსა და მომსახურებაზე.
- გაიზარდა ეკონომიკური გაურკვევლობა, რაც გამოიხატა აქტივების უფრო ცვალებად ფასებში და ვალუტის გაცვლით კურსებში.

„ჯგუფი“ მუშაობს ენერგეტიკის სექტორში. მისი ძირითადი საქმიანობა მოიცავს ელექტროენერგიის წარმოებას, გაზით ვაჭრობას და მილსადენებთან დაკავშირებულ ოპერაციებს.

COVID-19-ის აფეთქებამ არსებითი გავლენა არ იქონია „ჯგუფის“ ყოველდღიურ ოპერაციებზე და გაზის მიწოდება და ელექტროენერგიის წარმოება ხორციელდებოდა შეფერხების გარეშე.

თუმცა, იმის მიუხედავად, რომ „ჯგუფის“ ბრუნვა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 14%-ით, „ჯგუფის“ წმინდა შემოსავალი მნიშვნელოვნად შემცირდა. აღნიშნული განპირობებული იყო საქართველოს მოსახლეობისათვის განკუთვნილ ბუნებრივ გაზზე საბოლოო სამომხმარებლო ტარიფების შენარჩუნების მიზნით საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნავთობის სახელმწიფო კომპანიას შორის მიღწეული შეთანხმების შესასრულებლად „კორპორაციის“ მიერ საქართველოს მთავრობის დავალებით განხორციელებული მიზნობრივი ღონისძიებებით (მათ შორის, მსხვილი მომწოდებლისათვის მოსახლეობისათვის განკუთვნილ ბუნებრივი გაზის შემცირებული ღირებულებით მიწოდება).

პანდემიის გამო მოხდა ცვლილება „კორპორაციის“ ნასესხები სახსრების სტრუქტურაში. კერძოდ, „კორპორაცია“ პანდემიის აფეთქებამდე აპირებდა არსებული 250 მილიონი აშშ დოლარის ევროობლიგაციების რეფინანსირებას 2020 წლის აპრილში, რაც არ განხორციელდა, რადგან საერთაშორისო ფინანსურმა ბაზრებმა სხვადასხვა აქტივების კლასებში განიცადეს მნიშვნელოვანი რყევები და ევროობლიგაციების რეფინანსირებისთვის იყო არახელსაყრელი მომენტი.

„კორპორაცია“ შევიდა მოლაპარაკებებში საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან და 2020 წლის სექტემბერში მოხდა მიზნობრივი სესხის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან. სესხის ხელშეკრულება გაფორმდა 217 მილიონ ევროზე, საიდანაც ათვისებულ იქნა 211,537 ათასი ევრო, რომელიც მოხმარდა 2021 წელს ევროობლიგაციების და მათზე დარიცხული კუპონის დაფარვას.

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ „კორპორაციასა“ და „ჯგუფს“ ექნებათ საკმარისი რესურსები, რომ გააგრძელონ ფუნქციონირება ახლო მომავალში. იმის გათვალისწინებით, რომ „კორპორაციამ“ მოახერხა ევროობლიგაციების დასაფარავად სახსრების მოძიება, გარდაბნის 2-ე თბოსადგურმა დაიწყო შემოსავლების გენერირება (100 მილიონ ლარზე მეტი ბრუნვა დაემტატა „ჯგუფის“ შემოსავლებს) და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, „ჯგუფი“ ინარჩუნებს მყარ პოზიციებს ენერგეტიკულ ბაზარზე და განაგრძობს

ფუნქციონირებას და განვითარებას.

საინვესტიციო საქმიანობა

„ჯგუფი“ ეწევა აქტიურ საინვესტიციო საქმიანობას თავისი საქმიანობის მიმართულებების გაფართოების მიზნით და დამატებითი მოგების მიღების მიზნებისთვის. COVID-19-ის აფეთქების გამო „კორპორაციამ“ მიზანშეწონილად მიიჩნია გარკვეული საინვესტიციო პროექტების ვადის გადაწევა, თუმცა აღნიშნული პროექტები განხორციელდება, რადგან ისინი წარმოადგენს ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან პროექტებს.

2020 წლის ბოლოსთვის „კორპორაციას“ აქვს 51% და 100% წილი შპს გარდაბნის თბოსადგურსა და შპს გარდაბნის თბოსადგური 2-ში, შესაბამისად. კორპორაცია აგრეთვე ფლობს 100%-იან წილს შპს საქართველოს გაზსაცავის კომპანიაში. აღნიშნული შვილობილი კომპანიები დაარსდა გარდაბანში თბოელექტროსადგურების მშენებლობის და ოპერირების, საქართველოში პირველი მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობის პროექტების განხორციელების მიზნებისთვის.

2021 წელს დაარსდა შპს გარდაბნის თბოსადგური 3 და შპს საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის ოპერატორი, ორივე „კორპორაციის“ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით. შპს გარდაბნის თბოსადგური 3 განახორციელებს გარდაბანში მესამე თბოელექტროსადგურის მშენებლობას და შემდგომ ოპერირებას, ხოლო შპს საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის ოპერატორი განახორციელებს ბუნებრივი გაზის მილსადენების სისტემის ოპერირებას.

1.1. შპს გარდაბნის თბოსადგური - გარდაბნის თბოელექტროსადგურის პროექტი

შპს გარდაბნის თბოსადგური დაარსდა 2013 წლის ოქტომბერში. ახალი შვილობილი კომპანია შეიქმნა „კორპორაციის“ და სს საპარტნიორო ფონდის წილობრივი მონაწილეობით 51% და 49% შესაბამისად. შვილობილი კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 100,000 აშშ დოლარით. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადახდილმა კაპიტალმა შეადგინა 175,185 ათასი ლარი (2019: 175,185 ათასი ლარი).

შვილობილი კომპანია შეიქმნა გარდაბნის კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციაში მოსაყვანად. სამშენებლო სამუშაოები დასრულდა 2015 წლის ივლისში. 2015 წლის სექტემბრიდან გარდაბნის კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურმა დაიწყო შემოსავლის გენერირება.

შპს გარდაბნის თბოსადგური ყოველწლიურად გამოიმუშავებს საქართველოში წარმოებული ელექტროენერგიის 9-11%-ს. 2020 წელს შპს გარდაბნის თბოსადგურის მიერ წარმოებულმა ელექტროენერგიის მოცულობამ შეადგინა 1.209 გვტ. სთ (2019: 1.384 გვტ. სთ).

შპს გარდაბნის თბოსადგურის ოპერირებაში ჩართულია უმეტესწილად ადგილობრივი კადრები და დასაქმებულთა რაოდენობა აჭარბებს 210 თანამშრომელს.

1.2 შპს გარდაბნის თბოსადგური 2 - გარდაბნის მეორე თბოელექტროსადგურის პროექტი

2016 წლის აგვისტოში დაფუძნდა შპს გარდაბნის თბოსადგური 2 - ახალი შვილობილი კომპანია, რომლის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 10,000 ათასი ლარით, რომელშიც „კორპორაცია“ ფლობს 100%-იან წილს. 2020 წლის განმავლობაში „ჯგუფის“ მიერ მოხდა სესხის გაცემა გარდაბნის მეორე თბოელექტროსადგურის მშენებლობის დაფინანსებისთვის. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს გარდაბნის თბოსადგური 2-სთვის გაცემული სესხის მოცულობამ შეადგინა 267,427 ათასი ლარი. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ახალი შვილობილი კომპანიის კაპიტალმა შეადგინა 266,909 ათასი ლარი.

2019 წლის დეკემბერში დასრულდა ყველა ძირითადი სამშენებლო სამუშაოები და იმავე თვიდან თბოსადგურმა სატესტო რეჟიმში დაიწყო ოპერირება.

2020 წლის მარტში შპს გარდაბნის თბოსადგური 2-მა სემეკ-ისგან მიიღო ოპერირების ლიცენზია და ამ პერიოდის სრულად შევიდა ექსპლუატაციაში. გარდაბნის მეორე თბოელექტროსადგურის სრულად დატვირთვა მოხდა 2020 წლის ივლისიდან.

გარდაბნის ახალი კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურის დაგეგმილი სიმძლავრე 230 მგვტ-ს შეადგენს.

შპს გარდაბნის თბოსადგური 2-მა, რომელიც ექსპლუატაციაში შევიდა 2020 წლის მარტში, ელექტროენერგიის აქტიური წარმოება დაიწყო 2020 წლის ივლისიდან. ივლისიდან წლის ბოლომდე შპს გარდაბნის თბოსადგური 2-ის მიერ წარმოებულმა ელექტროენერგიის მოცულობამ გადააჭარბა 826 მვტ.სთ-ს.

ჯამურად, შპს გარდაბნის თბოსადგურმა და შპს გარდაბნის თბოსადგური 2-მა 2020 წლის განმავლობაში გამოიმუშავა საქართველოში წარმოებული ელექტროენერგიის 18%-ზე მეტი.

1.3 შპს გარდაბნის თბოსადგური 3 - გარდაბნის მესამე თბოელექტროსადგურის პროექტი

2021 წლის მარტში დაფუძნდა შპს გარდაბნის თბოსადგური 3 - ახალი შვილობილი კომპანია, რომლის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 10,000 ათასი ლარით, რომელშიც „კორპორაცია“ ფლობს 100%-იან წილს. შპს გარდაბნის თბოსადგური 3 შექმნილია ქ.გარდაბანში მესამე თბოელექტროსადგურის მშენებლობის და შემდგომი ოპერირების განხორციელების მიზნით. ახალი თბოელექტროსადგურის დაგეგმილი სიმძლავრე იქნება 272 მგვტ.

გარდაბნის მესამე თბოელექტროსადგურის მშენებლობის დაწყება ივარაუდება 2021 წლის მეორე ნახევარში.

1.4 შპს საქართველოს გაზსაცავის კომპანია - მიწისქვეშა გაზსაცავის პროექტი

2018 წლის ოქტომბერში „ჯგუფმა“, 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით, დააფუძნა შპს საქართველოს გაზსაცავის კომპანია, რომელიც განხორციელებს სამგორის სამხრეთი თალის საბადოს ბაზაზე საერთაშორისო სტანდარტების მქონე მიწისქვეშა გაზსაცავის პროექტს.

მიწისქვეშა გაზსაცავის ძირითადი დანიშნულებაა: სახელმწიფოს ენერგოუსაფრთხოების /დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება; პიკური მოხმარებისა და მოწოდების დაუგეგმავი შეწყვეტით წარმოშობილ კრიტიკულ პერიოდში, დაცული მომხმარებლების უწყვეტი, გარანტირებული გაზმომარაგების უზრუნველყოფა; გაზის მიწოდების სისტემის მოქნილობის ზრდა და სეზონური დისბალანსის რეგულირების შესაძლებლობა საკუთარი ძალებით; აგრეთვე ევრო გაერთიანების წინაშე ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოების ნაწილში ნაკისრი ვალდებულებების, კერძოდ უსაფრთხო მიწოდების სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

პროექტის განხორციელებისთვის „ჯგუფმა“ მოიზიდა ფინანსური სახსრების ნაწილი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან (KfW Development Bank) და ახორციელებს აქტიურ მოლაპარაკებებს დარჩენილი ნაწილის დაფინანსების მიღების მიზნით.

პანდემიამ გავლენა იქონია აღნიშნული პროექტის განხორციელების პროცესსა და ვადებზე. კერძოდ, საქართველოს მთავრობასა და KfW-ს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის მიხედვით პროექტის განხორციელებისათვის KfW-ს მიერ „კორპორაციისათვის“ გამოყოფილი 150 მლნ. ევროს ოდენობის სესხიდან 120 მილიონი ევრო გადატანილი იქნა COVID-19 პანდემიის ბრძოლასა და პრევენციასთან დაკავშირებული სამთავრობო პროგრამების მხარდასაჭერად. აქედან გამომდინარე, სესხის ოდენობა „კორპორაციისთვის“

შემცირდა 30 მილიონ ევრომდე და შესაბამისი ცვლილებები შევიდა „კორპორაციასა“ და KfW-ს შორის 2018 წელს გაფორმებულ სესხის ხელშეკრულებაში.

2020 წლის ბოლოს მშს საქართველოს გაზსაცავის კომპანიაში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 7,557 ათასი ლარი.

1.5 „სარმატია“ - ნავთობის ევრო-აზიური სატრანსპორტო კორიდორის (EAOTC) პროექტის განმახორციელებელი საერთაშორისო კომპანია

საქართველო წარმოადგენს სამხრეთის ენერგეტიკული ღერუფნის მნიშვნელოვან სატრანზიტო ქვეყანას, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სტრატეგიული პროექტების განხორციელება. სამხრეთის ენერგეტიკული ღერუფნის განვითარების შედეგად, კიდევ უფრო გაიზრდება ევროკავშირის ენერგოსაფრთხოების ხარისხი. „კორპორაცია“ ევრო-აზიის ნავთობის სატრანსპორტო კორიდორის (EAOTC) პროექტის ერთ-ერთი თანადამფუძნებელი და რეალიზაციის ხელშემწყობია.

ევრო-აზიის ნავთობის სატრანსპორტო კორიდორის (EAOTC) პროექტის მიზანია ევროკავშირის წევრი ქვეყნების ენერგო უსაფრთხოების ამაღლება კასპიის ზღვის რეგიონიდან აზერბაიჯანის, საქართველოს, უკრაინის ნავთობის ტრანსპორტირებისათვის საიმედო მარშრუტის ჩამოყალიბების მეშვეობით. EAOTC ძირითადად მოიცავს არსებულ ნავთობის ტრანსპორტირების ინფრასტრუქტურას. დამატებით გათვალისწინებულია ახალი, 700 მმ დიამეტრის მილსადენის მშენებლობა ბროდიდან (უკრაინა) ადამოვოს (პოლონეთი) მიმართულებით, შემდგომ კი „დრუჟბას“ არსებული მილსადენების სისტემის გამოყენება. მანძილი ბროდიდან ადამოვოს სატუმბო სადგურამდე დაახლოებით 397 კმ-ია.

დაგეგმილია EAOTC პროექტის ეტაპობრივი რეალიზაცია 20 მლნ ტონამდე წლიური გამტარუნარიანობით. პროექტის რეალიზაციის პირველ ეტაპზე ტექნიკურად შესაძლებელი იქნება კასპიის ზღვის რეგიონიდან ყოველწლიურად 10 მლნ ტონამდე ნავთობის მიწოდება ევროპის ქვეყნებში, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში, თუ სამიზნე ბაზრის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნებისათვის, ნავთობის მიწოდება ტრადიციული წყაროებიდან შეწყდება, მნიშვნელოვნად შემცირდება რაიმე, მათ შორის პოლიტიკური მიზეზის გამო ან ხარისხის გაუარესების გამო.

განვითარების მეორე ეტაპზე გათვალისწინებულია აზერბაიჯან-საქართველოს მონაკვეთზე ახალი, დაახლოებით 830 კმ სიგრძის ნავთობსადენის მშენებლობა ან რკინიგზის გამტარუნარიანობის გაზრდა.

რეგიონში უკანასკნელ პერიოდში ჩამოყალიბებული პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია, მათ შორის, რუსული ნავთობის მიწოდებასთან დაკავშირებული 2019 წლის აპრილ-ივნისში განვითარებული ინციდენტი, რომელმაც შეაფერხა ევროპის ზოგიერთი ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს მუშაობა და/ან გამოიწვია სახელმწიფოთა სტრატეგიული მარაგების გაუმართლებელი ხარჯვა, მნიშვნელოვნად ამაღლებს პროექტის რეალიზაციის აქტუალურობას.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო, ისევე როგორც აზერბაიჯანი, ფლობს საკმარის ინფრასტრუქტურას (მილსადენები, რკინიგზა, საზღვაო ტერმინალები) საწყის ეტაპზე ნავთობის შეუფერხებელი მიწოდებისათვის ოდესა-ბროდი, ბროდი-პლოცკის მიმართულებით.

მიმდინარე პერიოდისათვის დასრულებულია EAOTC პროექტის დღეისათვის ერთადერთი დაუკომპლექტებული ბროდი (უკრაინა)-ადამოვოს (პოლონეთი) მონაკვეთის ტედ-ის (Feasibility Study) განახლებული ვერსია, იგეგმება მისი შემდგომი რეალიზაციის ხელშემწყობი სამუშაოთა გააქტიურება.

2020 წელს „კორპორაციის“ მონაწილეობით არ განხორციელებულა „სარმატიას“ საწესდებო კაპიტალის გაზრდა.

პროექტს 2020 წლის დეკემბერში ევროკავშირის ერთობლივი ინტერესებისა (PCI) და ენერგეტიკული გაერთიანების ერთობლივი ინტერესების (PECI) პროექტის სტატუსი მიენიჭა (ფაქტობრივად გაუგრძელდა ადრე მინიჭებული სტატუსი).

უახლოესი პერიოდის სამუშაო გეგმებით გათვალისწინებულია ევრო-აზიის ნავთობის სატრანსპორტო კორიდორის დღეისათვის ერთადერთი დაუკომპლექტებული ბროდი-ადამოვოს მონაკვეთის წინა საინჟინრო დაპროექტების მომზადება, საჭირო მიწების შეძენა და სამშენებლო ნებართვების მიღება, აგრეთვე მოლაპარაკებების დაწყება „სარმატიას“ პოტენციურ კლიენტებთან (აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებთან), რაც აუცილებელი პირობებია უშუალოდ სამშენებლო სამუშაოების დასაფინანსებლად.

1.6 AGRI LNG Project Company S.R.L - აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის ინტერკონექტორის განმახორციელებელი საერთაშორისო კომპანია

აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის ინტერკონექტორის პროექტი (AGRI) ითვალისწინებს აზერბაიჯანული (ან თურქმენული) გაზის ტრანსპორტირებას მილსადენებით ფოთის პორტამდე, გამათხევადებელი საწარმოსა და ტერმინალის მშენებლობას ფოთში და გათხევადებული გაზის ტრანსპორტირებას ტანკერებით რუმინეთის პორტ მიდამდე. რუმინეთში გაზის რეგაზიფიკაციის შემდეგ გაზი მილსადენებით მიეწოდება რუმინეთისა და უნგრეთის, აგრეთვე ბალკანეთისა და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებს. პროექტი უზრუნველყოფს ევროპის ზოგიერთი ქვეყნის გაზის ბაზრის დამოკიდებულების შერბილებას დომინანტი მიმწოდებლისაგან როგორც მიწოდების წყაროს, ისე მარშრუტის დივერსიფიკაციის საშუალებით. მიმდინარე პერიოდისათვის პროექტის განმახორციელებელი ერთობლივი AGRI LNG Project Company S.R.L. საწესდებო კაპიტალი განაწილებულია დამფუძნებლებს შორის შემდეგი პროპორციით: ROMGAZ (რუმინეთი) - 25% MVM (უნგრეთი) – 25%, SOCAR (აზერბაიჯანი) – 25%, „კორპორაცია“ - 25 %.

წინასწარი ანალიზი ადასტურებს, რომ გარკვეული ხელისშემწყოები წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც დასრულდება აზერბაიჯანის შაჰ-დენიზის საბადოს მეორე ფაზისა და აზერბაიჯანის სხვა საბადოების სრული ათვისების სამუშაოები, სავარაუდოდ 2023-2026 წლების შემდეგ, მიზანშეწონილი იქნება პროექტის იმპლემენტაციის ფაზის დაწყება, რასაც წინ უნდა უძღოდეს პროექტის ტექნიკური დასაბუთების ანგარიშის განახლება, რითაც დადასტურდება მისი კომერციული მიზანშეწონილობა თანამედროვე პირობებში.

აღსანიშნავია, რომ AGRI-ს რეალიზაციის შემაფერხებელ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად, ენერგეტიკული გაერთიანების ექსპერტების შეფასებით, პროექტის მაღალი ინვესტიციატევადობა ჩაითვალა, რაც ძირითადად სახმელეთო გამათხევადებელი საწარმოს მოწყობის მაღალი დანახარჯებითაა განპირობებული ორიგინალური პროექტის კონცეპციის მიხედვით. თუმცა, უკანასკნელი ინფორმაციის თანახმად, 2010-2012 წლის პერიოდთან შედარებით (როცა პროექტის ტექნიკური ანგარიში მზადდებოდა), დღეისათვის გამათხევადებელი საწარმოს მშენებლობის ღირებულება საშუალოდ 30 – 50 %-ით არის შემცირებული.

2020 წლის თებერვალში ღირებულორთა საბჭოს სხდომაზე მიღებულ იქნა ერთობლივი გადაწყვეტილება AGRI-ის პროექტის სამი წლით გადავადების შესახებ.

1.7 TCP-White Stream Project Company - ტრანსკასპიური მილსადენი „თეთრი ნაკადის“ პროექტების განმახორციელებელი კომპანია

„კორპორაცია“ ტრანსკასპიური მილსადენი - „თეთრი ნაკადის“ პროექტების განმახორციელებელი კომპანიების 10%-იანი წილის მფლობელია. აღნიშნული პროექტების დანიშნულებათა უზრუნველყოფის თურქმენული გაზის მიწოდება ევროპულ ბაზარზე კასპიის ზღვის ოფშორული, აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიების გადამკვეთი და შავი ზღვის ოფშორული მილსადენების გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ ტრანსკასპიური მილსადენის პროექტი შესულია ევროკავშირის ერთობლივი ინტერესების პროექტის (PCI) სტატუსის მქონე პროექტების ჩამონათვალში.

კორპორაცია უზრუნველყოფს აღნიშნული პროექტის მრავალმხრივ (საექსპერტო, ფინანსური) მხარდაჭერას და რეალიზაციის ხელშეწყობას როგორც შიდასახელმწიფოებრივ ისე საერთაშორისო დონეზე. 2020 წელს აღნიშნულ საქმიანობაზე თანხა არ ყოფილა დახარჯული.

1.8 შპს ენგურის ჰიდრომააკუმულირებელი ელექტროსადგური - ჰიდრომააკუმულირებელი ელექტროსადგურის პროექტი

2018 წლის 6 ივნისის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანხმობის წერილის თანახმად, ენგურჰესის თაღოვან კაშხალთან მძლავრი ჰიდრომააკუმულირებელი სადგურის (ჰმეს-ი) ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის და შემდგომში მშენებლობის პროექტის განხორციელების უზრუნველსაყოფად, „კორპორაციას“ დაევალა შეზღუდული პასუხისმგებლობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნება, რომლის წილთა 40%-40% იქნება „კორპორაციის“ და შპს „ენგურჰესის“ საკუთრება, ხოლო 20% - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ საკუთრება. საზოგადოების კაპიტალი საწყის ეტაპზე განისაზღვრა 1,500,000 აშშ დოლარით, საიდანაც „კორპორაციის“ შენატანი შეადგენდა 600,000 აშშ დოლარს.

2020 წლის განმავლობაში „კორპორაციის“ მიერ განხორციელებული ინვესტიციის მოცულობა არ შეცვლილა და 2020 წლის ბოლოსთვის შეადგენს ჯამში 813 ათას ლარს (300 ათას აშშ დოლარის ექვივალენტს).

ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები



„კორპორაციაში“ რისკების მართვა ხორციელდება რისკების მართვის სისტემის საფუძველზე, რომელიც გაწერილია კორპორაციის შიდა პოლიტიკაში. „კორპორაციის“ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები არის შემდეგი:

დარგობრივი რისკები. დარგობრივ რისკებს შეიძლება მიეკუთვნოს სახელმწიფოს მიერ ტარიფების დაუსაბუთებელი რეგულირება და რისკი, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) მიერ ისეთი ტარიფების შესაძლო დამტკიცებასთან, რომელიც არ ფარავს „კორპორაციის“ ხარჯებს. „კორპორაცია“ აქტიურად თანამშრომლობს სემეკ-თან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ამ რისკის შესაძლო უარყოფითი შედეგების მინიმიზაციისთვის, რომ არ მოხდეს „ჯგუფის“ ფინანსური შედეგების გაუარესება და იმავდროულად მოხდეს ქვეყნის ინტერესების გატარება.

ქვეყნის და რეგიონალური რისკები. ქვეყანასა და რეგიონთან დაკავშირებულ რისკებს მიეკუთვნება რისკები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის, საგადასახადო პოლიტიკის, სახელმწიფო რეგულირების პირობების შეცვლასთან.

ფინანსური რისკები. თავისი საქმიანობის პროცესში „კორპორაცია“ ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად „კორპორაციაზე“ ზეგავლენა აქვს შემდეგ რისკებს:

-საკრედიტო რისკი;

-ლიკვიდურობის რისკი;

- საბაზრო რისკი.

(i) რისკების მართვის სტრუქტურა

სამეთვალყურეო საბჭო მთლიანად პასუხისმგებელია „კორპორაციის“ რისკების მართვის სტრუქტურის შექმნასა და ზედამხედველობაზე.

„კორპორაციის“ რისკის მართვის პოლიტიკა შემუშავებულია რისკების გამოვლენისთვის და ანალიზისთვის, რომლის წინაშეც დგას კომპანია, რისკის სათანადო ლიმიტების და კონტროლების ჩამოყალიბებისთვის, ამ რისკების მონიტორინგისა და ლიმიტების დასაცავად. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემები რეგულარულად გადაიხედება იმისათვის, რომ მოხდეს საბაზრო პირობებში ცვლილებების ასახვა კომპანიის საქმიანობაში.

(iii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის „კორპორაციის“ ფინანსური ზარალის რისკი, რომელიც მიიღება თუ კლიენტი ან ფინანსური ინსტრუმენტის მომხმარებელი ვერ შეასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ძირითადად წარმოიშვება კომპანიის დებიტორული დავალიანებებიდან, გაცემული სესხებიდან, ვადიანი დეპოზიტებიდან და ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებიდან.

(i) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ „კორპორაცია“ შეეჭიდება სირთულეებს ვალდებულებების შესრულებისას, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ დავალიანებებთან, რომლებიც თავისმხრივ იწვრება ნაღდი ფულით ან სხვა ფინანსური აქტივების გადაცემით. „კორპორაციის“ მიდგომა ლიკვიდურობის მართვისადმი უზრუნველყოფს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, საკმარისი ლიკვიდური აქტივების არსებობას მისი ვალდებულებების შესასრულებლად, როგორც ჩვეულებრივ, ასევე რთულ პირობებში, „კორპორაციისთვის“ მიუღებელი დანაკარგების წარმოშობისა და რეპუტაციისთვის ზარალის მიყენების გარეშე. „კორპორაციის“ ლიკვიდურობის მართვა ასევე მოიცავს ობლიგაციების ხელშეკრულების დამატებითი პირობების მონიტორინგს.

ჩვეულებრივ, „კორპორაცია“ უზრუნველყოფს საკმარისი ფულადი სახსრების არსებობას 60 დღის განმავლობაში მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯების დასაკმაყოფილებლად, ფინანსური ვალდებულებების შესრულების ჩათვლით; აქ არ გაითვალისწინება იმ გარემოებების პოტენციური ზემოქმედება, რომლებიც არ შეიძლება იყოს წინასწარ განსაზღვრული, ისეთი როგორც ბუნებრივი კატასტროფები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ცვლილებები საბაზრო ფასებში, როგორიცაა უცხოური ვალუტის კურსი, საპროცენტო განაკვეთები და კაპიტალის ფასები, გავლენას მოახდენს „კორპორაციის“ შემოსავალზე ან მის საკუთრებაში არსებულ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანია ბაზარზე არსებული რისკის „კორპორაციაზე“ ზემოქმედების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, შემოსავლის ოპტიმიზაციასთან ერთად.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკები ზემოქმედებას ახდენს „კორპორაციის“, ფუნქციური ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში დენომინირებულ გაყიდვებზე, შესყიდვებზე და სესხებზე. ვალუტა, რომელშიც ძირითადად დენომინირებულია ეს ტრანზაქციები არის აშშ დოლარი. ზოგადად, „კორპორაციის“ სესხები დენომინირებული არის იმ ვალუტაში, რომელიც ემთხვევა კორპორაციის ძირითადი ოპერაციების შედეგად

მიღებულ ფულად ნაკადებს. ეს უზრუნველყოფს ეკონომიკურ ჰეჯირებას დერივატივების კონტრაქტებში მონაწილეობის აუცილებლობის გარეშე.

„კორპორაციის“ შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი პირდაპირ ან არაპირდაპირ არის დენომინირებული აშშ დოლარში, ისევე როგორც ძირითადი ხარჯები, რომელსაც განეკუთვნება გაზის ხარჯი. შესაბამისად, ვალუტის კურსის ზრდა/შემცირება მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს „კორპორაციის“ საოპერაციო მოგებაზე. სხვა საოპერაციო ხარჯები უმეტესწილად არის ლარში დენომინირებული და სტაბილური (მნიშვნელოვანი გადაცდომების გარეშე).

„კორპორაციას“ ძირითადი სასესხო ვალდებულება აქვს ევროში, რაც გავლენას ახდენს მის ნეტო ფინანსურ შემოსავლებზე/ხარჯებზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

ცვლილებები საპროცენტო განაკვეთებზე ძირითადად გავლენას ახდენს სესხებსა და ვალდებულებებზე, მათი საბაზრო ღირებულების (ფიქსირებული განაკვეთის დავალიანების) ან მომავალი ფულადი ნაკადების (ცვლად-განაკვეთიანი დავალიანება) ცვლილების სახით. მენეჯმენტს არ აქვს განსაზღვრული ფორმალური პოლიტიკა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი იქნება ფიქსირებული ან ცვლადი განაკვეთების ზეგავლენა კორპორაციაზე. თუმცა, ახალი სესხების ან ვალდებულებების აღებისას, მენეჯმენტი იყენებს თავის მსჯელობას, იმისათვის, რომ გადაწყვიტოს რომელი განაკვეთი - ფიქსირებული თუ ცვლადი იქნება უფრო ხელსაყრელი „კორპორაციისთვის“ პერიოდის განმავლობაში ვალდებულებების დაფარვამდე.

ხელმძღვანელობამ, ფასს 15-ის - ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან - მოთხოვნების გათვალისწინებით, დაასკვნა, რომ „კომპანიის“ მიერ კლიენტზე მიცემული შესაძლებლობა, რომ მან თავდაპირველი ხელშეკრულებით შეთანხმებულ ფასთან შედარებით ფასდაკლებით შეიძინოს დამატებითი გაზი, აძლევს კლიენტს უფლებას შეიძინოს დამატებითი საქონელი იმ ფასად, რომელიც არ ასახავს დამოუკიდებელ გასაყიდ ფასს. შესაბამისად, ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ შესაძლებლობა არსებით უფლებას წარმოადგენს რომელიც წარმოშობს ნაკისრ ვალდებულებას.

შედეგად, 4,621 ათასი ლარის სახელშეკრულებო ვალდებულება აღიარებულ იქნა „ჯგუფის“ მიერ 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

2020 წლის მეორე ნახევრიდან COVID-19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის გამო, საქართველოს მთავრობამ („კომპანიის“ საბოლოო მაკონტროლებელი მხარე) გადაწყვიტა მხარდაჭერა გამოეხატა საქართველოს მოსახლეობისთვის, გაზის საბოლოო სამომხმარებლო ტარიფის შენარჩუნების გზით და დაავალა „კომპანიას“ შესულიყო მოლაპარაკებებში ბუნებრივი გაზის ძირითად მომხმარებელთან, დასახული მიზნის მისაღწევად (საქართველოს მოსახლეობისთვის ფინანსური ტვირთის შემცირება).

მოლაპარაკებების შედეგად 2020 წლის დეკემბერში მოხდა ხელშეკრულებაში ცვლილებაზე ხელის მოწერა, რამაც გამოიწვია, inter alia, (i) „კომპანიის“ მოთხოვნების შემცირება, ბუნებრივი გაზის ძირითადი მომხმარებლის მიერ „კომპანიისგან“ სოციალური გაზის შესყიდვის ფასების შემცირების გზით, 2018-2020 წლებში ძირითად მომხმარებელზე რეალიზებული „სოციალური გაზის“ შესაბამის მოცულობებზე და (ii) შესაბამისად, ბუნებრივი გაზის ძირითადი მომხმარებლის მიერ „საკომპენსაციო პერიოდში“ 15 აშშ დოლარის ფასდაკლების მიღების და მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმა (იხილეთ შენიშვნა 18).

შედეგად, „ჯგუფის“ მიერ 2019 წელს აღიარებული, სახელშეკრულებო ვალდებულება ამოტრიალდა 2020 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლისთვის და სავაჭრო მოთხოვნები შემცირდა 108,475 ათასი ლარით (იხილეთ შენიშვნა 18).

(e) შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების პოლიტიკები

ამონაგების შეფასება ხდება მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში განსაზღვრულ ანაზღაურებაზე დაყრდნობით. ჯგუფი აღიარებს ამონაგებს, როდესაც ის გადასცემს მომხმარებელს კონტროლს საქონელზე ან მომსახურებაზე.

მოცემული ცხრილი შეიცავს ინფორმაციას მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული, შესასრულებელი ვალდებულებების ბუნებისა და ამ ვალდებულებების დაკმაყოფილების ვადების შესახებ, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების და დაკავშირებული შემოსავლების აღიარების პოლიტიკების ჩათვლით.

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წლისათვის

საქონლის/ მომსახურების სახეობა	ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილების ბუნება და ვადები, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების ჩათვლით	შემოსავლის აღიარების პოლიტიკები
ბუნებრივი აირის გაყიდვა	მომხმარებლები მოიპოვებენ კონტროლს გაზზე, როდესაც ხდება მისი მიწოდება მილსადენების მეშვეობით მომხმარებელამდე. ინვოისები გამოიწერება არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა. არსებობს გადახდის ორი ძირითადი სახეობა. პირველ შემთხვევაში (რომელიც გაზის გაყიდვების ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს უკავშირდება), სახელშეკრულებო პირობების მიხედვით ვალდებულების დაფარვა ნაწილობრივ ხდება ავანსად (არაუგვიანეს ყოველი თვის 25 რიცხვისა) და დარჩენილი თანხის დაფარვა ხდება საანგარიშო თვის მომდევნო თვის ბოლომდე. ხელშეკრულების მიხედვით საურავების დარიცხვა, დაგვიანებით გადახდისთვის, ხდება გადაუხდელ ნაშთზე გადახდის ვადის თარიღის შემდგომი დღიდან. მეორე სახეობაში, გადახდის პირობები ცვალებადია თითოეული კლიენტისთვის, მაგრამ უმეტეს შემთხვევებში გადახდები უნდა განხორციელდეს ნაწილ-ნაწილ, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო 25-ე დღისა.	ამონაგები აღიარდება, როდესაც ხდება გაზის მიწოდება ე.წ. მიწოდების წერტილებში (წერტილები, რომლებიც წინასწარ განსაზღვრულია „გაზის მიწოდების ხელშეკრულებით“), შესაბამისად შესრულების ვალდებულება გაზის მიწოდებაზე დაკმაყოფილებულია. ოპერაციის ფასი მოიცავს გაზის საფასურს და საურავებს, დაგვიანებით გადახდისთვის (ცვალებადი ანაზღაურება)
შემოსავალი ნედლი ნავთობის გაყიდვიდან	შესასრულებელი ვალდებულება კმაყოფილდება, როდესაც „ჯგუფი“ მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომს ხდის ნავთობს „ჯგუფის“ საწყობში (EXW – Incoterms). ინვოისი გამოიწერება ნავთობის გაყიდვისას და ინდივიდუალურ მომხმარებელთან ხელშეკრულებით შეთანხმებულია გადახდა.	ამონაგები ნავთობის გაყიდვიდან აღიარდება როდესაც ნავთობი გადაცემულია/მიწოდებულია კომპანიის საწყობიდან მომხმარებელზე.
შემოსავალი ელექტრო- ენერგიის წარმოებიდან და მიწოდებიდან	შესასრულებელი ვალდებულება კმაყოფილდება როდესაც ელექტროენერგია მიეწოდება და მოიხმარება საბითუმო მომხმარებლების მიერ. ინვოისი გამოიწერება ყოველთვიურად. მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა ხდება საანგარიშო თვის მომდევნო თვის ბოლომდე.	ამონაგები აღიარდება ყოველთვიურად საბითუმო მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის მიხედვით. მოხმარებული ელექტროენერგიის აღრიცხვა ხდება მრიცხველებით. გარანტირებული სიმძლავრის საფასური განისაზღვრება სემეკის დადგენილების მიხედვით და დღიური ფიქსირებული გადასახადი გადასახდელია 365 დღიდან 290 დღეზე, 2020 წელს (300 დღე-2019 წელს)

7. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
წილი მეკავშირე საწარმოებში:		
შპს ენგურის ჰიდრომაკუმულირებელი		
ელექტროსადგური (EPSP) – 40%	813	813
სხვა ინვესტიციები	1,208	1,208
სულ	2,021	2,021

მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციის მოძრაობა წლის განმავლობაში:

'000 ლარი	2020	2019
ნაშთი 1 იანვარს	2,021	17,182
შენატანები წლის განმავლობაში	-	474
ინვესტიციის შემცირება	-	(3,591)
მეკავშირე საწარმოს წილის გასხვისება	-	(13,775)
ჯგუფის წილი მოგებიდან, მოგების გადასახადის გამოკლებით	-	1,731
ნაშთი 31 დეკემბერს	2,021	2,021

2019 წლის დეკემბერში „ჯგუფმა“ გაყიდა მისი წილი (49.99%) შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურში“ 6,845 ათას ლარიანი მოგებით. გაყიდული ინვესტიციის სანაცვლოდ მიღებული ანაზღაურება 20,620 ათასი ლარის ოდენობით სრულად იქნა მიღებული ფულადი ანაზღაურების სახით 2019 წლის 30 დეკემბერს.

2018 წლის 11 ივნისს „ჯგუფის“, შპს ენგურჰესის და სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის წილობრივი მონაწილეობით (40%, 40% და 20% შესაბამისად) დაფუძნდა შპს ენგურის ჰიდრომაკუმულირებელი ელექტროსადგური (შემდეგში - ეჰე). ეჰე დაფუძნდა ჰიდრომაკუმულირებელი სადგურის პროექტის მიზანშეწონილობის შესწავლისთვის და დადებითი შედეგების შემთხვევაში ეჰე-მ უნდა განახორციელოს აღნიშნული პროექტი. წესდების მიხედვით, პირველადი შენატანი ეჰე-ს საწესდებო კაპიტალში განისაზღვრა 1,500 ათასი აშშ დოლარით, რომელიც უნდა იქნას გადახდილი დამფუძნებლების მიერ მათი წილობრივი მონაწილეობის მიხედვით. 2020 წლის განმავლობაში „ჯგუფის“ მხრიდან არ განხორციელებულა ინვესტიცია ეჰე-ს საწესდებო კაპიტალში (2019: 446 ათასი ლარი).

ამასთან, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ ფლობს წილს კომპანიებში - შპს „საერთაშორისო მილსადენის კომპანია „სარმატია“ და შპს „AGRI LNG Project Company“, რომელთაგან ორივე მნიშვნელოვანი გავლენის საგანს წარმოადგენს. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 13 აპრილის ბრძანების №775 საფუძველზე, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს პროექტების „თეთრი ნაკადი“ და „ტრანსკასპიური გაზის მილსადენი“-ს განხორციელებაში. პარტნიორთა ყოველწლიური კრების საფუძველზე, რომელიც 2017 წლის 9 ივლისს გაიმართა, „სარმატია“-ს პარტნიორებმა მიიღეს გადაწყვეტილება შპს „სარმატია“-ს საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ. ზემოხსენებული გადაწყვეტილების საფუძველზე, მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების შეძენაში გადახდილმა ფულადმა სახსრებმა შეადგინა 740 ათასი ლარი.

„ჯგუფის“ არცერთი ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში არ წარმოადგენს საჯარო საწარმოს და, შესაბამისად, ისინი არ აქვეყნებენ აქციების ფასების კოტირებას.

8. სხვა ხარჯები

'000 ლარი	2020	2019 (გადაანგარიშებული)
ტრანსპორტირება, მასალა, რემონტი და ტექნიკური		
უზრუნველყოფა	8,893	10,905
რეგულირების ხარჯები	2,335	2,759
კომუნალური ხარჯები	1,716	755
იურიდიული ხარჯები*	965	8,445
თბოსადგურის სატესტო რეჟიმში მუშაობის ხარჯი	903	-
პროფესიული მომსახურებები	621	206
დაზღვევის ხარჯები	611	608
საოფისე ხარჯები და საოფისე აღჭურვილობის ტექნიკური		
უზრუნველყოფა	468	806
აქტივების ჩამოწერა და გაყიდვა	263	843
წარმომადგენლობითი და ბიზნეს მოგზაურობების		
ხარჯები	168	689
სხვა	4,718	5,373
	21,661	31,389

*2019 წლის იურიდიული მომსახურების ხარჯები დაკავშირებულია იურიდიულ მომსახურებასთან, რომელიც „კომპანია“ მიიღო Hogan Lovells International LLP-სგან „კომპანიას“ და ამ უკანასკნელს შორის 2017 წლის 6 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც ეხება ფრონტერა რისორზ ჯორჯიან კორპორეიშენტთან არსებულ დავას (შენიშვნა 25 (b)). ზემოთ მოცემული პროფესიონალური მომსახურების ხარჯები მოიცავს აუდიტორული ფირმებისთვის, აუდიტორული და პროფესიული მომსახურებებისთვის გადახდილ თანხებს 343 ათასი ლარის ოდენობით (2019: 202 ათასი ლარი).

9. სხვა შემოსავალი

'000 ლარი	შენიშვნა	2020	2019 (გადაანგარიშებული)
პირგასამტეხლოდან მიღებული შემოსავალი		6,104	7,516
შემოსავალი გაცვლითი კურსებიდან		1,184	120
შემოსავალი ნავთობის გადამუშავებიდან		653	466
საიჯარო შემოსავალი		630	728
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		-	290
შემოსავალი მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის			
გაყიდვიდან		-	6,845
სხვა		1,283	1,496
		9,854	17,461

*2020 და 2019 წლებში მიღებული შემოსავალი პირგასამტეხლოდან უმეტესწილად უკავშირდება კონტრაქტის პირობების დარღვევისთვის დაკისრებულ პირგასამტეხლოს, რომელიც დაკავშირებულია თბოელექტროსადგურის მშენებლობის სახელშეკრულებლო ვადების გადაცილებასთან (იხილეთ შენიშვნა 30 (გ)).

10. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები

'000 ლარი	2020	2019 (გადაანგარიშებული)
მოგებაში ან ზარალში აღიარებული		
საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო		
განაკვეთის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით	7,955	14,999
დისკონტირების დაბრუნება ფინანსური იჯარის		
მოთხოვნაზე (შენიშვნა 14)	6,828	5,280
დისკონტირების დაბრუნება ურთიერთდაკავშირებული		
მხარის მიმართ რესტრუქტურიზებულ მოთხოვნაზე		
(შენიშვნა 16)	2,283	2,549
ფინანსური შემოსავალი	17,066	22,828
საპროცენტო ხარჯი სესხებსა და კრედიტებზე	(50,733)	(27,564)
სხვა ფინანსური ხარჯები	(3,961)	-
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული		
ზარალი*	(103,144)	(37,682)
ფინანსური ხარჯები	(157,838)	(64,246)
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური		
ხარჯები	(140,772)	(42,418)

* ლარი/აშშ დოლარის კურსი 2020 წლის ბოლოს გაუფასურდა 14%-ით, წინა წელთან შედარებით. იხილეთ შენიშვნა 22 (d) (i) სავალუტო რისკი

11. მოგების გადასახადის ხარჯი

2020 წელს „ჯგუფის“ მშობელმა კომპანიამ (სს საპარტნიორო ფონდი) მიიღო გადაწყვეტილება „კომპანიის“ 2019 წლის კონსოლიდირებული მოგების 35%-ის, დივიდენდების სახით განაწილების შესახებ (2019: 2018 წლის კონსოლიდირებული მოგების 35%). საქართველოს საგადასახადო კოდექსი აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს მოგების განაწილებაზე (იმ დივიდენდების გარდა, რომელიც ეკუთვნის 2008-2016 წლებში გამომუშავებულ წმინდა მოგებას) ქართულ სამეწარმეო სუბიექტებს შორის (გარდა მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული საწარმოსი), რომლებსაც აქვთ იურიდიული საწარმოს სტატუსი საქართველოში. იმის გათვალისწინებით, რომ განაწილებული დივიდენდები ეკუთვნოდა 2019 წლის გაუნაწილებელ მოგებას, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, აღნიშნული არ ითვლება მოგების განაწილებად და შესაბამისად მოგების გადასახადით არ იბეგრება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ქართულ მეწარმე სუბიექტებს შორის 2008-2016 წლებში გამომუშავებული წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება ითვლება შემოსავლების განაწილებად, 2008-2016 წლების კუთვნილი, გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლის უფლებით.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯამური გადასახადი, რომელიც შეიძლება გაიქვითოს მოგების გადასახადთან, რომელიც ეხება 2008-2016 წლებში გამომუშავებული წმინდა მოგების დივიდენდების სახით განაწილებას, შეადგენს 47,962 ათას ლარს.

12. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	გაზის და ნავთობის მილსადენები	მიწა და შენობა- ნაგებობები	ელექტრო- ენერგიის წარმოების ერთეული	ნავთობის ჭაბურღილები	მანქანა- დანადგარები	სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებული მოწყობილობები	სულ
თვითღირებულება/შეფასებული ღირებულება								
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს, ადრე წარდგენილის შესაბამისად	431,297	44,469	381,403	35,404	19,921	12,691	315,210	1,240,395
კორექტირების შედეგი	-	-	-	-	-	-	15,224	15,224
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს (გადაანგარიშებული)	431,297	44,469	381,403	35,404	19,921	12,691	330,434	1,255,619
შესყიდვები (გადაანგარიშებული)	2,188	1,963	-	-	322	2,522	225,623	232,618
გადატანები (გადაანგარიშებული)	10,533	1,355	4,016	18	58	-	(15,980)	-
კაპიტალიზირებული სასესხო ხარჯები (გადაანგარიშებული)	-	-	-	-	-	-	34,460	34,460
გაყიდვები (გადაანგარიშებული)	-	-	-	(17)	(299)	-	(3,323)	(4,117)
რეკლასიფიკაცია	1,646	-	-	-	-	-	(1,646)	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს (გადაანგარიშებული)	445,664	47,787	385,419	35,405	20,002	14,735	569,568	1,518,580
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	445,664	47,787	385,419	35,405	20,002	14,735	569,568	1,518,580
შესყიდვები	1,604	3,783	2,239	-	185	926	145,242	153,979
გადატანები	20,603	1,465	505,879	-	185	33	(528,165)	-
კაპიტალიზირებული სასესხო ხარჯები	-	-	-	-	-	-	7,152	7,152
გაყიდვები	-	(29)	-	-	-	-	(4,143)	(4,172)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	467,871	53,006	893,537	35,405	20,372	15,694	189,654	1,675,539
ცვეთა და გაუფასურების ზარალი								
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს, ადრე წარდგენილის შესაბამისად	174,151	7,245	52,716	26,396	12,185	6,261	3,040	281,994
კორექტირების შედეგი	-	-	9,711	-	-	-	-	9,711
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს (გადაანგარიშებული)	174,151	7,245	62,427	26,396	12,185	6,261	3,040	291,705
წლის ცვეთა (გადაანგარიშებული)	18,212	621	17,852	700	1,783	1,592	-	40,760
გაყიდვები	-	-	-	(17)	(16)	(478)	-	(511)
რეკლასიფიკაცია	952	-	-	-	-	-	(952)	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს (გადაანგარიშებული)	193,315	7,866	80,279	27,079	13,952	7,375	2,088	331,954
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	193,315	7,866	80,279	27,079	13,952	7,375	2,088	331,954
წლის ცვეთა	18,619	901	35,583	585	1,877	1,135	-	58,700
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	211,934	8,767	115,862	27,664	15,829	8,510	2,088	390,654
საბალანსო ღირებულებები								
2019 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)	257,146	37,224	318,976	9,008	7,736	6,430	327,394	963,914
2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	252,349	39,921	305,140	8,326	6,050	7,360	567,480	1,186,626
2020 წლის 31 დეკემბერი	255,937	44,239	777,675	7,741	4,543	7,184	187,566	1,284,885

დაუმონტაჟებელი მოწყობილობები შეადგენს 105,877 ათას ლარს (2019 წელს: 92,475 ათასი ლარი) ჯამური 187,566 ათასი ლარის ნაშთიდან (2019 წელს: 567,480 ათასი ლარი). დაუმონტაჟებელი მოწყობილობა მოიცავს მშენებარე აქტივებს და დაუმონტაჟებელ მოწყობილობებს. დაუმონტაჟებელი მოწყობილობების უმეტესობა გაზის მილსადენებისგან და ტურბინებისგან შედგება, რომელთა გამოყენებაც ჯერ არ დაწყებულია. იმის გამო, რომ საქართველოს ბაზარი არ არის განვითარებული, თითქმის შეუძლებელია თბოელექტროსადგურების ნაწილების სასწრაფო წესით შეძენა, გადაუდებელ სიტუაციებში, შესაბამისად „ჯგუფს“ უწევს დამატებითი მარაგის შენახვა.

დაუმთავრებელი მშენებლობის დამატებების ზრდა 108,195 ათასი ლარით (2019: 176,786 ათასი ლარი) ჯამური 145,242 ათასი ლარიდან (2019: 225,623 ათასი ლარი) დაკავშირებულია გარდაბნის მე-2 კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის მშენებლობასთან. ძირითადი მშენებლობა დასრულდა 2020 წლის 12 თებერვალს, თარიღი, როდესაც თბოსადგური მზად იყო გამოყენებისთვის და ამავე თარიღიდან დაიწყო მასზე ცვეთის დარიცხვა. „ჯგუფი“ იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს და თბოსადგურის სასარგებლო მომსახურების ვადად განსაზღვრული აქვს 25 წელი. გაზის ტურბინის ფრთების კაპიტალური რემონტი, რომელიც შესულია „ელექტროენერგიის წარმოების ერთეულის“ ძირითადი საშუალებების ჯგუფში, საბალანსო ღირებულებით 36,091 ათასი ლარის ოდენობით (2019: 1,596 ათასი ლარი) და რომლის ჩატარება ივარაუდება ყოველ 5-8 წელიწადში ერთხელ, აღირიცხება ცალკე კაპიტალური რემონტის კომპონენტად და ცვეთა ერიცხება ძირითადი აქტივისგან განცალკევებით.

დაუმთავრებელი მშენებლობის დარჩენილი ნაწილი ძირითადად შედგება მილსადენების მშენებლობა/რეაბილიტაციასთან დაკავშირებული სამუშაოებისგან.

2020 წელს, კაპიტალიზირებულმა საპროცენტო ხარჯებმა, რომელიც დაკავშირებულია გარდაბნის მე-2 კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის მშენებლობასთან, შეადგინა 7,152 ათასი ლარი (2019: 34,460 ათასი ლარი), ხოლო კაპიტალიზაციის განაკვეთმა - 7.27% (2019: 7.27%).

2020 წლის განმავლობაში „კომპანიის“ მშობელმა კომპანიამ განახორციელა 1,530 ათასი ლარის მიწის ნაკვეთების, 1,609 ათასი ლარის მილსადენების შენატანი, „კომპანიის“ სააქციო კაპიტალის ზრდის სახით (2019: მიწის ნაკვეთები 1,773 ათასი ლარი, მილსადენები - 1,854 ათასი ლარი). შეტანილი მიწის ნაკვეთების და მილსადენების თვითღირებულება მათ სამართლიან ღირებულებასთან არის მიახლოებული.

ხელმძღვანელობამ გაანალიზა გაუფასურების მაჩვენებლები ბასს 36 "აქტივების გაუფასურება" მოთხოვნების შესაბამისად და დაასკვნა, რომ 2020 წლის 31 დეკემბრისთვის გაუფასურების ინდიკატორები არ არსებობს.

13. ავანსები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
გრძელვადიანი აქტივები		
ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის	1,039	97,170
მიმდინარე აქტივები		
ავანსები	94,566	66,198
	95,605	163,368

2016 წლის 28 სექტემბერს შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-ს და „China Tianchen Engineering Corporation“-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება გარდაბნის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის დაპროექტების, შესყიდვისა და მშენებლობის შესახებ. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „China Tianchen Engineering Corporation“-სთვის ავანსად გადახდილმა თანხამ შეადგინა 89,953 ათასი ლარი. 2020 წლის თებერვალში გარდაბნის მე-2 თბოელექტროსადგურის მშენებლობა დასრულდა. შესაბამისად, ზემოხსენებული ავანსი სრულად იყო ათვისებული 2020 წელს.

მოკლევადიანი ავანსების ნაშთი ძირითადად დაკავშირებულია გაზის მომწოდებლებისთვის გადახდილ თანხებთან კომპანია „South Caucasus Pipeline Option Gas Company Limited“-ისთვის 68,173 ათასი ლარის ოდენობით (2019 წელს: 42,933 ათასი ლარი) და კომპანია „Azerbaijan Gas Supply Company Limited“-ისთვის (AGSC) 14,980 ათასი ლარის ოდენობით (2019 წელს 13,332 ათასი ლარი).

14. ფინანსური იჯარის მოთხოვნა

1996 წელს საქართველოს მთავრობა შევიდა 30-წლიან გარიგებაში ნავთობის კომპანიების კონსორციუმთან, რომელმაც იკისრა საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრიდან საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე სუფსის ნავთობტერმინალამდე ნავთობის მილსადენის სისტემის მშენებლობის და განვითარების ვალდებულება. გარიგების საფუძველზე ნავთობის კომპანიებს მიენიჭა მითითებული მილსადენის სისტემით ნავთობის საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანსპორტირების უფლება. მილსადენი საქართველოს სახელმწიფო ქონება გახდა. ამ მილსადენის საკუთრების უფლება გადაეცა „კომპანიას“ 2010 წლის ივნის-ივლისში „კომპანიის“ საწესდებო კაპიტალში განხორციელებული შენატანის სახით, ნომინალური ღირებულებით 269,299 ათასი ლარი. მილსადენით მოსარგებლე ნავთობკომპანიებისგან „ჯგუფი“ იღებს სატრანზიტო საფასურს ტრანსპორტირებული ნავთობის თითოეულ ბარელზე. ხელმძღვანელობამ განსაზღვრა, რომ თავდაპირველი გარიგება მოიცავდა ფინანსურ იჯარას დაწყების თარიღიდან, იმის გამო, რომ საიჯარო ხელშეკრულება მოიჯარეს გადასცემდა საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას.

„ჯგუფმა“ აღიარა ფინანსური იჯარის მოთხოვნა 39,229 ათასი ლარის ოდენობით იმ თარიღში, როდესაც საკუთრების უფლება მილსადენებზე გადაეცა „ჯგუფს“. ფინანსური იჯარის მოთხოვნა წარმოადგენს წმინდა ინვესტიციის მიმდინარე ღირებულებას იჯარაში, რომელიც აქტივების არაუზრუნველყოფილი ნარჩენი ღირებულების მიმდინარე ღირებულებას მოიცავდა იჯარის ვადის ბოლოს, რომელიც დისკონტირდება იჯარაში არსებული საპროცენტო განაკვეთით. 230,070 ათასი ლარის სხვაობა იჯარაში წმინდა ინვესტიციების ნომინალურ და მიმდინარე ღირებულებას შორის აღიარებულ იქნა კაპიტალში სამართლიანი ღირებულების ცვლილების სახით, მესაკუთრის არაფულადი შენატანისთვის.

'000 ლარი	2020	2019
ფინანსური საიჯარო მოთხოვნა 1 იანვარს	73,134	67,854
დისკონტირების დაბრუნება ფინანსური იჯარის მოთხოვნაზე	6,828	5,280
ფინანსური იჯარის მოთხოვნა 31 დეკემბერს	79,962	73,134

2020 წლის განმავლობაში ცვლადმა საიჯარო გადახდებმა ნავთობის ტრანსპორტირებიდან (აღიარებული კონსოლიდირებულ მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში), შეადგინა 26,348 ათასი ლარი (2019: 21,168 ათასი ლარი).

15. გაცემული სესხები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
გრძელვადიანი აქტივები		
აქციონერზე გაცემული სესხი	19,914	15,983
მესამე მხარეზე გაცემული სესხი	207	171
	20,121	16,154
მიმდინარე აქტივები		
მესამე მხარეზე გაცემული სესხი	1,513	1,692
	1,513	1,692
სულ გაცემული სესხები	21,634	17,846

აქციონერზე - სს „საპარტნიორო ფონდზე“ გაცემული სესხი არაუზრუნველყოფილ სუბორდინირებულ სესხს წარმოადგენს და ის აშშ დოლარშია დენომინირებული (4,500 ათასი აშშ დოლარი). მასზე ირიცხება სახელშეკრულებო წლიური საპროცენტო განაკვეთი 9,5%-ის ოდენობით.

სესხის ხელშეკრულების საფუძველზე ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის დაფარვა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2021 წლის 31 მაისისა ან ექვსი თვის შემდეგ სს საპარტნიორო ფონდის მიერ Credit Suisse-სთვის (სს საპარტნიორო ფონდის გამსესხებელი) გადასახდელი სესხის თანხის სრულად დაფარვიდან.

2020 წელს სს საპარტნიორო ფონდმა გამოიყენა Credit Suisse-სთან გაფორმებული სესხის ხელშეკრულების პირობა ძირითადი თანხის დაფარვის ვადის გაგრძელებაზე და გადასახდელი სესხის დაფარვის ვადა გაახანგრძლივა 2021 წლის სექტემბრამდე. შესაბამისად, „კომპანიამ“ გაახანგრძლივა სს საპარტნიორო ფონდისგან სესხის დაფარვის ვადა 2022 წლის მარტამდე.

2018 წლის მარტში „კომპანიამ“ გასცა სესხი ჯორჯიან ოილ ენდ გაზ ლიმიტედ-ზე (GOGL) (არ არის ურთიერთდამოკიდებული მხარე) 500 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. სესხზე ირიცხება სახელშეკრულებო წლიური საპროცენტო განაკვეთი 9,5%-ის ოდენობით. 2020 წლის განმავლობაში GOGL-მა გადაიხადა პროცენტი სესხის დაუფარავ ოდენობაზე. 2020 წლის 30 დეკემბრის სესხის დამატების საფუძველზე სესხის ძირითადი თანხის დაფარვის ვადა გაახანგრძლივდა 2021 წლის 31 დეკემბრამდე.

„ჯგუფის“ დამოკიდებულება საკრედიტო რისკზე და სესხებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი განხილულია 22-ე შენიშვნაში.

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

‘000 ლარი	2020	2019
გრძელვადიანი აქტივები		
რესტრუქტურისებული მოთხოვნები*	14,514	15,718
სულ გრძელვადიანი	14,514	15,718
მიმდინარე აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	247,889	275,677
რესტრუქტურისებული მოთხოვნები*	3,204	4,296
სხვა მოთხოვნები	997	1,655
სულ მიმდინარე	252,090	281,628
	266,604	297,346

*2017 წლის 16 ნოემბერს, „კომპანია“ და შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ (სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანია) გააფორმეს ხელშეკრულება მაგისტრალური მილსადენის იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნის რესტრუქტურისებულების შესახებ. ხელშეკრულების მხარეებმა შეათანხმეს გადახდის გრაფიკი, რის საფუძველზეც მთლიანი თანხა დაიფარება 2025 წლის ბოლოსთვის. მოთხოვნის რესტრუქტურისებულება გულისხმობს პირობების არსებით მოდიფიკაციას; შესაბამისად, რესტრუქტურისებულების თარიღისთვის „კომპანია“ შეწყვიტა არსებული მოთხოვნის აღიარება და აღიარა ახალი აქტივი ახალი პირობების გათვალისწინებით. 2017 წელს ნაშთის სამართლიანი ღირებულების დაანგარიშება პირველადი აღიარებისას, მოხდა მომავალი გადახდების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირდა წლიური საბაზრო საპროცენტო განაკვეთით 10.86%-ის ოდენობით (შენიშვნა 10). 2020 წელს შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ განახორციელა გადახდა 5,000 ათასი ლარის ოდენობით, ზემოხსენებული გადახდის გრაფიკის მიხედვით.

„ჯგუფის“ დამოკიდებულება საკრედიტო და სავალუტო რისკებზე, ასევე სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი განხილულია 22-ე შენიშვნაში.

17. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და შეზღუდული ფულადი სახსრების ნაშთები

‘000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
საბანკო ნაშთები	24,203	71,141
მოთხოვნამდე დეპოზიტები	49,831	64,674
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	74,034	135,815

დაფარვამდე ანაზრები წარმოადგენს ვადიან ანაზრებს, რომელთა დაფარვაც შეიძლება სავალდებულო გახდეს, სამთვლიანი ან მეტი დაფარვის ვადით განთავსების თარიღიდან და რომლებისთვისაც „ჯგუფს“ აქვს ანაზრის გატანის ცალმხრივი უფლება შეტყობინების გაგზავნიდან რამდენიმე დღეში, ჯარიმების გადახდის და არსებითი საპროცენტო ზარალის გარეშე. შედეგად, აღნიშნული ვადიანი ანაზრების კლასიფიკაცია მოხდა მათი ბუნებიდან გამომდინარე, რაც წარმოადგენს მოთხოვნამდე ანაზრს.

შეზღუდული ფულადი სახსრები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეზღუდული ფულადი სახსრების ნაშთი 924 ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს აკრედიტის ხელშეკრულების უზრუნველყოფის სახით ფლობილ საბანკო ნაშთებს საქართველოს ერთ ბანკში (2019: 60 ათასი ლარი).

საპროცენტო განაკვეთის რისკზე „ჯგუფის“ დამოკიდებულება და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი განხილულია 22-ე შენიშვნაში.

18. კაპიტალი

(a) სააქციო კაპიტალი

აქციების რაოდენობა (სხვაგვარად მითითებამდე)

	ჩვეულებრივი აქციები	
	2020	2019
ნომინალური ღირებულება	20 ლარი	20 ლარი
რაოდენობა 1 იანვრის მდგომარეობით	32,145,250	31,329,768
აქციების გამოშვება არაფულადი აქტივების შენატანების სანაცვლოდ	156,950	815,482
გამოშვებული 31 დეკემბრისთვის	32,302,200	32,145,250

ჩვეულებრივი აქციები

2020 წლის განმავლობაში „კომპანიის“ მშობელმა კომპანიამ გადაწყვიტა „კომპანიის“ სააქციო კაპიტალში გაეკეთებინა ძირითადი საშუალების შენატანი (მიწის ნაკვეთები და მილსადენები) ნომინალური ღირებულებით 3,139 ათასი ლარი, რომელიც დაახლოებით ტოლია ამ აქტივების სამართლიანი ღირებულების გადაცემის დღისთვის.

2019 წლის განმავლობაში „კომპანიის“ მშობელმა კომპანიამ „კომპანიის“ სააქციო კაპიტალში შეიტანა ძირითადი საშუალებები ნომინალური ღირებულებით 15,548 ათასი ლარი, და იკისრა 762 ათასი ლარის ვალდებულება 2020 წელს განსახორციელებელი კაპიტალური შენატანებისთვის. 2019 წელს შეტანილი ძირითადი საშუალებების ნომინალურ და სამართლიან ღირებულებებს შორის სხვაობამ (შენატანების განხორციელების თარიღებისთვის) შეადგინა 11,921 ათასი ლარი და აღიარებული იყო კაპიტალში „დამატებითი შენატანები კაპიტალში“ კომპონენტის შემცირების სახით.

(b) დამატებითი შენატანები კაპიტალში

დამატებით გადახდილი კაპიტალი წარმოადგენს „ჯგუფისთვის“ საქართველოს მთავრობის (რომელიც ასრულებს მისი აქციონერის ფუნქციას) მიერ გადაცემულ სარგებელს.

სააქციო კაპიტალის გაზრდისას, ნებისმიერი სხვაობა სააქციო კაპიტალის რეგისტრირებულ ოდენობას და შეტანილი აქტივების სამართლიან ღირებულებას შორის აღიარდება კაპიტალის ცალკეული კომპონენტის სახით, როგორც „დამატებითი შენატანები კაპიტალში“.

(c) დივიდენდები

2020 წელს 42,482 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები იქნა გამოცხადებული „კომპანიის“ მიერ (2019: 56,469 ათასი ლარი გამოცხადებული და 60,000 ათასი ლარი გადახდილი) და 38,951 ათასი ლარი გადახდილ იქნა სს „საპარტნიორო ფონდზე“.

სხვაობა გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებს შორის 2019 წელს აღიარებულ წინასწარ გადახდილ დივიდენდებს წარმოადგენს, რომლებიც გაქვითულია იმ დივიდენდებთან, რომლებიც 2020 წელს იქნა განაწილებული.

2020 წლის წმინდა მოგებიდან კომპანიის მიერ არ გამოცხადებულა და არ გადახდილა შუალედური დივიდენდები.

2019 წელს შპს გარდაბნის თბოსადგურმა გამოაცხადა 2,000 ათასი ლარის დივიდენდები, საიდანაც 982 ათასი იქნა გადახდილი არამაკონტროლებელი წილის მფლობელ - სს „საპარტნიორო ფონდზე“. 2020 წელს, შპს „გარდაბნის თბოსადგურს“ დივიდენდები არ გამოუცხადებია და არ გადაუხდია.

(d) არამაკონტროლებელი წილები

არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს სს „საპარტნიორო ფონდის“ შენატანს საწესდებო კაპიტალში და მის წილს შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ („ჯგუფის“ 51%-იანი შვილობილი კომპანია) კუმულატიურ გაუნაწილებელ მოგებაში (იხილეთ შენიშვნა 23).

2020 წელს „კომპანიამ“ ხელი მოაწერა სესხის ხელშეკრულებას ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) 2021 წლის აპრილში ევროზღოვანობის რეფინანსირების მიზნით, 217 მილიონი ევროს ოდენობით. 2020 წლის 20 სექტემბერს ხელი მოეწერა საგარანტიო ხელშეკრულებას შპს გარდაბნის თბოსადგურსა, შპს გარდაბნის თბოსადგური 2-სა და EBRD-ს შორის. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, შპს გარდაბნის თბოსადგური და შპს გარდაბნის თბოსადგური 2 (ერთობლივად - სესხის „გარანტორები“) შეთანხმდნენ, რომ ერთობლივად და ცალ-ცალკე უზრუნველყოფენ „კომპანიის“ EBRD-ს წინაშე არსებულ ვალდებულებებს სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში. საგარანტიო ხელშეკრულების თანახმად, თუ „კომპანია“ არ დაფარავს რაიმე თანხას სესხის ხელშეკრულების ფარგლებში, გარანტორები დაუყოვნებლივ გადაიხდიან ამ თანხას, თითქოს ისინი იყვნენ ძირითადი მოვალეები და არა მხოლოდ გარანტორები.

იმის გამო, რომ შპს გარდაბნის თბოსადგურმა და შპს გარდაბნის თბოსადგური 2-მა უზრუნველყვეს „კომპანიისთვის“ გარანტია ანაზღაურების გარეშე, გარანტია აღირიცხება როგორც განაწილება „კომპანიისთვის“, შვილობილი კომპანიების ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, სამართლიანი ღირებულებით. გარანტიის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შემოსავლის მიდგომის საფუძველზე, დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელის გამოყენებით. შეფასების მოდელი ითვალისწინებს მთლიანი პერიოდის სასესხო გადახდების ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომის გათვალისწინებით, რომელიც დისკონტირდება გარანტიის გაცემის თარიღისთვის არსებული, საქართველოს ბანკების მიერ კორპორატიულ კლიენტებზე უცხოურ ვალუტაში გაცემული გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების განაკვეთების გამოყენებით. გარანტიის მთლიანი სამართლიანი ღირებულება გაიყო შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ და შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-ს შორის მათი შესაბამისი წმინდა აქტივების წილის პროპორციულად. სამართლიანი ღირებულების შეფასება მესამე დონის სამართლიან ღირებულებად კლასიფიცირდა, ზემოაღნიშნულ შეფასების ტექნიკაში გამოყენებული შეტანილი მონაცემების საფუძველზე.

„ჯგუფის“ დონეზე აღნიშნული გარანტიები დაელიმინირდა და შემცირდა არამაკონტროლებელი წილი, „კომპანიის“ მესაკუთრეებზე მიკუთვნებადი გაუნაწილებელი მოგების სასარგებლოდ, შპს გარდაბნის თბოსადგურის გარანტიის წილით, რომელმაც შეადგინა 19,081 ათასი ლარი.

(e) განაწილება მესაკუთრეზე

საქართველოს მთავრობის განზრახვის, საქართველოს მოსახლეობისთვის გაზის სამომხმარებლო ტარიფების შენარჩუნების შესაბამისად და იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მთავრობა წარმოადგენს „კომპანიის“ საბოლოო მფლობელს, მთავრობამ დაავალა ამ უკანასკნელს გაფორმებინა N16 დამატება გაზის გაყიდვის ხელშეკრულებაზე (GSA), რომელიც გაფორმებულია სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტსა („SGEI“) და „კომპანიის“ შორის 2011 წლის 23 დეკემბერს, რამაც გამოიწვია, inter alia, (i) „კომპანიის“ მხრიდან SGEI-ის მიმართ არსებული მოთხოვნების შემცირება (108,475 ათასი ლარი დღგ-ს გარეშე), SGEI-ის მიერ „კომპანიისგან“ სოციალური გაზის შესყიდვის ფასების შემცირების გზით, 2018-2020 წლებში მოსახლეობაზე მიწოდებული „სოციალური გაზის“ შესაბამის მოცულობებზე და (ii) შესაბამისად, ახერხაიჯანული მხარის მიერ N12 შეთანხმებით გათვალისწინებულ, 2021-2025 წლებში („საკომპენსაციო პერიოდი“) მისაღებ 15 აშშ დოლარის ფასდაკლებაზე უარის თქმა. იხილეთ შენიშვნა 6(d)).

რადგან საქართველოს მთავრობა წარმოადგენს „კომპანიის“ საბოლოო მფლობელს, და ზემოხსენებული ოპერაცია განხორციელდა „ჯგუფის“ მიერ მთავრობის დავალების საფუძველზე და არ წარმოადგენს ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში შესრულებულ ტრანზაქციას, ხელმძღვანელობამ აღრიცხა ეს ოპერაცია კაპიტალში, როგორც „მესაკუთრეზე განაწილება“ და შესაბამისად „ჯგუფის“ გაუნაწილებელი მოგება შემცირდა 108,475 ათასი ლარით.

19. კაპიტალის მართვა

„ჯგუფს“ არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის შესაბამისი ბაზის უზრუნველყოფას „ჯგუფის“ საოპერაციო და სტრატეგიულ საჭიროებებთან დაკავშირებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, და ასევე ბაზრის მონაწილეების ნდობის შესანარჩუნებლად. ეს მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვის, „ჯგუფის“ შემოსავლებისა და მოგების და იმ გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების მუდმივი მონიტორინგის გზით, რომლებიც ძირითადად „ჯგუფის“ საოპერაციო ფულადი ნაკადებით და არაუზრუნველყოფილი ობლიგაციებით ფინანსდება. ამ ღონისძიებების გატარებით, „ჯგუფი“ მისი მოგების მდგრად ზრდას ისახავს მიზნად.

წლის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია კაპიტალის მართვაში „ჯგუფის“ მიდგომის ცვლილებას. „კომპანია“ ან/და მისი შვილობილი კომპანიები არ წარმოადგენენ გარედან დაკისრებული, კაპიტალის მოთხოვნების საგანს.

20. სესხები და კრედიტები

მოცემულ შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია „ჯგუფის“ პროცენტის სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც ამორტიზირებული ღირებულებით ფასდება. საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და ლიკვიდურობის რისკზე „ჯგუფის“ დამოკიდებულებების შესახებ მეტი ინფორმაცია იხილეთ 22-ე შენიშვნაში.

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გამოშვებული არაუზრუნველყოფილი ობლიგაცია	-	705,122
მიმდინარე ვალდებულებები		
გამოშვებული არაუზრუნველყოფილი ობლიგაციის		
მიმდინარე ნაწილი	828,152	16,902
	828,152	722,024

(a) სესხის დაფარვის ვადები და გრაფიკი

გადაუხდელი სესხების ვადები და პირობები იყო შემდეგი:

'000 ლარი				31 დეკემბერი 2020		31 დეკემბერი 2019	
	ნომინალური			ნომინალური	საბალანსო	ნომინალური	საბალანსო
	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი				
არაუზრუნველ- ყოფილი ობლიგაციის გამოშვება	აშშ დოლარი	6.75%	2021	829,148	828,152	725,675	722,024
სულ პროცენტისა ვალდებულებები				829,148	828,152	725,675	722,024

არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები, რომლის დაფარვის ვადა იყო 2021 წლის აპრილი, გამოშვებული იყო „კომპანიის“ 2012 წლის ევროობლიგაციების გადაფარვის მიზნით, რომელთა დაფარვის ვადა იყო 2016 წლის აპრილი.

2020 წლის დასაწყისიდან „კომპანიამ“ დაიქირავა წამყვანი საინვესტიციო ბანკები, რომელთა მიზანი იყო 2020 წლის მარტისთვის ფინანსურ ბაზარზე გასვლის ხელშეწყობა. თუმცა, COVID-19 პანდემიის გავრცელებისა და ფინანსური ბაზრების შემდგომი კრიზისის გამო, აღნიშნული პროცესი შეჩერდა არახელსაყრელი საბაზრო პირობების გამო. შესაბამისად, „კომპანიამ“, ბანკების რჩევის გათვალისწინებით, გადაწყვიტა დროებით შეეჩერებინა გარიგება და პარალელურად, 2020 წლის აპრილიდან დაიწყო ალტერნატიული დაფინანსების წყაროების ძიება.

EBRD-თან ფართომასშტაბიანი მოლაპარაკებების შედეგად, „კომპანიამ“ 2020 წლის სექტემბერში ხელი მოაწერა 217 მილიონი ევროს (873 მილიონი ლარი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) 10-წლიან სესხის ხელშეკრულებას, რომელიც აშშ დოლარის ექვივალენტში საკმარისი იყო გადასახდელი 250 მილიონი აშშ დოლარის (819 მილიონი ლარი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) ევროობლიგაციების და მათზე დარიცხული კუპონის დასაფარავად.

250 მილიონი აშშ დოლარის ევროობლიგაციების და მათზე დარიცხული კუპონის სრული დაფარვა მოხდა 2021 წლის აპრილში. ევროობლიგაციების დაფარვისთვის გამოყენებულმა სესხის მოცულობამ შეადგინა 853,734 ათასი ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრისთვის „კომპანიის“ მიერ EBRD-ს სესხი არ იყო გატანილი/ათვისებული და „კომპანიამ“ გადაიხადა სესხის მართვის საფასური 8,225 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც აღრიცხულ იქნა გადახდილი ავანსების სახით.

2018 წელს, კომპანიამ „KfW“-თან ხელი მოაწერა სასესხო ხელშეკრულებას 150 მილიონ ევროზე, საქართველოში პირველი მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობის დაფინანსებისთვის. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის არცერთი ტრანში არ ყოფილა გატანილი/ათვისებული და კომპანიამ გადაიხადა სესხის მომსახურების საფასური 904 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც აღიარებულ იქნა ფინანსურ ხარჯებში (2019 წელს „კომპანიამ“ გადაიხადა მართვის საფასური 4,455 ათასი ლარის ოდენობით და 89.5 ათასი ლარის სესხის მომსახურების საკომისიო).

2020 წელს, ფინანსური სირთულეების გათვალისწინებით, რომელიც გამოწვეული იყო COVID-19 პანდემიით, ფინანსთა სამინისტრომ 2020 წლის 23 აპრილს გამოსცა წერილი, რომლის თანახმად გადაწყდა მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობისთვის განკუთვნილი, KfW-სგან მიღებული 150 მილიონი ევროს აუთვისებელი სესხიდან 120 მილიონი ევრო მიემართათ სახელმწიფო ბიუჯეტში, სამთავრობო პროგრამების მხარდასაჭერად, რომელიც ხელს შეუწყობს პანდემიის და მისი შედეგების შემსუბუქებას.

შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, „კომპანიასა“ და KfW-ს შორის დადებული სასესხო ხელშეკრულება იქნა გადახდილი და შემცირებული 150 მილიონი ევროდან 30 მილიონ ევრომდე. შედეგად, 2018-2019 წლებში გადახდილი 3,961 ათასი ლარის მმართველობითი საფასური ჩამოწერილი იქნა სხვა ფინანსურ ხარჯებში 2020 წელს (იხილეთ შენიშვნა 10).

2020 წლის 31 დეკემბრისთვის, „კომპანიას“ აქვს ორი გამოუყენებელი საკრედიტო ხაზი ორი ქართული ბანკისგან (საკრედიტო ხაზების ლიმიტები შეადგენს 30,000 ათას აშშ დოლარს და 15,000 ათას აშშ დოლარს, შესაბამისად), საანგარიშგებო თარიღისთვის არცერთი საკრედიტო ხაზი არ იყო გამოყენებული/ათვისებული. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისათვის ორივე საკრედიტო ხაზის სახელშეკრულებო ვადა გასულია.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, EBRD-ის სესხზე პროცენტის დაფარვის კოეფიციენტთან დაკავშირებული ფინანსური კოვენანტი იქნა დარღვეული, რამაც გამსესხებელს სესხის დაფარვის მოთხოვნის უფლება მისცა, თუმცა 2021 წლის 30 ივნისს „ჯგუფმა“ გამსესხებლისგან სესხის მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საბუთი მოიპოვა, აღნიშნული კოვენანტის დარღვევის მიუხედავად.

იმის გათვალისწინებით, რომ განხილული სესხი არ ყოფილა ათვისებული 2020 წლის 31 დეკემბრისთვის და 2021 წელს, როდესაც სესხი იქნა ათვისებული, „ჯგუფმა“ მიიღო სესხის მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საბუთი, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კოვენანტის დარღვევა არ იქონიებს გავლენას „ჯგუფის“ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(ბ) აქტივებისა და ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 (გადაანგარიშებული)
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	722,024	671,620
სესხებიდან მიღებული შემოსულობები	10,067	-
სესხების დაფარვა	(10,000)	-
სულ ცვლილებები საფინანსო ფულად ნაკადებში	67	-
სხვა ცვლილებები		
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების		
ცვლილების გავლენა	103,140	36,260
საპროცენტო ხარჯი	50,733	27,564
კაპიტალიზირებული სასესხო ხარჯი	7,152	34,460
გადახდილი პროცენტი (შეტანილი საოპერაციო ფულად ნაკადებში)	(54,964)	(47,880)
სულ ვალდებულებასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	106,061	50,404
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	828,152	722,024

21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 (გადაანგარიშებული)
სავაჭრო ვალდებულებები	102,145	69,317
ვალდებულებები გრძელვადიანი აქტივებისთვის	3,626	23,072
სხვა ვალდებულებები	400	2,793
	106,171	95,182

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებით „ჯგუფის“ დამოკიდებულება სავალუტო და ლიკვიდურობის რისკზე განხილულია 22-ე შენიშვნაში.

22. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(a) სააღრიცხვო კლასიფიკაციები და სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ ფასით, რომელიც სტანდარტული ოპერაციის ფარგლებში, მიღებული იქნებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადახდილი იქნებოდა ვალდებულების გადაცემისას ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის. თუმცა განუსაზღვრელობის გათვალისწინებით და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნას ინტერპრეტირებული როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებლივ გაყიდვაში ან ვალდებულებების გადაცემაში.

„ჯგუფმა“ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს ისეთი სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს აქტივის გაყიდვით მისაღებ ან ვალდებულების გადაცემისას გადასახდელ ფასს შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის სტანდარტულ ოპერაციაში. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ანგარიშდება მომავალი ძირი თანხისა და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც დისკონტირდება ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

არაუზრუნველყოფილი ობლიგაციების სამართლიანი ღირებულების ხელმძღვანელობისეულმა შეფასებამ შედეგად მოგვცა ღირებულებების დიაპაზონი, რომელიც დაახლოებით საბალანსო ღირებულებას უტოლდება. მიუხედავად იმისა, რომ არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები ლონდონის საფონდო ბირჟაზეა რეგისტრირებული, ბაზარი არ არის აქტიური, რადგან მონაწილეები ძირითადად ინსტიტუციონალური ინვესტორები არიან და ბრუნვა ბაზარზე არ არის მაღალი.

„ჯგუფის“ სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება გონივრულად არის მიახლოებული მათ სამართლიან ღირებულებებთან.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით „ჯგუფი“ შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ (b)(ii));
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ (c));
- საბაზრო რისკი (იხილეთ (d)).

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

სამეთვალყურეო საბჭოს აქვს მთლიანი პასუხისმგებლობა „ჯგუფის“ რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და მიმოხილვაზე.

„ჯგუფის“ რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად განიხილება ბაზრის პირობებისა და „ჯგუფის“ საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის „ჯგუფის“ ფინანსური ზარალის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვერელი მხარე ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ის ძირითადად წარმოიშობა „ჯგუფის“ კლიენტების მიმართ არსებული მოთხოვნებიდან, გაცემული სესხებიდან, ვადიანი დეპოზიტებიდან და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტებიდან.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს.

ანგარიშგების თარიღისთვის საკრედიტო რისკზე მაქსიმალური დამოკიდებულება იყო შემდეგი:

’000 ლარი	შენიშვნა	საბალანსო ღირებულება	
		31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	266,604	297,346
გაცემული სესხები	15	21,634	17,846
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	17	74,034	135,815
შეზღუდული ფულადი სახსრები		924	60
		363,196	451,067

(iii) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

„ჯგუფის“ დამოკიდებულება საკრედიტო რისკზე უმეტესწილად განპირობებულია მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლებით. თუმცა, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს მისი მომხმარებლების ზაზის საკრედიტო რისკზე, იმ ინდუსტრიის და ქვეყნის რისკების ჩათვლით, რომელშიც ოპერირებენ მომხმარებლები. შემოსავლების კონცენტრაციაზე დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მე-6 შენიშვნაში.

სავაჭრო მოთხოვნებიდან წარმოშობილი საკრედიტო რისკის შეზღუდვა ხდება კორპორატიული კლიენტებისთვის მაქსიმალური გადახდის პერიოდის (ერთი თვე) დაწესებით. ამასთანავე, ზოგიერთი კლიენტის შემთხვევაში რისკი იმართება კლიენტებისგან ავანსების მოთხოვნის გზით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით უზრუნველყოფა ზოგადად არ მოითხოვება. „ჯგუფს“ არ გააჩნია სავაჭრო მოთხოვნები, რომლებზეც არ აღიარდება ზარალის რეზერვი უზრუნველყოფის არსებობის გამო.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის საკრედიტო რისკზე მაქსიმალური დამოკიდებულება საანგარიშგებო თარიღისთვის, გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით იყო შემდეგი:

’000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ადგილობრივი	264,137	295,742
დსთ ქვეყნები	2,467	1,604
	266,604	297,346

სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო რისკის მაქსიმალური დამოკიდებულება ანგარიშგების თარიღისთვის კლიენტების ტიპების მიხედვით იყო შემდეგი:

’000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
გაზის დისტრიბუტორები	159,187	239,010
ელექტროენერგიის დისტრიბუტორები	81,353	24,822
გაზის მილსადენის საიჯარო ქირა (შენიშვნა 16)	22,851	24,264
სხვა	3,123	9,250
	266,604	297,346

2020 წლის 31 დეკემბრისთვის, „ჯგუფის“ ორი ყველაზე მნიშვნელოვანი მომხმარებლის მიმართ არსებული მოთხოვნების საბალანსო ნაშთი 157,403 ათას ლარს შეადგენდა (2019: 226,603 ათასი ლარი).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება კორპორატიული კლიენტებისთვის

„ჯგუფის“ მიერ საკრედიტო რისკების დონეების მიხედვით გადანაწილება ხდება იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელთა საფუძველზე შესაძლებელია ზარალის რისკის განსაზღვრა (მათ შორის გარე რეიტინგების, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებების, მმართველობითი ანგარიშების და ფულადი ნაკადების პროგნოზების და სხვა, კლიენტთან დაკავშირებული გარე ინფორმაციის საფუძველზე) და გამოცდილი საკრედიტო განსჯის გამოყენებით. საკრედიტო რისკების დონეები განისაზღვრება რაოდენობრივი და ხარისხობრივი ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც მიანიშნებს დეფოლტის რისკზე და შეესაბამება სააგენტოების გარე საკრედიტო რეიტინგების განმარტებებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

მოცემული ცხრილი გვაწვდის ინფორმაციას საკრედიტო რისკზე დაქვემდებარებაზე და კლიენტების მიმართ არსებულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2020
	არ არის		
მომხმარებლის საკრედიტო რისკის ხარისხი	გაუფასურებული კრედიტით	კრედიტით გაუფასურებული	სულ
დაბალი რისკი	248,660	-	248,660
საშუალო რისკი	18,344	-	18,344
მაღალი რისკი	-	8,865	8,865
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	267,004	8,865	275,869
ზარალის რეზერვი	(400)	(8,865)	(9,265)
სულ წმინდა საბალანსო ღირებულება	266,604	-	266,604

'000 ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2019
	არ არის		
მომხმარებლის საკრედიტო რისკის ხარისხი	გაუფასურებული კრედიტით	კრედიტით გაუფასურებული	სულ
დაბალი რისკი	279,191	-	279,191
საშუალო რისკი	21,047	-	21,047
მაღალი რისკი	-	7,944	7,944
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	300,238	7,944	308,182
ზარალის რეზერვი	(2,892)	(7,944)	(10,836)
სულ წმინდა საბალანსო ღირებულება	297,346	-	297,346

დაბალი რისკი - ხელშეკრულების მხარეს აქვს ძლიერი უნარი შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები უახლოეს პერიოდში და უარყოფითმა ცვლილებებმა ეკონომიკასა და ბიზნეს გარემოში გრძელვადიან პერსპექტივაში, ნაკლებად სავარაუდოა, უარყოფითი გავლენა იქონიოს ხელშეკრულების მხარის გადახდის უნარიანობაზე. საგარეო საკრედიტო რეიტინგი BBB-დან BB+ მდე (S&P).

საშუალო რისკი - ხელშეკრულების მხარეს აქვს რესტრუქტურირებული ხელშეკრულებით ნაკისრი ფულადი ნაკადების ვალდებულებები, რომელიც უნდა დაიფაროს უახლოეს პერიოდში და უარყოფითმა ცვლილებებმა ეკონომიკასა და ბიზნეს გარემოში გრძელვადიან პერსპექტივაში, შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს ხელშეკრულების მხარის გადახდისუნარიანობაზე.

მაღალი რისკი - ხელშეკრულების მხარეს აქვს სუსტი უნარი შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები უახლოეს პერიოდში და უარყოფითი ცვლილებები ეკონომიკასა და ბიზნეს გარემოში გრძელვადიან პერსპექტივაში, დიდი ალბათობით იქონიებს უარყოფით გავლენას ხელშეკრულების მხარეების გადახდისუნარიანობაზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა

წლის განმავლობაში, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

'000 ლარი	2020	2019
ნაშთი 1 იანვარს ფასს 9-ის ფარგლებში	10,836	8,068
წმინდა დარიცხვა/(შემცირება) წლის განმავლობაში	(1,571)	2,768
ნაშთი 31 დეკემბრის	9,265	10,836

(iv) გაცემული სესხები

გაცემული სესხის პირობები აღწერილია მე-15 შენიშვნაში. ხელმძღვანელობის შეფასებით არცერთი გაცემული სესხების ნაშთი არ არის კრედიტით-გაუფასურებული 2020 წლის 31 დეკემბრისთვის. სს „საპარტნიორო ფონდი“ რომელსაც გაცემული სესხების არსებითი ნაშთი უკავშირდება, კლასიფიცირებულია დაბალი რისკის კატეგორიაში. ყველა გაცემული სესხი კლასიფიცირებულია 1-ელ დონეზე და გაუფასურების ზარალი გამოთვლილია 12-თვიანი მოსალოდნელი ზარალის საფუძველზე, შესაბამისად დახლოებით 185 ათასი ლარი.

(v) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და შეზღუდული ფულადი სახსრების ნაშთები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ჯგუფის“, ბანკში არსებული თანხების 99% განთავსებულია 3 ქართულ ბანკში (2019: 3 ბანკი), რომელთაგან ორს Fitch-ის გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგით აქვს BB- შეფასება და ერთს - რუსული ბანკის ქართულ შვილობილ კომპანიას - გრძელვადიანი S&P Global Rating -ის რეიტინგი BB, სტაბილური პერსპექტივით.

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების და ფულადი სახსრების შეზღუდული ნაშთების გაუფასურება დაანგარიშებული იყო 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე და ასახავს დაქვემდებარების მოკლე ვადიანობას. ყველა ნაშთი კლასიფიცირებულია 1-ელ ეტაპზე. „ჯგუფი“ არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაგენტი ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

(vi) ფინანსური იჯარის მოთხოვნა

ფინანსური იჯარის მოთხოვნის ნაშთი წარმოადგენს საიჯარო ვადის ბოლოს არსებულ არა-გარანტირებულ ნარჩენ ღირებულებას დისკონტირებულს იჯარაში ნაგულისხმები საპროცენტო განაკვეთით (იხ. შენიშვნა 14). შესაბამისად, ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ეს უკანასკნელი არ ატარებს საკრედიტო რისკს და არის ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნების ფარგლებს გარეთ, შესაბამისად ფინანსური იჯარის მოთხოვნებთან დაკავშირებით არ ყოფილა აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

(ც) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ „ჯგუფი“ სირთულეებს შეხვდება იმ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც დაკმაყოფილებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდების გზით. „ჯგუფის“ მიდგომა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით მოიცავს, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფას, რომ მას ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დროულად შესასრულებლად, როგორც ნორმალურ, ისე - სტრესულ ვითარებაში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან „ჯგუფის“ რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე. „ჯგუფის“ ლიკვიდურობის მართვა ასევე მოიცავს ობლიგაციების გამოშვების ხელშეკრულებაში ჩართული პირობების მონიტორინგს.

ზოგადად, „ჯგუფს“ ყოველთვის აქვს სათანადო მოთხოვნამდე ფულადი სახსრები, მისი მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯების დასაკმაყოფილებლად 60 დღის განმავლობაში, ფინანსური ვალდებულებების მომსახურების ჩათვლით; ეს გამორიცხავს ისეთი გაუთვალისწინებელი ვითარებების პოტენციურ გავლენას, რომლის გონივრულ ფარგლებში წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია, მაგალითად ბუნებრივი კატასტროფები ან გლობალური პანდემია.

ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარება

ქვემოთ წარმოდგენილია ანგარიშგების თარიღისთვის ფინანსური ვალდებულებების, დარჩენილი სახელშეკრულებო დაფარვის ვადები. თანხები წარმოდგენილია ბრუტო და არადისკონტირებული ფორმით და მოიცავს პროცენტის მოსალოდნელ გადახდებს და გამორიცხავს ურთიერთადაფარვის ხელშეკრულებების გავლენას.

'000 ლარი 2020	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	0-6 თვემდე	6-12 თვემდე	1-3 წლამდე
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
არაუზრუნველყოფილი ობლიგაციების გამოშვება	828,152	846,796	846,796	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	106,171	106,171	106,171	-	-
	934,323	952,967	952,967	-	-

'000 ლარი 2019	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	0-6 თვემდე	6-12 თვემდე	1-3 წლამდე
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
არაუზრუნველყოფილი ობლიგაციების გამოშვება	722,024	789,513	24,196	24,196	741,121
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	95,182	95,182	95,182	-	-
	817,206	884,695	119,378	24,196	741,121

არ არის მოსალოდნელი რომ დაფარვის ვადების ანალიზში შესულ ფულად ნაკადებს ადგილი ექნებათ არსებითად ადრე, ან არსებითად განსხვავებული ოდენობებით.

495,338 ათასი ლარის წმინდა მიმდინარე ვალდებულების პოზიციის მიუხედავად, 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, „ჯგუფს“ აქვს წმინდა საბრუნავი კაპიტალის 332,814 ათასი ლარის დადებითი ნაშთი. წმინდა მიმდინარე ვალდებულების პოზიცია 2020 წლის 31 დეკემბრისთვის ფაქტობრივად გამოწვეული იყო 2021 წლის აპრილში დასაფარი სასესხო ვალდებულებებით. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, „ჯგუფს“ ჰქონდა გამოუყენებელი სესხი EBRD-ისგან 217 მილიონი ევროს ოდენობით. 211,5 მილიონი ევროს სესხი ათვისებულ იქნა 2021 წლის თებერვალში, 2021 წლის აპრილში ევროობლიგაციების სრულად დაფარვის მიზნით. იხილეთ შენიშვნა 20.

(d) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ საბაზრო ფასების ისეთი ცვლილება, როგორც არის ვალუტის გაცვლითი კურსები, საპროცენტო განაკვეთები და აქციის ფასები იმოქმედებს „ჯგუფის“ შემოსავალზე ან მისი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანს წარმოადგენს ბაზრის რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის პროცესში.

(i) სავალუტო რისკი

„ჯგუფი“ ექვემდებარება სავალუტო რისკს იმ შესყიდვებთან, გაყიდვებთან და სესხებთან დაკავშირებით, რომლებიც დენომინირებულია „ჯგუფში“ შემავალი საწარმოების შესაბამისი სამუშაო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში. ვალუტა, რომელშიც ეს ოპერაციები უპირატესად არის დენომინირებული არის აშშ დოლარი. ზოგადად, „ჯგუფის“ სესხები იმ ვალუტებშია დენომინირებული, რომლებიც შეესაბამება „ჯგუფის“ ქვემდებარე ოპერაციების საფუძველზე გენერირებულ ფულად ნაკადებს. ეს უზრუნველყოფს ეკონომიკურ ჰეჯირებას წარმოებული ხელშეკრულებების დადების საჭიროების გარეშე.

„ჯგუფის“ დამოკიდებულება სავალუტო რისკზე იყო შემდეგი:

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

’000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული	აშშ დოლარში დენომინირებული
	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 (გადაანგარიშებული)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,467	1,604
გაცემული სესხები	21,427	17,675
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	204	14,561
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(47,299)	(58,407)
სესხები და კრედიტები	(828,152)	(722,024)
წმინდა დაქვემდებარება	(851,353)	(746,591)

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო განაკვეთი		კურსი ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის	
	2020	2019	2020	2019
აშშ დოლარი	3.1097	2.8192	3.2766	2.8677

მგრძნობელობის ანალიზი

აშშ დოლართან მიმართებაში ლარის გონივრულად შესაძლებელი 20%-იანი გაუფასურება (2019 წელს 10%), ქვემოთ მითითებულის შესაბამისად, 31 დეკემბრისთვის, იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და გაზრდიდა/(შემცირებდა) კაპიტალს და მოგებას ან ზარალს ქვემოთ ნაჩვენები ოდენობით. ანალიზი იყენებს დაშვებას, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება და ის გამორიცხავს პროგნოზირებული ყიდვა-გაყიდვების ნებისმიერ გავლენას.

’000 ლარი	მოგება ან (ზარალი)
31 დეკემბერი 2020	(170,271)
31 დეკემბერი 2019	(74,659)

31 დეკემბრის მდგომარეობით ლარის გამყარებას აშშ დოლართან მიმართებაში ექნებოდა ზემოთ ნაჩვენები ოდენობის ტოლი, მაგრამ უკუეფექტი იმ პირობით, რომ ყველა სხვა ცვლადი უცვლელი დარჩება.

(ii) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება პირველ რიგში მოქმედებს სესხებსა და კრედიტებზე მათი სამართლიანი ღირებულების (ფიქსირებულგანაკვეთიანი სესხი) ან მომავალი ფულადი ნაკადების (ცვლადი განაკვეთის მქონე სესხი) ცვლილების გზით. ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის განსაზღვრად, თუ რამდენად უნდა იყოს „ჯგუფი“ დამოკიდებული ფიქსირებულ ან ცვლად განაკვეთებზე. თუმცა, ახალი სესხებისა და კრედიტების აღებისას ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იმის გადასაწყვეტად, იქნება თუ არა ფიქსირებული ან ცვლადი განაკვეთი მეტად სასურველი „ჯგუფისთვის“ მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, დაფარვის ვადის დადგომამდე.

საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება

ანგარიშგების თარიღისთვის „ჯგუფის“ პროცენტის ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის შემადგენლობა იყო შემდეგი:

’000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტები		
გაცემული სესხები	21,634	17,846
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	74,034	135,815
შეზღუდული ფულადი სახსრები	924	60
სესხები და კრედიტები	(828,152)	(722,024)
	(731,560)	(568,303)

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

„ჯგუფი“ არ აღრიცხავს ფიქსირებულგანაკვეთიან ფინანსურ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. შესაბამისად, ცვლილებას საპროცენტო განაკვეთებში ანგარიშგების თარიღისთვის არ ექნება გავლენა მოგებაზე ან ზარალზე ან კაპიტალზე.

23. მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანიები და არამაკონტროლებელი წილები

2013 წლის ოქტომბერში „კომპანია“ და სს „საპარტნიორო ფონდმა“ დააფუძნეს ახალი შვილობილი კომპანია შპს „გარდაბნის თბოსადგური“ 51% და 49% წილობრივი მონაწილეობით, შესაბამისად. საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 100,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. გადახდილი საწესდებო კაპიტალი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 175,185 ათას ლარს (2019 წელს: 175,185 ათასი ლარი) შეადგენდა.

შვილობილი კომპანიის, შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ წესდების თანახმად, კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებას სჭირდება ერთპიროვნული შეთანხმება. ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ „ჯგუფი“ აკონტროლებს შვილობილ კომპანიას, რადგან ის ექვემდებარება (აქვს უფლება) ცვალებად ამონაგებს შვილობილ კომპანიაში მისი ჩართულობიდან და მას შესწევს უნარი გავლენა იქონიოს ამგვარ ამონაგებზე, შვილობილ კომპანიაზე მისი უფლებამოსილების გამოყენების გზით. აღნიშნული დასკვნა ეფუძნება საკუთრების წილის პროცენტულ მაჩვენებელს და შვილობილი კომპანიის წესდებაში განსაზღვრული გადაწყვეტილებების მნიშვნელობას, რომლისთვისაც საჭიროა მარტივი ხმათა უმრავლესობა.

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წლისათვის

შვილობილი კომპანია შეიქმნა გარდაბნის კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურის (CCPP) მშენებლობისა და ექსპლუატაციის მიზნით. სამშენებლო სამუშაოები 2015 წლის ივლისის თვეში დასრულდა. გარდაბნის კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურმა შემოსავლის გენერირება 2015 წლის სექტემბრიდან დაიწყო.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ინფორმაცია „ჯგუფის“ შვილობილი კომპანიის „გარდაბნის კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურის“ შესახებ, რომელსაც არსებითი არამაკონტროლებელი წილი გააჩნია (იხილეთ აგრეთვე შენიშვნა 30 (d));

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2019 (გადაანგარიშებული)
‘000 ლარი			
არამაკონტროლებელი წილის პროცენტულობა	49%	49%	49%
გრძელვადიანი აქტივები	396,690	411,642	416,512
მიმდინარე აქტივები	54,747	44,722	49,267
გრძელვადიანი ვალდებულებები	(189,091)	(197,709)	(238,324)
მიმდინარე ვალდებულებები	(97,334)	(73,616)	(65,887)
წმინდა აქტივები	165,012	185,039	161,568
არამაკონტროლებელი წილის საბალანსო ღირებულება	80,856	90,669	79,168
შემოსავალი	232,324	224,966	209,090
მოგება	18,914	25,475	43,512
მოგება და სულ სრული შემოსავალი	18,914	25,475	43,512
არამაკონტროლებელი წილის კუთვნილი მოგება	9,268	12,483	21,321
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან	57,830	89,726	71,209
ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობებში	(9,027)	(9,050)	(35,472)
ფულადი ნაკადები გამოყენებული საფინანსო საქმიანობებში			
(არამაკონტროლირებული წილის დივიდენდები: 982 ათასი ლარი 2019 წელს)	(63,938)	(80,894)	(50,577)
წმინდა კლება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	(15,135)	(218)	(14,840)

2016 წლის აგვისტოში შეიქმნა ახალი შვილობილი კომპანია შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“, საწესდებო კაპიტალით 10,000 ათასი ლარის ოდენობით, რომელშიც „კომპანია“ 100%-იან წილს ფლობს. 2017 და 2018 წლების განმავლობაში, „ჯგუფმა“ დამატებითი ინვესტიცია განახორციელა შპს „გარდაბნის თბოსადგურის 2“-ის კაპიტალში და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ახალი შვილობილი კომპანიის საწესდებო კაპიტალმა 350,193 ათასი ლარი შეადგინა. 2019 წლის თებერვალში, „კომპანიამ“ მიიღო გადწყვეტილება 266,909 ათას ლარამდე შეემცირებინა შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-ის საწესდებო კაპიტალი. 2019 წლის თებერვალში „კომპანიამ“ 83,297 ათასი ლარით შეამცირა მისი ინვესტიციები შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-ში, რის შედეგადაც განულდა საინვესტიციო ვალდებულება და თანხა შვილობილ კომპანიაზე მიწოდებულ იქნა სესხის სახით.

2017 წლის აგვისტოში, დარეგისტრირდა ახალი შვილობილი კომპანია „GOGC Trading SA“, რომლის რეგისტრირებული მისამართია ჟენევა, შვეიცარია. „ჯგუფის“ მიზანს წარმოადგენს ნედლი ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობ-ქიმიკატების და სხვა საქონლით ვაჭრობა, ასევე ლოგისტიკა, აღნიშნული შვილობილი კომპანიის მეშვეობით. „კომპანია“ 100%-იან წილს ფლობს შვილობილ კომპანიაში, ფიქსირებული სააქციო კაპიტალით 100 ათასი შვეიცარული ფრანკის ოდენობით.

2020 და 2019 და წლებში დამატებითი შენატანი 450 ათასი და 450 ათასი შვეიცარული ფრანკის ოდენობით, შესაბამისად, განხორციელდა GOGC Trading SA-ის კაპიტალში.

2018 წლის ოქტომბერში დაფუძნდა ახალი შვილობილი კომპანია შპს საქართველოს გაზსაცავის კომპანია (შემდგომში - სგკ), რეგისტრირებული ოფისით - თბილისი, საქართველო, რომელშიც „კომპანია“ ფლობს 100%-იან წილს. წესდების მიხედვით, სგკ-ს თავდაპირველი კაპიტალი განისაზღვრა 100 ათასი ლარით. სგკ დაფუძნდა საქართველოში პირველი მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობისა და ოპერირებისთვის. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანიის“ ინვესტიციამ სგკ-ში შეადგინა 7,557 ათასი ლარი (ფულადი და არაფულადი შენატანები). 2020 წლის ბოლოსთვის გაზსაცავის მშენებლობა არ დაწყებულა.

24. კაპიტალური და სხვა ვალდებულებები

„ჯგუფმა“ გააფორმა მილსადენების მშენებლობის და ძირითადი საშუალებების შესყიდვის ხელშეკრულებები 3,841 ათასი ლარის ოდენობით დაუფარავი კაპიტალური ვალდებულებებით 2020 წლის 31 დეკემბრისთვის (2019: 8,802 ათასი ლარი - ძირითადად დაკავშირებული მილსადენების მშენებლობასთან, 45,030 ათასი ლარი, შესაბამისად - ძირითადად დაკავშირებული თბოელექტროსადგურის მშენებლობასთან და 2,266 ლარი დაკავშირებული ელექტროენერგიის ტრანსფორმატორის შეძენასთან).

2018 წლის 11 ივნისს „ჯგუფის“, შპს ენგურჰესის და სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის წილობრივი მონაწილეობით (40%, 40% და 20% შესაბამისად) დაფუძნდა შპს ენგურის ჰიდრომაკუმულირებელი ელექტროსადგური (შემდგომში - ეჰე). ეჰე დაფუძნდა ჰიდრომაკუმულირებელი სადგურის პროექტის მიზანშეწონილობის შესწავლისთვის და დადებითი შედეგების შემთხვევაში ეჰე-მ უნდა განახორციელოს აღნიშნული პროექტი. წესდების მიხედვით, პირველადი შენატანი ეჰე-ს საწესდებო კაპიტალში განისაზღვრა 1,500 ათასი აშშ დოლარით, რომელიც უნდა იქნას გადახდილი აქციონერების მიერ მათი წილობრივი მონაწილეობის მიხედვით. 2020 წლის განმავლობაში „ჯგუფის“ მხრიდან არ განხორციელებულა ინვესტიცია ეჰე-ს საწესდებო კაპიტალში (2019 : 446 ათასი ლარი).

„ჯგუფი“ წარმოადგენს დამატებითი გაზის შესყიდვის ხელშეკრულების მხარეს, რომელიც ძალაშია 2026 წლამდე, რომლის თანახმადაც „ჯგუფმა“ უნდა მიიღოს და გადაიხადოს ან აანაზღაუროს (მიღების გარეშე) კონკრეტული რაოდენობის გაზი წინასწარ განსაზღვრული ფასებით, რომლებიც ბუნებრივი გაზის მიმდინარე საბაზრო ფასზე მნიშვნელოვნად დაბალია. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, შესასყიდი და გადასახდელი „დამატებითი გაზის“ მთლიანი ნარჩენი ღირებულება 771,959 ათას ლარს შეადგენდა (2019: 783,315 ათასი ლარი).

„ჯგუფი“ ასევე წარმოადგენს გაზის გაყიდვის ხელშეკრულების მხარეს, რის საფუძველზეც მისმა კლიენტმა უნდა მიიღოს და აანაზღაუროს, ან აანაზღაუროს (მიღების გარეშე) „ჯგუფის“ მიერ შესყიდული გაზის მთლიანი რაოდენობა, მათ შორის „დამატებითი გაზის“ მთლიანი რაოდენობა. შედეგად „ჯგუფს“ მიაჩნია, რომ „დამატებითი გაზის“ შესყიდვასთან დაკავშირებით მათი ვალდებულება გაიქცითება „ჯგუფის“ კლიენტის ვალდებულებით, რომელიც მოიცავს გაზის რაოდენობის შესყიდვას და წარმოადგენს ეფექტურ სახელშეკრულებო ურთიერთშეთანხმებას, როდესაც „ჯგუფი“ მის ვალდებულებებს გადასცემს „ჯგუფის“ კლიენტს.

25. პირობითი ვალდებულებები

(a) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების პროცესშია და მსოფლიოს სხვა ნაწილებში მოქმედი სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. „ჯგუფს“ არ აქვს სრული სადაზღვევო ანაზღაურება მისი საწარმოო მოწყობილობების, ან მესამე პირის ვალდებულებებზე ქონებასთან ან გარემოს დაზიანებასთან მიმართებაში, რომელიც წარმოიშვება „ჯგუფის“ ქონებასთან ან მის ოპერაციებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევებიდან. სანამ „ჯგუფი“ არ მოიპოვებს ადეკვატურ სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ ზარალს ან კონკრეტული აქტივების განადგურებას ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა „ჯგუფის“ ოპერაციებზე და ფინანსურ პოზიციაზე.

(b) სასამართლო დავა

„სგტკ“-ს საქმე:

2017 წლის ოქტომბერში, „კომპანია“ შეიტანა სარჩელი „სგტკ“-ს („მოპასუხე“) წინააღმდეგ, რომლითაც ის ითხოვდა „მოპასუხის“ მიერ „კომპანიისთვის“ ბუნებრივი აირის ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობის მიუწოდებლობით გამოწვეული დაახლოებით 3,747 ათასი აშშ დოლარის ზარალის ანაზღაურებას.

ამასთან ერთად, „კომპანია“ ითხოვს „კომპანიის“ მიერ „მოპასუხისთვის“ იჯარით გადაცემული მილსადენების სისტემისთვის ამ უკანასკნელის მიერ მისი ოპერირების პერიოდში მიყენებული 706 ათასი ლარის ოდენობის ზარალის ანაზღაურებას. თბილისის საქალაქო სასამართლომ, რომელიც წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს, არ დააკმაყოფილა სარჩელი. „კომპანია“ საჩივარი შეიტანა სააპელაციო სასამართლოში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად ნებადართვის თარიღისთვის, სამართალწარმოება ჯერ არ დასრულებულა. თბილისის საქალაქო სასამართლოში 2020 წლის 24 აპრილს დანიშნული მოსმენა გადაიდო COVID-19-ის პანდემიის გამო.

ხელმძღვანელობის მოსაზრებით, 2020 წლის 31 დეკემბრისთვის და ანგარიშგების მომზადების შემდგომი პერიოდისთვის, სასამართლო განხილვის შედეგი გაურკვეველია, რის შედეგადაც „კომპანია“ აღრიცხვაში არ გაატარა ზემოაღნიშნულთან დაკავშირებული რაიმე შემოსავალი.

ფრონტერას საქმე:

2018 წლის ივლისში, „კომპანია“ და ნავთობის და გაზის სახელმწიფო სააგენტომ (შემდეგში - „ნგს“) შეიტანეს სარჩელი ფრონტერა რისორზ ჯორჯია ქორფორეიშენის (შემდეგში - „ფრონტერა“) წინააღმდეგ. „კომპანია“ და „ნგს“, სხვა მოთხოვნებთან ერთად, აყენებენ საკითხს „ფრონტერას“ მიერ „პწგზ“-ს (პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების) გარკვეული პირობების არსებითად დარღვევის თაობაზე, რაც მოიცავს სახელმწიფოებო ფართობის დაახლოებით 99%-ის დაბრუნების ვალდებულებას, თუმცა არ შემოიფარგლება ამით. ამის გარდა, „კომპანია“ და „ნგს“ ითხოვენ ზიანის ანაზღაურებას, მათ შორის ფულად კომპენსაციას, ნავთობის განაწილების და ტერიტორიის დაბრუნების ვალდებულებების დარღვევისთვის და „კომპანიის“ მიერ გადახდილი, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის ანაზღაურებას, რომელიც არ ყოფილა ანაზღაურებული „ფრონტერას“ მიერ.

2018 წლის სექტემბერში „ფრონტერამ“ აღძრა შეგებებული სარჩელი, „კომპანიის“ და „ნგს“-ის მიერ 2012-2027 წლებში „პწგზ“-ს ვითომდა ჩადენილი დარღვევების შედეგად 3,5 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის მიუღებელი მოგების ანაზღაურების მოთხოვნით. „კომპანია“ და „ნგს“-მ

შეგებებული სარჩელი უსაფუძვლოდ მიიჩნეის და მტკიცედ დაუპირისპირდნენ მას. მიუღებელი მოგების ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნასთან ერთად, „ფრონტერამ“ დააყენა 3,5 მილიონ აშშ დოლარის ოდენობის გადასახადებთან (დღგ და აქციზის გადასახადი) დაკავშირებული მოთხოვნა და მოითხოვა XII ბლოკის ტერიტორიაზე დაშვების უფლების მოპოვების მიზნით გაწეული 74 ათასი აშშ დოლარის ოდენობის იურიდიული ხარჯების ანაზღაურება.

2019 წელს „ფრონტერამ“ საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართა განცხადებით შეგებებული სარჩელის ნებაყოფლობითი გამოთხოვის თაობაზე. „კომპანიამ“ და „ნგს“-მ გააპროტესტეს „ფრონტერას“ მოთხოვნა, თუმცა მოგვიანებით უარი თქვეს შეთავაზებული გამოთხოვისათვის წინააღმდეგობის გაწევაზე.

2020 წლის 17 აპრილს საარბიტრაჟო სასამართლომ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება სადავო საკითხებთან დაკავშირებით. საარბიტრაჟო სასამართლომ მხარი დაუჭირა „კომპანიის“ და „ნგს“-ის მიერ „პწგზ“-ს ინტერპრეტაციას მხარეთა შესაბამისი უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრის ნაწილში. საარბიტრაჟო სასამართლომ, სხვა საკითხებზე მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან ერთად, დაადგინა, რომ საძიებო ფართობის დაბრუნებასა და სახელმწიფოსთვის გადაცემაზე უარის თქმით მოპასუხემ - „ფრონტერამ“, „პწგზ“-ის არსებითი დარღვევა ჩაიდინა. გადაწყვეტილების მიხედვით, „ფრონტერა“ და შპს „Frontera Resources US LLC“ ვალდებული არიან აანაზღაურონ „კომპანიის“ მიერ „ფრონტერას“ სახელით გადახდილი ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლის თანხა და ასევე, „კომპანიის“ მიერ საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები 18,522 ათასი ლარის ოდენობით. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებამ დაადასტურა „ფრონტერას“ მიერ შეტანილი შეგებებული სარჩელის გამოთხოვა და მასთან დაკავშირებით წარმოების შეწყვეტა. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დებულებების და „პწგზ“-ს თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არის საბოლოო და მხარეთათვის სავალდებულო.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიხედვით „კომპანიას“ აქვს ფრონტერასგან 18,522 ათასი ლარის კომპენსაციის მოთხოვნის იურიდიული უფლება და „კომპანია“ იმედოვნებს ამ თანხის სრულად ამოღებას, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ფასს-ის მიზნებისთვის აღნიშნული უფლება არ აკმაყოფილებს მისი, მისაღებ შემოსავლად აღიარების მკაცრ კრიტერიუმებს, იგი არ არის გათვალისწინებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

(c) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლოს გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილებები ახასიათებს, რაც ხშირად გაურკვეველი, ურთიერთგამომრიცხავი და განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, დამატებითი გადასახადის, მოსაკრებლის ან ჯარიმის ვალდებულება არ დაეკისრება საგადასახადო უწყებების მიერ იმ წლის დასრულებიდან სამი წლის გასვლის შემდეგ, როდესაც ადგილი ჰქონდა ამგვარ დარღვევას, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში საგადასახადო წელიწადი შეიძლება უფრო დიდხანს დარჩეს ღია.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. ამასთან, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს „ჯგუფისეული“ ინტერპრეტაციისაგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(d) ეკოლოგიური საკითხები

საქართველოში ეკოლოგიური რეგულაციების ძალაში შესვლა განვითარების პროცესში იმყოფება და სამთავრობო უწყებების აღსრულების პოზიცია მუდმივად გადაიხედება. „კომპანია“ პერიოდულად აფასებს ეკოლოგიური რეგულაციების ფარგლებში მის ვალდებულებას. ვალდებულებები განსაზღვრისთანავე აღიარდება. შეუძლებელია იმ პოტენციური ვალდებულებების შეფასება, რომლებსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ცვლილებების განხორციელებით არსებულ რეგულაციებში, სამოქალაქო სამართალწარმოებაში ან კანონმდებლობაში, თუმცა მათ შესაძლოა არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს. მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში აღსრულების მოცემულ ვითარებაში, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ არ არსებობს გარემოსთვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

26. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

(a) კონტროლის ურთიერთობები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ მთლიანად ფლობს სს „საპარტნიორო ფონდი“. „ჯგუფის“ საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა საქართველოს მთავრობა. „ჯგუფის“ მშობელი კომპანია აქვეყნებს საჯაროდ ხელმისაწვდომ ფასს-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

(b) ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვანმა ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რაც შესულია თანამშრომელთა ხელფასებში:

'000 ლარი	2020	2019
ხელფასები და ბონუსები	1,174	1,284

(c) სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

„ჯგუფი“ ყოველდღიურ საქმიანობას ახორციელებს რიგ საწარმოებთან, რომლებიც კონტროლდება ან ერთობლივად კონტროლდება საქართველოს მთავრობის მიერ ან იმყოფება ამ უკანასკნელის მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ. „ჯგუფმა“ მიიღო ბასს 24-ის (დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები) გათავისუფლების გამოყენების გადაწყვეტილება, რომელიც სამთავრობო უწყებებთან განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების შემცირებული სახით წარდგენის საშუალებას იძლევა.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ სხვა შემოსავლისა და ხარჯის, ასევე სამთავრობო უწყებებთან დაკავშირებული ნაშთების მთლიანი თანხა, ქვემოთ განსაზღვრულის გარდა, მნიშვნელოვანი არ არის.

„ჯგუფის“ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია ქვემოთ. ოპერაციები საქართველოს მთავრობასთან განხილულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში 6, 11, 15 და 16.

(i) შემოსავალი

'000 ლარი	გარიგების ღირებულება		დაუფარავი ნაშთი	
	31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		31 დეკემბრისთვის	
	2020	2019	2020	2019
სახელმწიფოს მიერ კონტროლირებული საწარმოები:				
შემოსავალი გაზის მილსადენების იჯარიდან*	43,065	43,059	22,851	24,264
შემოსავალი ელექტროენერგიის გამომუშავებისა და მიწოდებიდან	148,441	119,996	31,377	11,991
მშობელი კომპანიის მეკავშირე:				
შემოსავალი ელექტროენერგიის გამომუშავებიდან	14,948	37,997	-	4,318
	206,454	201,052	54,228	40,573

* მილსადენის იჯარის ნარჩენი ნაშთი წარმოადგენს შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ (იხილეთ შენიშვნა 16) მიმართ არსებულ რესტრუქტურიზებულ მოთხოვნას.

'000 ლარი	
სგტკ-ის მოთხოვნების წმინდა მიმდინარე ღირებულება 2020 წლის 1 იანვრისთვის	20,014
სგტკ-ის მიმართ არსებული მოთხოვნის დაფარვა 2020 წლის განმავლობაში	(5,000)
2020 წლის განმავლობაში აღარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	421
დისკონტირების დაბრუნება (შენიშვნა 10)	2,283
სგტკ-ის მოთხოვნების წმინდა მიმდინარე ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	17,718

ელექტროენერგიის წარმოებიდან და მიწოდებიდან მიღებულ შემოსავალთან დაკავშირებული დაუფარავი ნაშთები უნდა იყოს დაფარული ნაღდი ფულით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სამი თვის განმავლობაში. არცერთი ნაშთი არ არის უზრუნველყოფილი.

(ii) ხარჯები

'000 ლარი	გარიგების ღირებულება		დაუფარავი ნაშთი	
	31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		31 დეკემბრისთვის	
	2020	2019	2020	2019
სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი საწარმოები:				
ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება	9,632	12,561	1,504	1,973
	9,632	12,561	1,504	1,973

ნარჩენი ნაშთების ანგარიშსწორება ხდება ნაღდი ფორმით, საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისას სამი თვის განმავლობაში.

(iii) სესხები

'000 ლარი	დარიცხული პროცენტი		დაუფარავი ნაშთი	
	2020	2019	2020	2019
გაცემული სესხები:				
აქციონერი	1,793	1,409	19,914	15,983

27. შემდგომი მოვლენები

2021 წლის თებერვალში „კომპანია“ დაარსა ახალი შვილობილი კომპანია შპს გარდაბნის თბოელექტროსადგური 3, 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით. ახალი შვილობილი კომპანიის მიზანია გარდაბანში მესამე თბოელექტროსადგურის მშენებლობა და შემდგომი ოპერირება. მესამე თბოელექტროსადგურის მშენებლობის დაწყება ივარაუდება 2021 წლის მეორე ნახევარში.

„კომპანიას“, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 25 მარტის N129 დადგენილების საფუძველზე, დაეკისრა შვილობილი კომპანიის დაფუძნება, 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით, რომელიც გადამცემი სისტემის მფლობელის ფუნქციას შეასრულებს (როგორც განმარტებულია ეს ტერმინი საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების კანონში) და ამ შვილობილ კომპანიაზე საკუთრების უფლების გადაცემა გაზის მაგისტრალური მილსადენების სისტემაზე (MPGS). შვილობილი კომპანია გადაიხარებს „კომპანიის“ უფლებებსა და ინტერესებს შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიასთან გაფორმებულ MPGS-ს საიჯარო ხელშეკრულებაში და გახდება საიჯარო ხელშეკრულების მხარე „კომპანიის“ ნაცვლად. შვილობილი კომპანია - შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრე“ დარეგისტრირდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, 2021 წლის აპრილში (იხილეთ შენიშვნა 1 (a)).

2021 წელს, „კომპანიის“ სააქციო კაპიტალი გაიზარდა 216 ათასი ლარის არაფულადი შენატანებით (მიწის ნაკვეთები და სხვა აქტივები), რომელიც „კომპანიის“ კაპიტალში შეტანილ იქნა მშობელი კომპანიის მიერ.

2021 წლის აპრილში „კომპანია“ მოიპოვა მოკლევადიანი დაფინანსება ჯამური 134,677 ათასი ლარის ოდენობით, ოთხი ქართული ბანკისგან, სამუშაო კაპიტალის დაფინანსების მიზნით.

2021 წლის აპრილში „კომპანია“ სრულად დაფარა 250 მილიონი აშშ დოლარის (819 მილიონი ლარი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) ევროობლიგაციები და მათზე გადასახდელი კუპონი და ამისთვის აითვისა EBRD-სგან მიღებული სესხი 853,734 ათასი ლარის ოდენობით.

2020 წლის ოქტომბერში „კომპანია“ დაიწყო მოლაპარაკებები შპს სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტთან (SGEI) საქართველოს სოციალური გაზის სექტორში ბუნებრივი გაზის მიწოდების (მათ შორის „ქართული გაზის“ და „სოციალური გაზის“ ყიდვა/გაყიდვის), სახელშეკრულებო პირობების ცვლილების მიზნით, როგორც ეს გათვალისწინებულია „კომპანიასა“ და SGEI-ს შორის 2011 წლის 23 დეკემბერს დადებული გაზის მიწოდების ხელშეკრულებით (GSA), რომელიც გაფორმებულია საქართველოს მთავრობის და SOCAR-ის მიერ საქართველოსთვის სოციალური გაზის მიწოდების თაობაზე ურთიერთშეთანხმების განსაზღვრის თაობაზე 2011 წლის 23 დეკემბერს ხელმოწერილი მემორანდუმის საფუძველზე და მის შესასრულებლად. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები საქართველოს მთავრობისა და SOCAR-ის მონაწილეობით, ოფიციალური შეთანხმება მემორანდუმისა და ხელშეკრულების შესაბამის დებულებებში ცვლილებების შეტანის შესახებ არ არის ხელმოწერილი წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის.

28. COVID-19-ის გავლენა

COVID-19-ის პანდემიამ არსებითი გავლენა იქონია საქართველოზე 2020 წლის თებერვლის ბოლოდან. 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა და საქართველოს მთავრობამ დაიწყო გარკვეული ზომების მიღება ვირუსის შესაჩერებლად - დაწესდა შეზღუდვები ტრანსპორტით გადაადგილებაზე, ბიზნეს საზოგადოებისთვის იქნა მიცემული მითითება თანამშრომლების დისტანციურ მუშაობის რეჟიმზე გადაყვანის შესახებ და ა.შ. სოციალური დისტანცირების გასაუმჯობესებლად, სკოლები, რესტორნები, კინოთეატრები და სპორტული ღონისძიებები 2020 წლის უმეტესი პერიოდის განმავლობაში იქნა შეჩერებული.

COVID-19-ის აფეთქებამ არსებითი გავლენა იქონია ეკონომიკასა და ბიზნესგარემოზე გლობალურ დონეზე და საქართველოში. 2020 წლისთვის, საქართველოს მშპ-ს რეალური წლიური ცვლილება უარყოფითია და შეადგენს 6.1%-ს (საქსტატის თანახმად), 2019 და 2018 წლებთან შედარებით, სადაც ზრდა იყო 5.1% და 4.8%, შესაბამისად.

„ჯგუფი“ არ ელოდება, რომ COVID-19 პანდემიას ექნება მყისიერი უარყოფითი გავლენა „ჯგუფის“ ფინანსურ შედეგებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე, რადგან გაზის, ენერგეტიკის და კომუნალური სექტორები, როგორც წესი უფრო სტაბილურია, სხვა სექტორებთან შედარებით.

ხელმძღვანელობა არ გამორიცხავს, რომ კარანტინის პერიოდის გახანგრძლივებას, რეგულაციების სიმკაცრის ზრდას, ან მსგავს შეზღუდვებს უარყოფითი გავლენა ექნება ეკონომიკაზე, რომელიც თავის მხრივ უარყოფითად აისახება „ჯგუფის“ ფინანსურ შედეგებზე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდებში. „ჯგუფი“ ასევე განიხილავს მოვლენების უარყოფითი განვითარების სცენარებს და მზად არის მოახდინოს საოპერაციო გეგმების ადაპტაცია ამ ცვლილებების შესაბამისად.

29. შეფასების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

30. შეცდომების კორექტირება

(a) მომხმარებლისთვის გადასახდელი ანაზღაურება - გამოტოვება

2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, „ჯგუფმა“ აღმოაჩინა, რომ გაზის ძირითადი მომხმარებლისთვის გადასახდელი ანაზღაურება, რომელიც ეკუთვნოდა 2019 წლის პერიოდს არ იყო სწორად აღრიცხული, როგორც შემოსავლის შემცირება და შესაბამისი ფინანსური ვალდებულება არ იყო აღიარებული წინა წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ვალდებულების აღიარების ყველა პირობა იყო დაკმაყოფილებული და ინფორმაცია, მომხმარებლისთვის გადასახდელი ანაზღაურების შესახებ „კომპანიისთვის“ ხელმისაწვდომი იყო წინა წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე. შედეგად, ადრე გამოშვებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ნაშთი იყო შემცირებული, ხოლო შემოსავალი - გაზრდილი, 6,833 ათასი ლარით.

(b) ძირითადი საშუალებები - ზოგადი სასესხო ხარჯების კაპიტალიზაცია

2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, „ჯგუფმა“ აღმოაჩინა, რომ მილსადენების მშენებლობასა და რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ზოგადი სასესხო ხარჯები არ იყო კაპიტალიზირებული და გარდაბნის 2-ე თბოელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებული ზოგადი სასესხო ხარჯების ნაწილი არასწორად იქნა კაპიტალიზირებული წინა წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. შედეგად, ადრე გამოშვებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებების ნაშთი იყო შემცირებული 7,440 ათასი ლარით, ხოლო ფინანსური ხარჯი - გაზრდილი 1,286 ათასი ლარით.

(c) ძირითადი საშუალებები - ცვეთა „ჯგუფის“ დონეზე

2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, „ჯგუფმა“ აღმოაჩინა, რომ ჯგუფის დონეზე გარდაბნის თბოელექტროსადგურის და გარდაბნის 2-ე თბოელექტროსადგურის მშენებლობაზე კაპიტალიზირებულ საპროცენტო ხარჯებზე ცვეთა არ იყო დარიცხული. შედეგად ადრე გამოშვებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებების ნაშთი იყო გაზრდილი 1,756 ათასი ლარით, ხოლო ცვეთის ხარჯი - შემცირებული 409 ათასი ლარით.

(d) არამაკონტროლებელი წილი - კონსოლიდაციის კორექტირებები

2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, „ჯგუფმა“ აღმოაჩინა, რომ ადრე გამოშვებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რამდენიმე კონსოლიდაციის კორექტირება არასწორად იყო გათვალისწინებული არამაკონტროლებელი წილის ნაშთში. აღნიშნული შეცდომების შედეგად, ასევე წინამდებარე შენიშვნაში წარმოდგენილი შვილობილ კომპანიასთან დაკავშირებული სხვა კორექტირებების შედეგად, არამაკონტროლებელი წილების ნაშთი გაზრდილი იყო 14,059 ათასი ლარით, ხოლო გაუნაწილებელი მოგება იყო შემცირებული 14,059 ათასი ლარით ადრე გამოშვებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

(e) სათადარიგო ნაწილების კლასიფიკაცია

2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, „ჯგუფმა“ აღმოაჩინა, რომ სათადარიგო ნაწილების გარკვეული ნაწილი, რომელიც აკმაყოფილებს ძირითადი საშუალებების განმარტებას, მათ შორის ერთ პერიოდზე მეტი ვადით გამოყენების მოთხოვნას, არასწორად იქნა კლასიფიცირებული მარაგებში. შედეგად, ადრე გამოშვებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ძირითადი საშუალებების ნაშთები შემცირებული იყო 16,222 ათასი ლარით, ხოლო მარაგების ნაშთები - გაზრდილი იმავე თანხით.

(f) კომპონენტური აღრიცხვა

2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, „ჯგუფმა“ აღმოაჩინა, რომ კაპიტალური დანახარჯები, რომლებიც გაზის ტურბინების ფრთებს უკავშირდებოდა და რომლის გაწევაც აუცილებელია ყოველ 5-8 წელიწადში ერთხელ, არ აღირიცხებოდა, როგორც ცალკეული კომპონენტი და ცვეთა არ ერიცხებოდა ძირითადი აქტივისგან განცალკევებით. შედეგად, ადრე გამოშვებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ძირითადი საშუალებების ნაშთები გაზრდილია 10,764 ათასი ლარით, ხოლო ცვეთა შემცირებულია 2,401 ათასი ლარით.

(გ) დარიცხული პირგასამტეხლოს აღრიცხვის პერიოდი

2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, „ჯგუფმა“ აღმოაჩინა, რომ ძირითად კონტრაქტორზე დარიცხული ჯარიმა, რომელიც გარდაბნის 2-ე თბოსადგურის მშენებლობას უკავშირდებოდა და მასთან დაკავშირებული შესაბამისი ვალდებულების კორექტირება, რომელიც ეკუთვნოდა 2019 წელს, არ იყო აღრიცხული სწორ პერიოდში. შედეგად, ადრე გამოშვებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ნაშთი გაზრდილია 7,133 ათასი ლარით, ხოლო სხვა შემოსავლისა და ფინანსური ხარჯების თანხები შემცირებული იყო 7,364 ათასი ლარით და 231 ათასი ლარით, შესაბამისად.

ზოგადად, „ჯგუფი“ ჯარიმებიდან მიღებულ შემოსავალს აღიარებს დარიცხვის მეთოდით, როდესაც „ჯგუფს“ აქვს გადახდის მოთხოვნის უფლება ან ვალდებულებებთან ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და როდესაც დარწმუნებით მოსალოდნელია მომავალში აღნიშნული თანხების მიღება.

ცვლილებები მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის წარდგენაში

2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, „ჯგუფმა“ აღმოაჩინა, რომ ადრე გამოშვებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გაყიდვების თვითღირებულების და სხვა ხარჯების ნაწილი 854 ათასი ლარის ოდენობით, არასწორად იყო წარმოდგენილი მათი ფუნქციების და არა მათი ბუნების მიხედვით.

(h) კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

’000 ლარი

1 იანვარი 2019

ძირითადი საშუალებები

მარაგები

სულ აქტივები

სულ ვალდებულებები

არამაკონტრლებელი წილი

გაუნაწილებელი მოგება

სულ კაპიტალი

კორექტირების შედეგი

წინა

წარდგენილი

კორექტირება

გადაანგარიშებული

958,401

5,513

963,914

17,823

(9,070)

8,753

1,693,027

(3,557)

1,689,470

704,674

-

704,674

91,560

(12,392)

79,168

480,661

8,835

489,496

988,353

(3,557)

984,796

’000 ლარი

31 დეკემბერი 2019

ძირითადი საშუალებები

მარაგები

სულ აქტივები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სულ ვალდებულებები

არამაკონტრლებელი წილი

გაუნაწილებელი მოგება

სულ კაპიტალი

კორექტირების შედეგი

წინა

წარდგენილი

კორექტირება

გადაანგარიშებული

1,175,484

11,142

1,186,626

20,475

(16,222)

4,253

1,887,407

(5,080)

1,882,327

95,477

(295)

95,182

830,736

(295)

830,441

104,728

(14,059)

90,669

531,422

9,274

540,696

1,056,671

(4,785)

1,051,886

(i) კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	კორექტირებების შედეგი		
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	წინა წარდგენილი	კორექტირებები	გადაანგარიშებული
ცვეთა და ამორტიზაცია	(38,342)	(2,810)	(41,152)
შემოსავალი	880,581	(6,833)	873,748
გაზის და ნავთობის თვითღირებულება	(617,269)	854	(616,415)
სხვა შემოსავალი	10,097	7,364	17,461
სხვა ხარჯი	(30,535)	(854)	(31,389)
ფინანსური ხარჯები	(66,301)	1,055	(65,246)
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	121,376	(1,224)	120,152

(j) კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

'000 ლარი	კორექტირებების შედეგი		
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	წინა წარდგენილი	კორექტირებები	გადაანგარიშებული
მიმწოდებლებისა და თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(777,353)	(7,024)	(784,377)
მიღებული პროცენტი	12,917	(332)	12,585
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	60,621	(7,356)	53,265
ძირითადი საშუალებების შეძენა, გადახდილი ავანსების ჩათვლით	(234,084)	7,372	(226,712)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(208,019)	7,372	(200,647)
წმინდა კლება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	(212,835)	16*	(212,819)

2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, „ჯგუფმა“ აღმოაჩინა, რომ მიმწოდებლებისთვის და თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრების ნაწილი არასწორად იყო კლასიფიცირებული ძირითადი საშუალებების შეძენის სახით, მათ შორის ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგების საინვესტიციო საქმიანობებში გადახდილი ავანსები. შედეგად, ადრე გამოშვებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან შემცირებული იყო 7,024 ათასი ლარით, ხოლო ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან - გაზრდილი 7,024 ათასი ლარით.

*გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე

31. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში, და თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული „ჯგუფის“ საწარმოების მიერ.

ზოგიერთი შესადარისი თანხები დაკორექტირდა შეცდომების გასწორების შედეგად (იხილეთ შენიშვნა 30).

რიგი ახალი ან კორექტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები შევიდა ძალაში 2020 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არ იქონიეს არსებითი გავლენა „ჯგუფის“ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(a) კონსოლიდაციის საფუძველი

(i) არამაკონტროლებელი წილები

არამაკონტროლებელი წილები ფასდება შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების წილის პროპორციულად, შესყიდვის თარიღისთვის.

ცვლილებები „ჯგუფის“ შვილობილ კომპანიაში არსებულ წილში, რომლებიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას აღირიცხება, როგორც კაპიტალის ოპერაციები.

(ii) შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ „ჯგუფის“ მიერ კონტროლირებად სტრუქტურულ ერთეულებს. „ჯგუფი“ აკონტროლებს საწარმოს თუ მას აქვს შვილობილ კომპანიაში ჩართულობით ცვალებადი ამონაგების მიღების და ასევე ამონაგებზე გავლენის მოხდენის უფლებამოსილება (მისი ჩართულობიდან საწარმოში). შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება ჩართულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, კონტროლის დაწყების მომენტიდან მისი შეწყვეტის მომენტამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა იცვლება საჭიროებისამებრ, რათა შესაბამისობაში მოვიდეს „ჯგუფის“ მიერ მიღებულ ერთიან სააღრიცხვო პოლიტიკასთან. შვილობილ კომპანიაში არამაკონტროლებელ წილზე მიკუთვნებადი ზარალი, მიკუთვნებულია არამაკონტროლებელ წილებზე მიუხედავად იმისა, იწვევს ეს თუ არა არამაკონტროლებელი წილის უარყოფით (დეფიციტურ) ნაშთს.

(iii) წილები „ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში“

„ჯგუფის“ წილი მეკავშირე საწარმოებში მოიცავს წილებს მეკავშირე საწარმოებში და ერთობლივ საწარმოებში.

მეკავშირე საწარმოები წარმოადგენს საწარმოებს, რომლებშიც „ჯგუფს“ აქვს მნიშვნელოვანი გავლენა, მაგრამ არ ახორციელებს კონტროლს ან ერთობლივ კონტროლს ფინანსურ და საოპერაციო პოლიტიკებზე. მნიშვნელოვანი გავლენა არსებობს, როდესაც „ჯგუფი“ ფლობს 20%-დან 50%-მდე ხმის უფლებას სხვა საწარმოში.

ერთობლივი საწარმო წარმოადგენს გარიგებას რომელშიც „ჯგუფს“ აქვს ერთობლივი კონტროლი, რომლის საშუალებითაც „ჯგუფს“ აქვს უფლებები გარიგების წმინდა აქტივებზე, და არა უფლებები მის აქტივებზე და ვალდებულებები მის ვალდებულებებზე. წილი მეკავშირეებსა და ერთობლივ საწარმოებში აღირიცხება კაპიტალის მეთოდის გამოყენებით და თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. ინვესტიციის ღირებულება მოიცავს გარიგების ღირებულებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს „ჯგუფის“ წილს მეკავშირე საწარმოების მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში, „ჯგუფის“ სააღრიცხვო პოლიტიკებთან მორგების მიზნით კორექტირებების განხორციელების შემდეგ, იმ თარიღიდან, როდესაც იწყება მნიშვნელოვანი გავლენა ან საერთო კონტროლი, ამ უკანასკნელის დასრულებამდე.

როცა „ჯგუფის“ ზარალის წილი აღემატება მის წილს მეკავშირე საწარმოებში, ამგვარი წილის საბალანსო ღირებულება, ნებისმიერი გრძელვადიანი ინვესტიციების ჩათვლით, ნულამდე არის შემცირებული და შემდგომი ზარალის აღიარება წყდება, გარდა შემთხვევისა, როდესაც „ჯგუფს“ აქვს ვალდებულება ან აქვს განხორციელებული გადახდები ინვესტიციის ობიექტის სახელით.

(iv) კონსოლიდაციისას აღმოფხვრილი ოპერაციები

გამოირიცხება შიდა ჯგუფური ნაშთები და გარიგებები და „ჯგუფის“ შიდა გარიგებებიდან წარმოშობილი ნებისმიერი არარეალიზებული შემოსავალი ან ხარჯი. მეკავშირე საწარმოსთან დადებული გარიგებებიდან მიღებული არარეალიზებული ამონაგები აღმოიფხვრება ინვესტიციის საპირწონედ, ჯგუფის ინვესტიციის ობიექტში წილის მიხედვით. არარეალიზებული ზარალები აღმოიფხვრება იგივენაირად როგორც არარეალიზებული ამონაგები, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს გაუფასურების მტკიცებულება.

(b) შემოსავალი

ინფორმაცია „ჯგუფის“ სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, მოცემულია 6(e) შენიშვნაში.

(i) მილსადენების იჯარა

საოპერაციო იჯარა:

„კომპანია“ იჯარით გასცემს გაზის მილსადენებს და მათთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურას შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაზე“. საიჯარო ხელშეკრულება არის არა-გაუქმებადი და ძალაშია 2021 წლის 1 იანვრამდე.

გაზის მილსადენების იჯარებიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც წარმოადგენს ფიქსირებულ საიჯარო გადასახადს, აღიარდება მოგებაში ან ზარალში ყოველთვიურად (გთხოვთ იხილეთ შენიშვნა 6).

(ii) ნავთობის ტრანსპორტირება

ნავთობის ტრანსპორტირების საფასური მოიცავს ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით მიღებულ პირობით ქირას. შემოსავალი აღიარდება მილსადენებით გადაცემული ნავთობის მოცულობის მიხედვით, ხელშეკრულებით ბარელ ნავთობზე დადგენილი განაკვეთის საფუძველზე.

(c) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

„ჯგუფის“ ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავალი;
- ფინანსური საიჯარო მოთხოვნაზე დისკონტირების დაბრუნება;
- რესტრუქტურირებულ მოთხოვნაზე დისკონტირების დაბრუნება;
- საპროცენტო ხარჯი;
- კლიენტების მიერ გადახდის დაგვიანებისთვის დარიცხული ჯარიმები;
- უცხოური ვალუტის ამონაგები ან ზარალი ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. დივიდენდებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, იმ თარიღისთვის, როდესაც დადგენილია „ჯგუფის“ უფლებები გადახდების მიღებასთან დაკავშირებით.

‘ეფექტური საპროცენტო განაკვეთი’ არის განაკვეთი, რომელიც ადისკონტირებს მომავალ ფულად გადახდებს ან მისაღებ თანხებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში:

- ფინანსური აქტივის ბრუტო საბალანსო ღირებულებამდე ან
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებამდე.

საპროცენტო შემოსავლების და ხარჯების გაანგარიშებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის ბრუტო საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის კრედიტ-გაუფასურებული) ან ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებაზე. თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც გაუფასურებულია კრედიტით, მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საპროცენტო შემოსავალი ანგარიშდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებაზე გამოყენებით. თუ აქტივი აღარ არის კრედიტ-გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გაანგარიშება ისევ უბრუნდება ბრუტო საფუძველს.

(d) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია „ჯგუფის“ სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება ანგარიშსწორების თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით, „ჯგუფის“ სამუშაო ვალუტაში. უცხოური ვალუტით მიღებული ამონაგები ან ზარალი ფულად ერთეულებზე წარმოადგენს პერიოდის დასაწყისში არსებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული მოქმედი ვალუტის ამორტიზირებული ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებული ღირებულების სხვაობას.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში რომლებიც ფასდება ისტორიული ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტირებით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(e) დასაქმებულთა გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმის ფარგლებში, თუ „ჯგუფს“ ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ხსენებული თანხა თანამშრომლის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად, და როდესაც ხსენებული ვალდებულება შესაძლებელია საიმედოდ იქნას შეფასებული.

(f) მოგების გადასახადი

ზოგადად, მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე გადასახადს.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, აგრეთვე, წინა წლის საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი კორექტირება. მიმდინარე გადასახადი აგრეთვე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ გადასახადს.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და მოქმედებს საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში მოგვიანებით შევა.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა რომლისთვის არის გადახდილი დივიდენდები. დივიდენდების განაწილებაზე საგადასახადო ვალდებულების თანხა ანგარიშდება, როგორც წმინდა განაწილებული თანხის 15/85.

საგადასახადო ვალდებულების ჩათვლა გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებზე შესაძლებელია მოგების გადასახადზე, რომელიც გადაიხდება გაუნაწილებელ მოგებაზე 2008-2016 წლებში, თუ ამგვარი მოგება განაწილდება 2017 წელს ან შემდგომ წლებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განსაზღვრულია მოგების გადასახადის დარიცხვა გარკვეულ გარიგებებზე რომლებიც არ უკავშირდება პირის ეკონომიკურ საქმიანობას, უსასყიდლო მიწოდებებზე და დაშვებულ ფარგლებს გარეთ წარმომადგენლობით ხარჯებზე. კომპანია ამგვარი ოპერაციების დაბეგვრას ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებს გარეთ განიხილავს და მათ აღრიცხავს, როგორც მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადებს.

(g) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის ღირებულება ეფუძნება FIFO მეთოდის პრინციპს და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებასა და გადამუშავებაზე და პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია მარაგების მოცემულ ადგილსა და მოცემულ მდგომარეობაში მოსაყვანად. წარმოებული მარაგების და დაუსრულებელი წარმოების შემთხვევაში, ღირებულება მოიცავს წარმოების ზედნადები ხარჯების შესაბამის წილს ჩვეულებრივი სამუშაო სიმძლავრის საფუძველზე.

ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას გამოკლებული სავარაუდო დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

(h) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და აკუმულირებული გაუფასურების ზარალი. აქციონერის მიერ შენატანის სახით განხორციელებული ძირითადი საშუალებები თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება. ძირითადი საშუალებების თვითღირებულება ფასს-ის მიღების თარიღისთვის (2008 წლის 1 იანვარი), განისაზღვრა მოცემულ თარიღში მის სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით („მოსალოდნელი ღირებულება“).

თვითღირებულება მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის შეძენას. საკუთარი ძალებით აშენებული აქტივის თვითღირებულება მოიცავს მასალის და პირდაპირი შრომის ხარჯებს, ნებისმიერი სხვა ხარჯს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას მისი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად, დემონტაჟის და მისი გატანის ხარჯებს, ასევე იმ სამუშაო მოედნის აღდგენას, რომელზედაც ისინი არის განთავსებული, ასევე კაპიტალიზირებულ სასესხო ხარჯებს. შესყიდული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც შესაბამისი მოწყობილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება ამ მოწყობილობის ნაწილის სახით.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული მომსახურების ვადა აქვს, ისინი აღირიცხება როგორც ძირითადი საშუალების ცალკე ერთეული (ძირითადი კომპონენტი). გაზის ტურბინებთან დაკავშირებული კაპიტალური დანახარჯები, რომელიც შესულია „ელექტროენერგიის გამომუშავების ერთეულის“ ჯგუფში, რომლის ჩატარება ივარაუდება ყოველ 5-8 წელიწადში ერთხელ, აღირიცხება ცალკე კაპიტალური რემონტის კომპონენტად და ცვეთა ერიცხება ძირითადი აქტივისგან განცალკევებით.

ძირითადი საშუალების ერთეულის გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობისა და მისი საბალანსო ღირებულების შედარებით და აღიარდება წმინდა სახით მოგებაში ან ზარალში სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯების ფარგლებში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალების კომპონენტის ჩანაცვლების ხარჯი აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ კომპონენტში განვითეული მომავალი ეკონომიკური სარგებელი „ჯგუფში“ შემოედინება, და მისი ღირებულება სანდოდ შეიძლება შეფასდეს. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების ხარჯები გაწვევისთანავე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზა მდგომარეობაში მიყვანის მომენტიდან, ან ორგანიზაციის შიგნით შექმნილი აქტივებისთვის, იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი დასრულდება და გამოსაყენებლად მზად იქნება. ცვეთა ანგარიშდება აქტივის ღირებულებას გამოკლებული ნარჩენი ღირებულება.

ცვეთა ზოგადად აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით ძირითადი საშუალების ერთეულის თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, რადგან ეს მეთოდი საუკეთესოდ ასახავს აქტივის გამოყენების შედეგად მისაღები მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება იჯარის ვადასა და მათ მომსახურების ვადას შორის უმცირესით, გარდა შემთხვევებისა როდესაც გონივრულად მოსალოდნელია, რომ „ჯგუფი“ იჯარის ვადის ბოლოსთვის მიიღებს საკუთრების უფლებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი, ძირითადი საშუალებების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადა, მიმდინარე და შესადარის პერიოდში, შემდეგია:

– გაზისა და ნავთობის მილსადენები	30-35 წელი;
– შენობა-ნაგებობები	50 წელი;
– ელექტროენერგიის გამომუშავების ერთეული	25 წელი;
– ნავთობის ჭაბურღილები	4-9 წელი;
– მნიშვნელოვანი კაპიტალური დანახარჯები	8 წელი;
– მანქანა დანადგარები	2-14 წელი;
– სხვა	1-6 წელი.

ცვეთის მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და ნარჩენი ღირებულების გადახედვა ხორციელდება ყოველ საანგარიშგებო წელს და ისინი საჭიროებისამებრ კორექტირდება.

(i) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

„ჯგუფი“ სავაჭრო მოთხოვნებს და სასესხო ფასიან ქაღალდებს თავდაპირველად აღიარებს მათი წარმოშობის თარიღისთვის ყველა სხვა ფინანსური აქტივის და ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხორციელდება გარიგების თარიღისთვის, როდესაც „ჯგუფი“ ხდება ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვერელი მხარე.

ფინანსური აქტივი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის არის სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რომელსაც ემატება (თუ აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული), გარიგების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული მის ყიდვასთან ან გამოშვებასთან. სავაჭრო მოთხოვნა, მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტის გარეშე თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით.

(ii) კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას აქტივი კლასიფიცირდება: ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

„ჯგუფის“ მიერ არ ხდება ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია, მათი თავდაპირველი აღიარების შემდგომ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფი ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა დაკავშირებული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირდება ბიზნეს მოდელის შეცვლის შემდეგ საანგარიშგებო პერიოდის პირველ დღეს.

ფინანსური აქტივი აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობებას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და ძირ თანხაზე დაგროვილი დაუფარავი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში აღიარდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობებას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და ძირ თანხაზე დაგროვილი დაუფარავი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციების, რომლებიც არ არის გამიზნული ვაჭრობისთვის, თავდაპირველი აღიარებისას „ჯგუფს“ აქვს შეუქცევადი არჩევანის უფლება, სხვა სრულ შემოსავალში ასახოს ინვესტიციის სამართლიან ღირებულებაში განხორციელებული შემდგომი ცვლილებები. ეს არჩევანი კეთდება კონკრეტული ინვესტიციების მიხედვით.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ეს ვრცელდება ყველა წარმოებულ ფინანსურ აქტივზე. თავდაპირველი აღიარებისას, „ჯგუფს“ შეუქცევადი არჩევანის უფლება აქვს, ფინანსური აქტივი, რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასების კრიტერიუმებს, შეაფასოს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ამგვარი კლასიფიკაცია მთლიანად აღმოჩენის, ამ მნიშვნელოვნად ამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამობებს, რომლებიც სხვაგვარად წარმოიშვებოდა.

ფინანსური ვალდებულებები – კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და ამონაგები და ზარალი

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება - ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის არის სავაჭროდ გამიზნული, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად პირველადი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა შემოსულობით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და უცხოური გაცვლითი კურსიდან ამონაგები და ზარალი აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში. ნებისმიერი ამონაგები ან ზარალი აღიარების შეწყვეტისას, ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ცვლილება

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები იცვლება, „ჯგუფმა“ უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა შეცვლილი აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „მნიშვნელოვანი ცვლილება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

„ჯგუფი“ ახორციელებს მოცემული ცვლილების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები შეცვლილი ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. „ჯგუფი“ აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს „ჯგუფი“ ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

„ჯგუფი“ ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა სასესხო უზრუნველყოფაში;
- ცვლილებები ფინანსური აქტივის პირობებში, რომლებიც იწვევს შეუსაბამობას „მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდების“ კრიტერიუმებთან.

თუ ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული, შეცვლილი აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები, არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ ცვლილების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, „ჯგუფი“ ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს როგორც მოგებისა ან ზარალის კორექტირებას მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა ითვლება როგორც შეცვლილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს შეცვლილი ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და არის ამორტიზირებული შეცვლილი ფინანსური აქტივის დარჩენილი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

„ჯგუფი“ წყვეტს ფინანსურ ვალდებულების აღიარებას როდესაც იცვლება მისი პირობები და არსებითად განსხვავდება შეცვლილი ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი შეცვლილ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა ჩამოწერილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ შეცვლილ პირობებიან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ ცვლილება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას „ჯგუფი“ იყენებს ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. როდესაც ცვლილება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას „ჯგუფი“ აღიარებს ესეთი ცვლილებიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, ცვლილების (გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა კორექტირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან, მაგალითად, ცვლილებები ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთებში ინიცირებული ბანკების მიერ, ეროვნული ბანკის ძირითადი საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო, თუ სესხის ხელშეკრულების პირობები აძლევს ბანკებს ამის უფლებას და „ჯგუფს“ აქვს უფლება დაეთანხმოს გადახდილ საპროცენტო განაკვეთს ან დააბრუნოს სესხი ჯარიმების გარეშე. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, „ჯგუფი“ ხელმძღვანელობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც.

„ჯგუფი“ აფასებს არსებითია თუარა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. „ჯგუფი“ ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ფინანსური ვალდებულების ვალუტის ცვლილება;
- ცვლილებები გირაოში ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებები;
- კონვერტაციის პირობის დამატება;
- ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციის ცვლილება.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების ცვლილება მიჩნეულია ვალის განულებად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აღიარებულია ვალის განულებიდან მიღებულ შემოსულობასა ან ზარალში. თუ გაცვლა ან ცვლილება არ არის მიჩნეული ვალის განულებად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზირებულია შეცვლილი ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

(iv) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

„ჯგუფი“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც „ჯგუფი“ არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და „ჯგუფი“ არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე კონტროლს.

„ჯგუფი“ დებს გარიგებებს რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

“ჯგუფი” წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მის სახელშეკრულებო ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. “ჯგუფი” ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები იცვლება და შეცვლილი ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც კორექტირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი არაფულადი აქტივების გადაცემის და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(v) ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც ჯგუფს აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

(j) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც, კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციების და სააქციო ოფციონების გამოშვებასთან დაკავშირებული პირდაპირი მზარდი ხარჯები აღიარდება, როგორც გამოქვითვა კაპიტალიდან, ნებისმიერი გადასახადების გამოკლებით.

სააქციო კაპიტალის ზრდა

სააქციო კაპიტალის ზრდა ხორციელდება ახალი აქციების გამოშვების გზით. სააქციო კაპიტალის გაზრდისას ნებისმიერი სხვაობა სააქციო კაპიტალის რეგისტრირებულ თანხასა და შეტანილი აქტივების სამართლიან ღირებულებას შორის აღიარდება კაპიტალის ცალკე კომპონენტის სახით, როგორც სამართლიანი ღირებულების კორექტირების რეზერვი მესაკუთრეთა არაფულადი შენატანებისთვის ან დამატებით შეტანილი კაპიტალი.

(k) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები და სახელშეკრულებო აქტივები

„ჯგუფი“ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ზარალის რეზერვებს აღიარებს:

- ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე

„ჯგუფი“ აღრიცხავს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით, შემდეგი შემთხვევების გარდა როდესაც აღიარდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სავალო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი ანგარიშგების თარიღისთვის; და
- სხვა სავალო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომლებისთვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე და სახელშეკრულებო აქტივებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისათვის, ჯგუფი ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი დამატებითი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, ჯგუფის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

„ჯგუფი“ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის ზრდას მნიშვნელოვნად მიიჩნევს, როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

„ჯგუფი“ ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ როდესაც:

- არ არის სავარაუდო რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს „ჯგუფის“ მიმართ, „ჯგუფის“ მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ესეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსურ აქტივი 90 დღეზე მეტია ვადაგადაცილებული;

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი რომელიც წარმოიშობა ნებისმიერი შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას საანგარიშო თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევების შედეგად (ან უფრო მოკლე პერიოდში თუ ინსტრუმენტის მოსალოდნელი სასიცოცხლო ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მაქსიმალურ პერიოდად, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისას განიხილება მაქსიმალური სახელშეკრულებო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც „ჯგუფი“ დამოკიდებულია საკრედიტო რისკზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალების ალბათობით შეწონილი შეფასება. საკრედიტო ზარალები ანგარიშდება, როგორც ყველა ფულადი დანაკლისის (სხვაობა ხელშეკრულების მიხედვით ჯგუფის მიერ მისაღებ ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც მოელის „ჯგუფი“) მიმდინარე ღირებულება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირდება ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

კრედიტით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, „ჯგუფი“ აფასებს გაუფასურდა თუ არა კრედიტით ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდები. ფინანსური აქტივი არის (საკრედიტო რისკით) გაუფასურებული, როდესაც მოხდა ერთი ან მეტი მოვლენა, რომელიც უარყოფით ზეგავლენას ახდენს ფინანსური აქტივის მომავალ ფულად ნაკადებზე.

ფინანსური აქტივის კრედიტით გაუფასურების მტკიცებულებები მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- ემიტენტის ან მსესხებლის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად დეფოლტის ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;

- „ჯგუფის“ მიერ სესხის ან წინასწარ გადახდილი თანხების რესტრუქტურია იმ პირობებით, რომლებსაც „ჯგუფი“ სხვა შემთხვევებში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებლის მიერ გაკოტრების პროცედურის, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესის დაწყება; ან
- უზრუნველყოფის აქტიური ბაზრის გაქრობა ფინანსური სირთულეების გამო.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ასახვა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების ზარალის რეზერვები გამოიქვითება აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის ბრუტო საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება, როდესაც „ჯგუფს“ არ გააჩნია ფინანსური აქტივის მთლიანად ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინი. ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის, „ჯგუფს“ აქვს განსაზღვრული ბრუტო საბალანსო ღირებულების ჩამოწერის პოლიტიკა, როდესაც ფინანსური აქტივი არის 365 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული, მსგავსი აქტივების ამოღების ისტორიული გამოცდილების საფუძველზე. კორპორატიული მომხმარებლების შემთხვევაში „ჯგუფი“ ახორციელებს ვადებისა და ჩამოწერის ოდენობების ინდივიდუალურ შეფასებას, იმის გათვალისწინებით არსებობს თუ არა აქტივის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერილი თანხებიდან ჯგუფი არ ელოდება მნიშვნელოვან აღდგენას. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება მაინც გახდეს სააღსრულებლო საქმიანობის საგანი იმისათვის, რომ მოვიდეს „ჯგუფის“ თანხების ამოღების პროცედურებთან შესაბამისობაში.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების გაუფასურების ზარალი ანგარიშდება ინვესტიციის ანაზღაურებადი ღირებულების მის საბალანსო ღირებულებასთან შედარების გზით. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში და აღდება თუ მოხდა დადებითი ცვლილება შეფასებებში, რომლებიც გამოყენებულ იქნა ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისთვის.

(ii) არაფინანსური აქტივები

„ჯგუფის“ არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების გარდა) განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის აღდგენადი ღირებულება. გაუფასურების ზარალი აღიარდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეული (CGU) აღემატება მის მოსალოდნელ აღდგენად ღირებულებას.

გაუფასურების ტესტირების მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების შემოძინების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობისთვის, რომლებიც დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ფულადი შემოძინებისგან ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულისგან.

აქტივის ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის აღდგენადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით) ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში. ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი დაერიცხება აქტივის ერთეულს პროპორციული გადანაწილების საფუძველზე და შეამცირებს მათ საბალანსო ღირებულებას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება თითოეული ანგარიშგების თარიღში, ნებისმიერ მინიშნებაზე იმისა, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება, თუ ადგილი აქვს ცვლილებას აღდგენადი თანხის განსაზღვრებაში გამოყენებულ შეფასებებში. გაუფასურების ზარალი აღდგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც იქნებოდა განსაზღვრული, ცვეთისა და ამორტიზაციის გამოკლებით, თუ ადგილი არ ექნებოდა გაუფასურების ზარალის აღიარებას.

(l) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება, როცა „ჯგუფს“ აქვს სანდოდ შეფასებადი, სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დაფარვას დასჭირდება ეკონომიკური სარგებლის გადინება. ანარიცხები განისაზღვრება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით გადასახადებამდე არსებული განაკვეთით, რაც ასახავს ფულის დროით ღირებულების და, ვალდებულებისთვის დამახასიათებელი რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს. დისკონტირების დაბრუნება აღიარდება ფინანსური ხარჯის სახით.

(m) იჯარები

ხელშეკრულების დადებისას, „ჯგუფი“ განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად გადასცემს თუ არა ხელშეკრულება კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას, „ჯგუფი“ ფასს 16-ის იჯარის განმარტებას იყენებს.

(i) როგორც მოიჯარე

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის, „ჯგუფს“ არ აქვს არსებითი საიჯარო ხელშეკრულებები, რომლებშიც ის მოქმედებს როგორც მოიჯარე. „ჯგუფმა“ აირჩია არ აღიაროს აქტივები გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებები მოკლევადიანი იჯარებისთვის. „ჯგუფი“ აღნიშნულ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით, წრფივი მეთოდით იჯარის ვადის მანძილზე.

(ii) როგორც მეიჯარე

საიჯარო კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დადებისას ან მისი ცვლილებისას, „ჯგუფი“, ხელშეკრულებაში მოცემულ ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე ანაწილებს მათი შესაბამისი დამოუკიდებელი ფასების მიხედვით

როდესაც „ჯგუფი“ მეიჯარეს სახით მოქმედებს, ის იჯარის დაწყებისას განსაზღვრავს იჯარა ფინანსურ იჯარას წარმოადგენს თუ საოპერაციო იჯარას.

თითოეული იჯარის კლასიფიკაციისთვის, „ჯგუფი“ ახორციელებს ზოგად შეფასებას იმისა გადასცემს თუ არა იჯარა შესაბამისი აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას. თუ კი, მაშინ იჯარა ფინანსური იჯარის სახით კლასიფიცირდებოდა; თუ არა, მაშინ საოპერაციო იჯარის სახით. აღნიშნული შეფასების ნაწილის სახით, „ჯგუფმა“ გაითვალისწინა გარკვეული მაჩვენებლები, მაგალითად იყო თუ არა იჯარა აქტივის ეკონომიკური სასიცოცხლო ვადის ძირითადი ნაწილისთვის.

თუ გარიგება შეიცავს საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტებს, მაშინ „ჯგუფი“ ხელშეკრულებაში მოცემული ანაზღაურების გასანაწილებლად იყენებს ფასს 15-ს.

„ჯგუფი“ იჯარაში წმინდა ინვესტიციაზე იყენებს ფასს 9-ის აღიარების შეწყვეტის და გაუფასურების მოთხოვნებს. „ჯგუფი“ შემდგომ რეგულარულად მიმოიხილავს იჯარაში ბრუტო ინვესტიციის გამოთვლაში გამოყენებულ სავარაუდო არა-გარანტირებულ ნარჩენ ღირებულებებს.

„ჯგუფი“ საოპერაციო იჯარების ფარგლებში მიღებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს შემოსავლის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე, „სხვა შემოსავლის“ კატეგორიაში.

(n) სეგმენტის ანგარიშგება

საოპერაციო სეგმენტი წარმოადგენს „ჯგუფის“ კომპონენტს, რომელიც ჩართულია ბიზნეს საქმიანობაში, საიდანაც ის იღებს შემოსავალს ან გასწევს ხარჯებს, იმ ხარჯებისა და შემოსავლების ჩათვლით, რომლებიც „ჯგუფის“ ნებისმიერ სხვა კომპონენტებთან დადებულ გარიგებებს უკავშირდება. ყველა საოპერაციო სეგმენტის საოპერაციო შედეგები რეგულარულად არის მიმოხილული გენერალური დირექტორის მიერ, რათა მიიღოს გადაწყვეტილებები სეგმენტზე რესურსების განაწილებაზე და მისი საქმიანობის შედეგების შეფასებისთვის და რომელთათვისაც ხელმისაწვდომია დისკრეტული ფინანსური ინფორმაცია.

სეგმენტის შედეგები, რომელთა ინფორმირებაც ხდება გენერალური დირექტორისთვის, მოიცავს სეგმენტზე პირდაპირ მიკუთვნებად ერთეულებს.

32. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები რომლებიც 2020 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენება ნებადართულია); თუმცა „ჯგუფს“ ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შეცვლილი სტანდარტები მიღებული წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი კორექტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას „ჯგუფის“ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- კაბალური ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის კორექტირებები)
- საპროცენტო განაკვეთის ბენჩმარკის რეფორმა - ეტაპი 2 (ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16-ის კორექტირებები).
- COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო კონცესიები (ფასს 16-ის კორექტირება).
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი გამიზნულ გამოყენებამდე (ბასს 16-ის კორექტირებები).
- კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ფასს 3-ის კორექტირებები);
- ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის კორექტირებები).
- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები და ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებების კორექტირებები

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის
კორპორაცია“

2020 წლის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება

სოფოკლი ქაჭანაძე

შინაარსი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	11
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	12



შპს „KPMG Georgia“

ჯი ემ თი პლაზა

მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4

თბილისი, საქართველო 0105

ტელეფონი: +995 322 93 5713

ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ დირექტორთა საბჭოს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებულ მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კონსოლიდირებულ კაპიტალში ცვლილებებისა და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, და ასევე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებს და სხვა განმარტებითი ხასიათის ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა, ხსენებული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით), კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, ჩვენ ვართ „ჯგუფისგან“ დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში „IESBA“ კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს.

მნიშვნელოვანი აუდიტორული საკითხები

მნიშვნელოვანი აუდიტორული საკითხები მოიცავს საკითხებს, რომლებიც ჩვენი პროფესიონალური მსჯელობით ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში. აღნიშნული საკითხები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის და ჩვენი დასკვნის გაკეთების პროცესში არის გათვალისწინებული და ჩვენ არ გავცემთ ცალკე დასკვნას მათთან დაკავშირებით.

სოციალური გაზის გასაყიდი ფასის შემცირება რეტროსპექტიურად

გთხოვთ იხილეთ შენიშვნა 18 კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

მნიშვნელოვანი აუდიტორული საკითხი

როგორ არის გათვალისწინებული საკითხი ჩვენს აუდიტში

2020 წლის მეორე ნახევრიდან COVID-19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის გამო, საქართველოს მთავრობამ („კომპანიის“ საბოლოო მაკონტროლებელი მხარე) გადაწყვიტა მხარდაჭერა გამოეხატა საქართველოს მოსახლეობისთვის, გაზის საბოლოო სამომხმარებლო ტარიფის შენარჩუნების გზით და დაავალა „კომპანიას“ შესულიყო მოლაპარაკებებში ბუნებრივი გაზის ძირითად მომხმარებელთან („მომხმარებელი“), დასახული მიზნის მისაღწევად (საქართველოს მოსახლეობისთვის ფინანსური ტვირთის შემცირება).

მოლაპარაკებების შედეგად 2020 წლის დეკემბერში მოხდა ხელშეკრულებაში ცვლილებაზე ხელის მოწერა, რამაც გამოიწვია, inter alia, (i) „კომპანიის“ მოთხოვნების შემცირება, ბუნებრივი გაზის ძირითადი მომხმარებლის მიერ „კომპანიისგან“ სოციალური გაზის შესყიდვის ფასების შემცირების გზით, 2018-2020 წლებში ძირითად მომხმარებელზე რეალიზებული „სოციალური გაზის“ შესაბამის მოცულობებზე და (ii) შესაბამისად, ბუნებრივი გაზის ძირითადი მომხმარებლის მიერ „საკომპენსაციო პერიოდში“ კონკრეტული ფასდაკლების მიღების და მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმა (იხილეთ შენიშვნა 18). „ჯგუფის“ ხელმძღვანელობამ ფასის რეტროსპექტიური შემცირების გავლენა აღრიცხა როგორც კაპიტალში აღრიცხული „მესაკუთრეზე განაწილება“, 108,475 ათასი ლარის ოდენობით.

განვიხილოთ ოპერაციის კლასიფიკაცია როგორც „მესაკუთრეზე განაწილება“ და მისი კაპიტალში აღრიცხვა წარმოადგენს მნიშვნელოვან აუდიტორულ საკითხს სააღრიცხვო კლასიფიკაციის განსაზღვრაში გამოყენებული მსჯელობების და ოპერაციის თანხის არსებითობის გათვალისწინებით.

მნიშვნელოვანი აუდიტორული საკითხების გადასაჭრელად, ჩვენ განვახორციელეთ შემდეგი აუდიტორული პროცედურები:

- ჩავატარეთ ხელმძღვანელობის გამოკითხვები, ოპერაციის არსის და მასთან დაკავშირებით გამოყენებული სააღრიცხვო კლასიფიკაციის განსაზღვრის პროცესის გასაგებად;

- კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული ოპერაციის გავლენის სიზუსტის შემოწმების მიზნით, მოვიპოვეთ დასტურის წერილი მომხმარებლისგან, რომელიც ადასტურებს „ჯგუფის“ სავაჭრო მოთხოვნების შემცირების მთლიან ოდენობას ხელშეკრულების შესაბამისად.

- კრიტიკულად განვიხილეთ ხელმძღვანელობის მსჯელობა ოპერაციის „მესაკუთრეზე განაწილების“ სახით კლასიფიკაციასთან და მისი კაპიტალში აღრიცხვასთან დაკავშირებით და განვიხილეთ ფასის 15-ის „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ გამოყენებადობა.

- მოვიპოვეთ წარმომადგენლობითი წერილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან, რომელიც ადასტურებს ოპერაციის არსს და მთავრობის განზრახვას „ჯგუფზე“ ვალდებულების დაკისრების შესახებ;

- შევავსეთ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებების ადეკვატურობა, მათ შორის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 18(e)-ე შენიშვნაში მოცემული ძირითადი დაშვებების და მსჯელობების შესაბამისობა ბასს 1-ის „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ მოთხოვნებთან მიმართებაში.

სოფოკლიძე

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშზე. ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს “მმართველობით ანგარიშს”.

ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენ მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული მმართველობითი ანგარიშის გაცნობას და განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

ჩვენ არ გავცემთ არანაირი სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობითი ანგარიშის შესახებ. მმართველობითი ანგარიშის გაცნობის შემდეგ და ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად, ჩვენ გამოვთქვამთ აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ მმართველობითი ანგარიში:

- არის შესაბამისობაში კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და არ შეიცავს არსებით უზუსტობებს;
- შეიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ხელმძღვანელობის და მმართველობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე და ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნაზე, რომელიც, მათი თვალსაზრისით, უზრუნველყოფს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს „ჯგუფის“ უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება განზრახვა მოახდინოს „ჯგუფის“ ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

მმართველობაზე უფლებამოსილი პირები პასუხს აგებენ „ჯგუფის“ ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მივიღოთ გონივრული რწმუნება შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეცდომის ან თაღლითობის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორთა დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილი უზუსტობები შესაძლებელია მოიაზრებოდნენ არსებითად, თუ ცალკე ან ერთობლივად შეუძლიათ გავლენა იქონიონ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

სოფიო კახიძე

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მართებულია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას, ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა „ჯგუფის“ შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს „ჯგუფის“ უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნა არაა დევკატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა აიძულოს „ჯგუფი“ შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- ვიღებთ საკმარის და შესაბამის აუდიტორულ მტკიცებულებას „ჯგუფის“ შიგნით არსებული საწარმოების ან ბიზნეს საქმიანობების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აზრის გამოხატვის მიზნით. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ „ჯგუფის“ აუდიტის ხელმძღვანელობასა და წარმართვაზე. ჩვენ ერთპიროვნულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ასევე წარვუდგენთ ჩვენს მიერ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფ ანგარიშს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და გავუზიარებთ მათ ინფორმაციას ყველა ურთიერთობის და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც შესაძლოა ეხებოდეს ჩვენს დამოუკიდებლობას და, შესაბამის შემთხვევაში, უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ზომებს.



მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებთან გაზიარებული საკითხებიდან გამომდინარე, ჩვენ განვსაზღვრავთ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმების პროცესში და რომლებიც მნიშვნელოვან აუდიტორულ საკითხებს განეკუთვნებიან. აღნიშნულ საკითხებს განვიხილავთ აუდიტორთა დასკვნაში, თუ კანონი ან მარეგულირებელი პროცედურები არ გამორიცხავენ ამგვარი საკითხების გამჟღავნებას ან, როდესაც, განსაკუთრებით იშვიათ ვითარებაში, ჩვენ განვსაზღვრავთ, რომ საკითხი არ უნდა იქნას წარმოდგენილი ჩვენს დასკვნაში, იმ მიზეზით, რომ ამგვარი ქმედების უარყოფითმა გავლენამ შესაძლოა გადაწონოს შესაბამისი კომუნიკაციის საზოგადოებრივი ინტერესის სარგებელი.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

ირინა გევორგიანი

შპს KPMG Georgia
30 ივნისი, 2021 წელი

სოფიო უპანაძე

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 გადაანგარიშებული*	1 იანვარი 2019 გადაანგარიშებული*
'000 ლარი	შენიშვნა			
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	12	1,284,885	1,186,626	963,914
ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის	13	1,039	97,170	62,681
არამატერიალური აქტივები		61	1,421	1,122
ფინანსური იჯარის მოთხოვნა	14	79,962	73,134	67,854
გაცემული სესხები	15	20,121	16,154	14,952
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	14,514	15,718	18,959
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	7	2,021	2,021	17,182
გრძელვადიანი აქტივები		1,402,603	1,392,244	1,146,664
გაცემული სესხები	15	1,513	1,692	-
მარაგები		14,477	4,253	8,753
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		3,991	437	2,170
ავანსები	13	94,566	66,198	50,301
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	252,090	281,628	127,380
შეზღუდული ფულადი სახსრები	17	924	60	5,607
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	17	74,034	135,815	348,595
მიმდინარე აქტივები		441,595	490,083	542,806
სულ აქტივები		1,844,198	1,882,327	1,689,470
კაპიტალი	18			
სააქციო კაპიტალი		646,044	642,905	626,595
დამატებითი შენატანები კაპიტალში		59,797	59,797	71,718
სამართლიანი ღირებულების რეზერვი				
მესაკუთრეთა არაფულადი შენატანებისთვის		(282,181)	(282,181)	(282,181)
გაუნაწილებელი მოგება		402,749	540,696	489,496
კომპანიის მესაკუთრეებზე მიკუთვნებადი კაპიტალი		826,409	961,217	905,628
არამაკონტროლებელი წილები	23	80,856	90,669	79,168
სულ კაპიტალი		907,265	1,051,886	984,796
ვალდებულებები				
სესხები და კრედიტები	20	-	705,122	658,134
სახელშეკრულებო ვალდებულებები	6	-	4,621	-
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	709,743	658,134
სესხები და კრედიტები	20	828,152	16,902	13,486
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	106,171	95,182	30,989
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		545	6,549	-
ანარიცხები		2,065	2,065	2,065
მიმდინარე ვალდებულებები		936,933	120,698	46,540
სულ ვალდებულებები		936,933	830,441	704,674
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,844,198	1,882,327	1,689,470

*შესაძარის ინფორმაცია შეცდომების გასწორებასთან დაკავშირებით მოცემულია 30-ე შენიშვნაში

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომელიც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია და წარმოდგენილია 12 - 66 გვერდებზე.

სოფი კახიძე

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
2020 წლის კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

’000 ლარი	შენიშვნა	2019	
		2020	*გადაანგარიშებული
შემოსავალი	6	997,212	873,748
გაზის და ნავთობის ღირებულება		(746,056)	(616,415)
ცვეთა და ამორტიზაცია		(58,814)	(41,152)
თანამშრომელთა ხელფასები		(24,163)	(23,004)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		(13,789)	(15,742)
გაუფასურების აღდგენა/(ზარალი) საგაჭრო მოთხოვნებზე		1,386	(2,668)
სხვა ხარჯები	8	(21,661)	(31,389)
სხვა შემოსავალი	9	9,854	17,461
საოპერაციო საქმიანობების შედეგები		143,969	160,839
ფინანსური შემოსავალი	10	17,066	22,828
ფინანსური ხარჯები	10	(157,838)	(65,246)
წმინდა ფინანსური ხარჯები		(140,772)	(42,418)
მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციების მოგების წილი	7	-	1,731
მოგება მოგების გადასახადით დაბეგრამდე		3,197	120,152
მოგების გადასახადის ხარჯი	11	-	-
მოგება და სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		3,197	120,152
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი, რომელიც უკავშირდება:			
კომპანიის მესაკუთრეებს		(6,071)	107,669
არამაკონტროლებელ წილებს		9,268	12,483
		3,197	120,152

*შესადარის ინფორმაცია შეცდომების გასწორებასთან დაკავშირებით მოცემულია 30-ე შენიშვნაში

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მისი სახელით ხელმოწერილია 2021 წლის 30 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

გივი ბახტაძე
გენერალური დირექტორი

ომარ ოგბაიძე
ფინანსური დირექტორი

კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომელიც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია და წარმოდგენილია 12 - 66 გვერდებზე.

სოფი კახიძე

წელი	კომპანიის მესაკუთრეებზე მიკუთვნებადი კაპიტალი					
	სამართლიანი ღირებულების რეზერვი					
	სააქციო კაპიტალი	დამატებითი შენატანები კაპიტალში	მესაკუთრეთა არაფულადი შენატანებისთვის	გაუნაწილებელი მოგება	არამაკონტროლებელი წილები	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს, ადრე წარმოდგენილი კორექტირებების შედეგი	626,595	71,718	(282,181)	480,661	91,560	988,353
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს (გადაანგარიშებული) მოგება და სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში (გადაანგარიშებული)	626,595	71,718	(282,181)	8,835	(12,392)	(3,557)
ოპერაციები კომპანიის მესაკუთრეებთან შენატანები და განაწილებები	-	-	-	489,496	79,168	984,796
დივიდენდები (იხილეთ შენიშვნა 18(c))	-	-	-	107,669	12,483	120,152
სააქციო კაპიტალის ზრდა (იხილეთ შენიშვნა 18(a))	16,310	(11,921)	-	(56,469)	(982)	(57,451)
სულ შენატანები და განაწილებები	16,310	(11,921)	-	(56,469)	(982)	(53,062)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრს (გადაანგარიშებული)	642,905	59,797	(282,181)	540,696	90,669	1,051,886
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	642,905	59,797	(282,181)	540,696	90,669	1,051,886
მოგება და სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	-	-	(6,071)	9,268	3,197
ოპერაციები კომპანიის მესაკუთრეებთან შენატანები და განაწილებები	-	-	-	(42,482)	-	(42,482)
დივიდენდები (იხილეთ შენიშვნა 18(c))	-	-	-	(108,475)	-	(108,475)
მესაკუთრეზე განაწილება (იხილეთ შენიშვნა 18 (e))	-	-	-	19,081	(19,081)	-
სხვა ცვლილებები (იხილეთ შენიშვნა 18 (d))	3,139	-	-	-	-	3,139
სააქციო კაპიტალის ზრდა (იხილეთ შენიშვნა 18 (a))	3,139	-	-	(131,876)	(19,081)	(147,818)
სულ შენატანები და განაწილებები	646,044	59,797	(282,181)	402,749	80,856	907,265
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრს	646,044	59,797	(282,181)	402,749	80,856	907,265

*შესადარისი ინფორმაცია შეცდომების გასწორებასთან დაკავშირებით მოცემულია 30-ე შენიშვნაში

სოფიო კ. ანაბაძე

'000 ლარი	შენიშვნა	2020	2019 გადაანგარიშებული*
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		1,020,519	849,046
მიმწოდებლებისა და თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(933,655)	(784,377)
შეზღუდული ფულადი სახსრები		(924)	-
სახელმწიფოსგან დამატებული ღირებულების გადასახადის დაბრუნება		6,985	23,891
ოპერაციებიდან მიღებული ფულადი სახსრები მოგების გადასახადების და პროცენტის გადახდამდე		92,925	88,560
გადახდილი პროცენტი	20	(54,964)	(47,880)
მიღებული პროცენტი		6,909	12,585
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობებიდან		44,870	53,265
საინვესტიციო საქმიანობებიდან მიღებული ფულადი სახსრები			
ძირითადი საშუალებების შეძენა, გადახდილი ავანსების ჩათვლით		(63,678)	(226,712)
მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციები		-	(474)
მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციების გაყიდვა		-	20,620
გაცემული სესხები		-	(119)
მეკავშირე საწარმოებში კაპიტალის შემცირება		-	3,591
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები		1,199	2,447
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(62,479)	(200,647)
საფინანსო საქმიანობებიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
გადახდილი დივიდენდები		(38,951)	(60,982)
სესხებიდან მიღებული შემოსულობები		10,067	-
სესხის დაფარვა		(10,000)	-
მმართველობითი საფასური სესხებზე	20	(8,225)	(4,455)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(47,109)	(65,437)
წმინდა კლება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		(64,718)	(212,819)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		135,815	348,595
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		2,937	39
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	17	74,034	135,815

*შესადარისი ინფორმაცია შეცდომების გასწორებასთან დაკავშირებით მოცემულია 30-ე შენიშვნაში

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომელიც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია და წარმოდგენილია 12 - 66 გვერდებზე.

სოფია კახიძე

შენიშვნა	გვერდი	შენიშვნა	გვერდი
1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო	13	18. კაპიტალი	30
2. აღრიცხვის საფუძველი	15	19. კაპიტალის მართვა	32
3. სამუშაო და წარდგენის ვალუტა	15	20. სესხები და კრედიტები	32
4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება	15	21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	34
5. საოპერაციო სეგმენტები	16	22. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა	35
6. შემოსავალი	18	23. მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანიები და არამაკონტროლებელი წილები	41
7. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	22	24. კაპიტალური და სხვა ვალდებულებები	43
8. სხვა ხარჯები	23	25. პირობითი ვალდებულებები	44
9. სხვა შემოსავალი	23	26. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	46
10. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები	24	27. შემდგომი მოვლენები	48
11. მოგების გადასახადის ხარჯი	24	28. COVID-19-ის გავლენა	49
12. ძირითადი საშუალებები	25	29. შეფასების საფუძველი	49
13. ავანსები	26	30. შეცდომების კორექტირება	49
14. ფინანსური იჯარის მოთხოვნა	27	31. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	53
15. გაცემული სესხები	28	32. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული	66
16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	29		
17. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და შეზღუდული ფულადი სახრების ნაშთები	29		

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(a) ორგანიზაცია და ოპერაციები

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიები (შემდგომში „ჯგუფი“) მოიცავს სააქციო საზოგადოებებს და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. „კომპანია“ დაფუძნებულია, როგორც 100%-ით სახელმწიფო მფლობელობაში არსებული საწარმო საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს 2006 წლის 21 მარტის ბრძანების საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი სამი კომპანიის საფუძველზე: სს „საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაცია“, სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია“ და სს „თელეთის ნავთობის კომპანია“.

„კომპანიის“ რეგისტრირებული მისამართია: კახეთის გზატკეცილი №21, თბილისი 0190, საქართველო. „კომპანია“ რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ და მისი რეგისტრაციის ნომერია: 4346/007.

„ჯგუფის“ ძირითადი საქმიანობაა ბუნებრივი გაზის იმპორტი, ელექტროენერგიის წარმოება და მიწოდება, გაზის მილსადენების იჯარა და ნავთობისა და გაზის მიება-მოპოვება საქართველოში. გარდაბნის კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურის მშენებლობის დასრულების შემდეგ, 2015 წლის ივლისის თვეში, ელექტროენერგიის გამომუშავება დაემატა „ჯგუფის“ ძირითად საქმიანობებს. 2015 წლის 7 სექტემბერს გარდაბნის კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურმა საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისგან მიიღო ოპერირების ლიცენზია შეუზღუდავი პერიოდით და დაიწყო შემოსავლის გენერირება საქართველოში ელექტროენერგიის ბაზარზე დერეგულირებული ტარიფების შესაბამისად. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის ბრძანების №475 შესაბამისად, გარდაბნის კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურს მიენიჭა გარანტირებული სიმძლავრის ოპერატორის სტატუსი 2040 წლის 1 ოქტომბრამდე.

2017 წლიდან „კომპანიამ“ დაიწყო გარდაბნის მე-2 კომბინირებული ციკლის თბოსადგურის მშენებლობა. გარდაბნის მე-2 კომბინირებული ციკლის თბოსადგურის ძირითადი სამშენებლო სამუშაოები დასრულდა 2020 წლის 12 თებერვალს და შპს გარდაბნის თბოსადგური 2-სა და მშენებლობაზე პასუხისმგებელ კომპანიას შორის მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა 2020 წლის 28 თებერვალს. ოპერირების ლიცენზია გაცემულ იქნა გარდაბანი 2-ზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ, 2020 წლის 25 მარტს. ლიცენზია გაცემულ იქნა შეუზღუდავი პერიოდით და გარდაბნის 2-ე თბოსადგურმა დაიწყო შემოსავლის გენერირება საქართველოში ელექტროენერგიის ბაზარზე დერეგულირებული ტარიფების შესაბამისად.

2006 წლის დეკემბრის შემდეგ, როდესაც „კომპანიას“ მიენიჭა საქართველოს სახელმწიფოს სახელით „ეროვნული ნავთობკომპანიის“ სტატუსი, „კომპანია“ იღებს და ყიდის საქართველოში მოპოვებული ნავთობისა და გაზის სახელმწიფო წილს, სახელმწიფოსა და ინვესტორებს შორის გაფორმებული „პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების“ შესაბამისად.

2019 წლის 27 დეკემბერს ძალაში შევიდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ახალი კანონი (შემდგომში „კანონი“). „კანონი“ მოითხოვს გარკვეული კანონქვემდებარე აქტების დანერგვას, ისეთის როგორიცაა ელექტროენერგიის ბაზრის კონცეპცია („ეზკ“) და ბუნებრივი გაზის ბაზრის კონცეპცია („გგკ“) და ინსტიტუციონალურ განვითარებას ამ კუთხით. კონცეპციების დანერგვა მიჰყვება „კანონით“ განსაზღვრულ გარკვეულ განრიგს, რომლის მიხედვით აღნიშნულ ცვლილებებს არ ექნება მყისიერი გავლენა საქართველოს ელექტროენერგიის და ბუნებრივი გაზის ბაზარზე და მის მონაწილეებზე („ჯგუფის“ ჩათვლით).

კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც საჭიროა „ბგპ“-ს დანერგვისთვის მთავრობაზე დასამტკიცებლად გატანილ იქნება არაუადრეს 2021 წლის დეკემბრისა. შესაბამისად, „ჯგუფის“ გადმოსახედიდან, „კანონს“ არ ექნება „ჯგუფის“ ოპერაციებზე გავლენა 2022 წლის დასაწყისამდე.

საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემა

2021 წლის 25 მარტის #129 „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორის განცალკევების გეგმის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების მიხედვით შერჩეულ იქნა დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორის მოდელი. აღნიშნული მოდელის მიხედვით „კომპანია“ დარჩება საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ირიბი მესაკუთრე. საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემა გადაეცემა „კომპანიის“ შვილობილ კომპანიას (100%-იანი წილის მფლობელი იქნება „კომპანია“), რომელსაც გადაეცემა კომპანიის უფლებები და წილები და რომელიც ჩაენაცვლება „კომპანიას“ შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირებასთან გაფორმებულ მილსადენების იჯარის ხელშეკრულებაში.

განცალკევებას არ ექნება ეფექტი „ჯგუფის“ ოპერაციებზე (ჯგუფის დონეზე), რადგან როგორც ადრე აღინიშნა, კომპანია, რომელსაც გადაეცემა საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემა იქნება „კომპანიის“ 100%-იანი შვილობილი კომპანია.

ელექტროენერგიასთან დაკავშირებული ოპერაციები

„ჯგუფის“ მენეჯმენტის შეფასებით შპს გარდაბნის თბოსადგურის და შპს გარდაბნის თბოსადგური 2-ის ოპერაციებზე და ფინანსურ შედეგებზე „კანონს“ გავლენა არ ექნება, რადგან ორივე შვილობილის ოპერაციები რეგულირდება შესაბამისი იმპლემენტაციის ხელშეკრულებებით, რომელიც გაფორმებულია „კომპანიასა“, ამ შვილობილების, საქართველოს მთავრობასა და სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს შორის და აგრეთვე რეგულირდება, ამ უკანასკნელთან გაფორმებული, ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით „ჯგუფი“ არის მთლიანად სს საპარტნიორო ფონდის (100%-იანი მესაკუთრე საქართველოს მთავრობა) მფლობელობაში. „ჯგუფის“ საბოლოო, მაკონტროლებელი მხარე არის საქართველოს მთავრობა. ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან ოპერაციები განხილულია 26-ე შენიშვნაში.

(b) ბიზნეს გარემო

„ჯგუფის“ საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის. COVID—19-ის პანდემიამ შეიტანა დამატებითი გაურკვევლობები ბიზნეს გარემოში.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას „ჯგუფის“ ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. აღრიცხვის საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“-ები) სრულ შესაბამისობაში.

3. სამუშაო და წარდგენის ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც წარმოადგენს „ჯგუფის“ სამუშაო ვალუტას. მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ებთან შესაბამისობაში, რაც ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ისეთ მსჯელობებს, შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა ხორციელდება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ასევე ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკასთან მიმართებაში გამოყენებულ ყველაზე კრიტიკული მსჯელობების, დაშვებების და შეფასებების შესახებ, რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, აღწერილია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 18 (e) - კაპიტალი - მესაკუთრეზე განაწილება;
- შენიშვნა 31 (h) (i) - ძირითადი საშუალებები - აღიარება და შეფასება - კაპიტალური რემონტის ცალკეული კომპონენტების აღრიცხვა.

ინფორმაცია დაშვებების და შეფასებების შესახებ, რომლებსაც აქვთ მაღალი რისკი გამოიწვიონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი კორექტირებები მომავალ ფინანსურ წელს, მოცემულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 22 - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის შეფასება ფინანსური აქტივებისთვის;
- შენიშვნა 25 - პირობითი ვალდებულებების აღიარება და შეფასება: ძირითადი დაშვებები რესურსების გადინების ალბათობებთან და ოდენობებთან დაკავშირებით.

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

სამართლიანი ღირებულება კლასიფიცირდება სხვადასხვა დონეების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც გამოყენებულია შეფასების მეთოდოლოგიაში:

- დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.

- დონე 2: შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც შესულია პირველ დონეში და რომლებიც ხელმისაწვდომია, აქტივისა და ვალდებულებისთვის, როგორც პირდაპირ (მაგ. ფასები), ასევე ირიბად (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნებიან დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივის ან ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემები შეიძლება დაჯგუფდეს სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებად, სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

„ჯგუფი“ აღიარებს მოძრაობას სამართლიანი ღირებულების იერარქიას შორის იმ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომლის დროსაც წარმოიშვება ცვლილება.

დამატებითი ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გაკეთებული დაშვებების შესახებ შესულია შენიშვნაში 22(a) - სააღრიცხვო კლასიფიკაციები და სამართლიანი ღირებულებები.

5. საოპერაციო სეგმენტები

„ჯგუფს“ აქვს ხუთი ანგარიშვალდებული სეგმენტი, როგორც ქვემოთ არის აღწერილი, რომლებიც „ჯგუფის“ სტრატეგიულ ბიზნეს ერთეულებს წარმოადგენს. სტრატეგიული ბიზნეს ერთეულები სხვადასხვა პროდუქტებს და მომსახურებებს სთავაზობს და ისინი ცალკე იმართება. თითოეული სტრატეგიული ბიზნეს ერთეულისთვის, „კომპანიის“ გენერალური დირექტორი გადახედავს შიდა მმართველობით ანგარიშებს სულ მცირე კვარტალში ერთხელ. ქვემოთ მოცემულ მიმოხილვაში აღწერილია „ჯგუფის“ თითოეული ანგარიშვალდებული სეგმენტის მიერ განხორციელებული ოპერაციები:

- გაზის მიწოდება: მოიცავს ბუნებრივი გაზის ყიდვა-გაყიდვას.
- ელექტროენერგიის გამომუშავება და მიწოდება: მოიცავს ელექტროენერგიის გაყიდვისა და გარანტირებული სიმძლავრის საფასურს.
- მილსადენის იჯარა: მოიცავს „ჯგუფის“ მიერ დაკავშირებული მხარისთვის (შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“) გაზის მილსადენების იჯარიდან მიღებულ საიჯარო შემოსავალს (იხილეთ შენიშვნა 26).
- ნავთობის ტრანსპორტირება: მოიცავს შემოსავალს ნავთობის საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირებიდან.
- ძეგა-მოპოვების საქმიანობა: მოიცავს ნავთობის გაყიდვას პროდუქციის განაწილების გარიგებებიდან.

ინფორმაცია თითოეული ანგარიშვალდებული სეგმენტის შედეგების შესახებ მოცემულია ქვემოთ. შედეგები ფასდება სეგმენტის მოგების საფუძველზე, ცვეთის დარიცხვამდე, თანამშრომელთა ხელფასების, წმინდა ფინანსური ხარჯების, სხვა შემოსავალი/ხარჯის და მოგებისა და სხვა გადასახადების გამოკლებით. შიდა მმართველობითი ანგარიშების საფუძველზე, რომელსაც „ჯგუფის“ გენერალური დირექტორი მიმოხილავს. ხელმძღვანელობის აზრით, ამგვარი ინფორმაცია ყველაზე მეტად შესაბამისია კონკრეტული სექტორის შედეგების ამ ინდუსტრიებში მოქმედ, სხვა საწარმოებთან შედარებით შესაფასებლად. „კომპანიის“ გენერალური დირექტორი არ აწარმოებს სეგმენტის აქტივებისა და ვალდებულებების მონიტორინგს.

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წლისათვის

(i) ინფორმაცია ანგარიშვალდებული სეგმენტების შესახებ:

	გაზის მიწოდება		ელექტროენერგიის წარმოება და მიწოდება		მილსადენის ოჯარა		ნავთობის ტრანსპორტირება		ძიება-მოპოვების საქმიანობები		სულ	
	2019 (გადაანგარ -იშებული)										2019 (გადაანგარ -იშებული)	
'000 ლარი	2020	2019	2020	2019	2020	2019	2020	2019	2020	2019	2020	2019
შემოსავალი	585,093	569,290	333,235	225,126	43,065	43,059	26,348	21,168	9,471	15,105	997,212	873,748
გაზის და ნავთობის დირეზულირება	(561,472)	(505,135)	(184,584)	(111,280)							(746,056)	(616,415)
ანგარიშვალდებული სეგმენტის მოგება												
გაუნაწილებელი ხარჯების და მოგების გადასახადის												
გადახდამდე	23,621	64,155	148,651	113,846	43,065	43,059	26,348	21,168	9,471	15,105	251,156	257,333

'000 ლარი	2020	2019 გადაანგარიშებული
შემოსავლები		
მთლიანი შემოსავალი ანგარიშვალდებული სეგმენტებისთვის	997,212	873,748
მოგება ან ზარალი		
ანგარიშვალდებული სეგმენტების მოგება	251,156	257,333
გაუნაწილებელი თანხები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	(58,814)	(41,152)
თანამშრომელთა ხელფასები	(24,163)	(23,004)
წმინდა ფინანსური ხარჯები	(140,772)	(42,418)
გაუფასურების აღდგენა / (ზარალი) სავაჭრო მოთხოვნებზე	1,386	(2,668)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(13,789)	(15,742)
სხვა ხარჯები	(21,661)	(31,389)
სხვა შემოსავალი	9,854	17,461
მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციების მოგების წილი	-	1,731
კონსოლიდირებული მოგება, მოგების გადასახადის გადახდამდე	3,197	120,152

სოფი კანაქაძე

(ii) გეოგრაფიული ინფორმაცია

„ჯგუფის“ შემოსავლები მთლიანად საქართველოში გენერირდება, ხოლო ყველა გრძელვადიანი აქტივი საქართველოშია განთავსებული.

(iii) მთავარი მომხმარებელი

2020 წელს გაზის მიწოდების სეგმენტში ერთ მომხმარებელზე განხორციელებულმა გაყიდვებმა შეადგინა 439,875 ათასი ლარი, რაც „ჯგუფის“ მთლიანი შემოსავლის დაახლოებით 44%-ს შეადგენს (2019 წელს: 466,017 ათასი ლარი, 53%).

2020 წელს ელექტროენერგიის წარმოებისა და მიწოდების სეგმენტში ერთ მომხმარებელზე განხორციელებულმა გაყიდვებმა შეადგინა 148,441 ათასი ლარი, რაც „ჯგუფის“ მთლიანი შემოსავლის დაახლოებით 15%-ს შეადგენს (2019 წელს: 119,996 ათასი ლარი, 14%).

6. შემოსავალი

(a) შემოსავლის წყაროები

„ჯგუფის“ ძირითადი საქმიანობა არის ბუნებრივი გაზის იმპორტი, ელექტროენერგიის წარმოება და მიწოდება, მილსადენების იჯარა და ნავთობის და გაზის ძიება და მოპოვება საქართველოს ტერიტორიაზე.

'000 ლარი	2020	2019 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან:		
ბუნებრივი გაზის გაყიდვა	585,093	569,290
ამონაგები ელ.ენერგიის წარმოებიდან და მიწოდებიდან	333,235	225,126
ამონაგები ნედლი ნავთობის გაყიდვიდან	9,471	15,105
სულ შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან:	927,799	809,521
 შემოსავალი მილსადენების იჯარიდან	 43,065	 43,059
ნავთობის ტრანსპორტირების საფასური ფინანსური ლიზინგის ფარგლებში (შენიშვნა 14)	26,348	21,168
სულ სხვა შემოსავალი	69,413	64,227
სულ შემოსავალი	997,212	873,748

შემოსავალი ელექტროენერგიის წარმოებიდან და მიწოდებიდან მოიცავს შემოსავალს გარანტირებული სიმძლავრის საფასურიდან 117,222 ათასი ლარის ოდენობით (2019 წელს: 115,191 ათასი ლარი) და ელექტროენერგიის წარმოებიდან მიღებულ შემოსავალს 216,013 ათასი ლარის ოდენობით (2019 წელს: 109,935 ათასი ლარი).

შპს გარდაბანის თბოსადგური 2-მა ელექტროენერგიის გენერირება დაიწყო 2020 წლის ივლისიდან, რის გამოც შემოსავალი ელექტროენერგიის წარმოებიდან და მიწოდებიდან გაიზარდა 100,000 ათასი ლარზე მეტი თანხით.

ნავთობის ტრანსპორტირების საფასურის მიღება ხდება ბაქო-სუფსის მილსადენის გავლით აზერბაიჯანიდან თურქეთში ნავთობის ტრანსპორტირებიდან.

„კომპანია“ მილსადენებს და დაკავშირებულ ინფრასტრუქტურას იჯარით გასცემს შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაზე“ (GGTC). საიჯარო ხელშეკრულება არ ექვემდებარება გაუქმებას და ის ძალაშია 2021 წლის 1 იანვრამდე. 2017 წლის 1 სექტემბრიდან 2019 წლის მარტამდე, ფიქსირებული საიჯარო საფასური თვეში შეადგენდა 3,500 ათას ლარს (დღგ-ს გარეშე), ხოლო 2019 წლის 1 მარტიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე ყოველთვიური ფიქსირებული საიჯარო საფასური იყო 3,600 ლარი (დღგ-ს გარეშე). 2020 წლის 1 იანვრიდან ფიქსირებული საიჯარო საფასური შეადგენდა 43,065 ათას ლარს წელიწადში (დღგ-ს გარეშე). შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ პასუხს აგებს გაზის ძირითადი მილსადენების სისტემის რემონტზე, ტექნიკურ მომსახურებაზე, ოპერირებასა და უსაფრთხოებაზე. „კომპანია“ პასუხს აგებს მხოლოდ კაპიტალურ ხარჯებზე. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია 26-ე შენიშვნაში.

(b) მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის ჩაშლა

შემდეგ ცხრილში ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ჩაშლილია ძირითადი გეოგრაფიული ბაზრის მიხედვით. ცხრილი აგრეთვე მოიცავს ჩაშლილი ამონაგების შედარებას „ჯგუფის“ ანგარიშვალდებულ სეგმენტებთან (იხილეთ მე-5 შენიშვნა).

	ბუნებრივი გაზის გაყიდვა		შემოსავალი ელექტროენერგიის წარმოებიდან და მიწოდებიდან		შემოსავალი ნედლი ნავთობის გაყიდვიდან		სულ	
	2019							
	2020	(გადაანგარიშებული)	2020	2019	2020	2019	2020	2019
'000 ლარი								
ძირითადი გეოგრაფიული ბაზრები:								
საქართველო	585,093	569,290	333,235	225,126	9,471	15,105	927,799	809,521
	<u>585,093</u>	<u>569,290</u>	<u>333,235</u>	<u>225,126</u>	<u>9,471</u>	<u>15,105</u>	<u>927,799</u>	<u>809,521</u>

(c) სახელშეკრულებო ნაშთები

მოცემული ცხრილი ასახავს ინფორმაციას მოთხოვნების და სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან.

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მოთხოვნები, რომლებიც შეტანილია „სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში“	16	243,740	271,478
სახელშეკრულებო ვალდებულებები	6	-	(4,621)

(d) არსებითი უფლება აღიარებული 2019 წელს და საბოლოო მფლობელის ინტერვენცია 2020 წელს

ბუნებრივი გაზის შემსყიდველ ყველაზე მნიშვნელოვან კლიენტთან („კლიენტი“) გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, „კლიენტს“ უნდა გაეკეთებინა 15 აშშ დოლარის ფასდაკლება ე.წ. „სოციალური გაზის“ თითოეულ ათას კუბურ მეტრზე, რომელიც 2020 წლის ბოლომდე („საშეღავათო პერიოდი“) იქნებოდა მიწოდებული საქართველოს მოსახლეობისთვის. თავის მხრივ, „კომპანია“ იკისრა ვალდებულება 2021-2025 წლებში („საკომპენსაციო პერიოდი“) უზრუნველყოს 15 აშშ დოლარის ფასდაკლება ყოველ ათას კუბურ მეტრ ოპციურ გაზზე (330 მილიონ კუბურ მეტრის ზევით მიღებული გაზის მოცულობა, რომელსაც მიიღებს „კომპანია“ „საკომპენსაციო პერიოდის“ თითოეულ წელს), რომლის ჯამური მოცულობა უნდა უდრიდეს „კლიენტის“ მიერ „საშეღავათო პერიოდში“ საქართველოს მოსახლეობისთვის მიწოდებული გაზის ჯამურ მოცულობას.

ხელმძღვანელობამ, ფასს 15-ის - ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან - მოთხოვნების გათვალისწინებით, დაასკვნა, რომ „კომპანიის“ მიერ კლიენტზე მიცემული შესაძლებლობა, რომ მან თავდაპირველი ხელშეკრულებით შეთანხმებულ ფასთან შედარებით ფასდაკლებით შეიძინოს დამატებითი გაზი, აძლევს კლიენტს უფლებას შეიძინოს დამატებითი საქონელი იმ ფასად, რომელიც არ ასახავს დამოუკიდებელ გასაყიდ ფასს. შესაბამისად, ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ შესაძლებლობა არსებით უფლებას წარმოადგენს რომელიც წარმოშობს ნაკისრ ვალდებულებას.

შედეგად, 4,621 ათასი ლარის სახელშეკრულებო ვალდებულება აღიარებულ იქნა „ჯგუფის“ მიერ 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

2020 წლის მეორე ნახევრიდან COVID-19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის გამო, საქართველოს მთავრობამ („კომპანიის“ საბოლოო მაკონტროლებელი მხარე) გადაწყვიტა მხარდაჭერა გამოეხატა საქართველოს მოსახლეობისთვის, გაზის საბოლოო სამომხმარებლო ტარიფის შენარჩუნების გზით და დაავალა „კომპანიას“ შესულიყო მოლაპარაკებებში ბუნებრივი გაზის ძირითად მომხმარებელთან, დასახული მიზნის მისაღწევად (საქართველოს მოსახლეობისთვის ფინანსური ტვირთის შემცირება).

მოლაპარაკებების შედეგად 2020 წლის დეკემბერში მოხდა ხელშეკრულებაში ცვლილებაზე ხელის მოწერა, რამაც გამოიწვია, inter alia, (i) „კომპანიის“ მოთხოვნების შემცირება, ბუნებრივი გაზის ძირითადი მომხმარებლის მიერ „კომპანიისგან“ სოციალური გაზის შესყიდვის ფასების შემცირების გზით, 2018-2020 წლებში ძირითად მომხმარებელზე რეალიზებული „სოციალური გაზის“ შესაბამის მოცულობებზე და (ii) შესაბამისად, ბუნებრივი გაზის ძირითადი მომხმარებლის მიერ „საკომპენსაციო პერიოდში“ 15 აშშ დოლარის ფასდაკლების მიღების და მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმა (იხილეთ შენიშვნა 18).

შედეგად, „ჯგუფის“ მიერ 2019 წელს აღიარებული, სახელშეკრულებო ვალდებულება ამოტრიალდა 2020 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლისთვის და სავაჭრო მოთხოვნები შემცირდა 108,475 ათასი ლარით (იხილეთ შენიშვნა 18).

(e) შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების პოლიტიკები

ამონაგების შეფასება ხდება მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში განსაზღვრულ ანაზღაურებაზე დაყრდნობით. ჯგუფი აღიარებს ამონაგებს, როდესაც ის გადასცემს მომხმარებელს კონტროლს საქონელზე ან მომსახურებაზე.

მოცემული ცხრილი შეიცავს ინფორმაციას მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული, შესასრულებელი ვალდებულებების ბუნებისა და ამ ვალდებულებების დაკმაყოფილების ვადების შესახებ, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების და დაკავშირებული შემოსავლების აღიარების პოლიტიკების ჩათვლით.

საქონლის/ მომსახურების სახეობა	ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილების ბუნება და ვადები, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების ჩათვლით	შემოსავლის აღიარების პოლიტიკები
ბუნებრივი აირის გაყიდვა	მომხმარებლები მოიპოვებენ კონტროლს გაზზე, როდესაც ხდება მისი მიწოდება მილსადენების მეშვეობით მომხმარებელამდე. ინვოისები გამოიწერება არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა. არსებობს გადახდის ორი ძირითადი სახეობა. პირველ შემთხვევაში (რომელიც გაზის გაყიდვების ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს უკავშირდება), სახელშეკრულებო პირობების მიხედვით ვალდებულების დაფარვა ნაწილობრივ ხდება ავანსად (არაუგვიანეს ყოველი თვის 25 რიცხვისა) და დარჩენილი თანხის დაფარვა ხდება საანგარიშო თვის მომდევნო თვის ბოლომდე. ხელშეკრულების მიხედვით საურავების დარიცხვა, დაგვიანებით გადახდისთვის, ხდება გადაუხდელ ნაშთზე გადახდის ვადის თარიღის შემდგომი დღიდან. მეორე სახეობაში, გადახდის პირობები ცვალებადია თითოეული კლიენტისთვის, მაგრამ უმეტეს შემთხვევებში გადახდები უნდა განხორციელდეს ნაწილ-ნაწილ, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო 25-ე დღისა.	ამონაგები აღიარდება, როდესაც ხდება გაზის მიწოდება ე.წ. მიწოდების წერტილებში (წერტილები, რომლებიც წინასწარ განსაზღვრულია „გაზის მიწოდების ხელშეკრულებით“), შესაბამისად შესრულების ვალდებულება გაზის მიწოდებაზე დაკმაყოფილებულია. ოპერაციის ფასი მოიცავს გაზის საფასურს და საურავებს, დაგვიანებით გადახდისთვის (ცვალებადი ანაზღაურება)
შემოსავალი ნედლი ნავთობის გაყიდვიდან	შესასრულებელი ვალდებულება კმაყოფილდება, როდესაც „ჯგუფი“ მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომს ხდის ნავთობს „ჯგუფის“ საწყობში (EXW – Incoterms). ინვოისი გამოიწერება ნავთობის გაყიდვისას და ინდივიდუალურ მომხმარებელთან ხელშეკრულებით შეთანხმებულია გადახდა.	ამონაგები ნავთობის გაყიდვიდან აღიარდება როდესაც ნავთობი გადაცემულია/მიწოდებულია კომპანიის საწყობიდან მომხმარებელზე.
შემოსავალი ელექტრო- ენერგიის წარმოებიდან და მიწოდებიდან	შესასრულებელი ვალდებულება კმაყოფილდება როდესაც ელექტროენერგია მიეწოდება და მოიხმარება საბითუმო მომხმარებლების მიერ. ინვოისი გამოიწერება ყოველთვიურად. მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა ხდება საანგარიშო თვის მომდევნო თვის ბოლომდე.	ამონაგები აღიარდება ყოველთვიურად საბითუმო მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის მიხედვით. მოხმარებული ელექტროენერგიის აღრიცხვა ხდება მრიცხველებით. გარანტირებული სიმძლავრის საფასური განისაზღვრება სემეკის დადგენილების მიხედვით და დღიური ფიქსირებული გადასახადი გადასახდელია 365 დღიდან 290 დღეზე, 2020 წელს (300 დღე-2019 წელს)

7. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
წილი მეკავშირე საწარმოებში:		
შპს ენგურის ჰიდრომაკუმულირებელი		
ელექტროსადგური (EPSPP) – 40%	813	813
სხვა ინვესტიციები	1,208	1,208
სულ	2,021	2,021

მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციის მოძრაობა წლის განმავლობაში:

'000 ლარი	2020	2019
ნაშთი 1 იანვარს	2,021	17,182
შენატანები წლის განმავლობაში	-	474
ინვესტიციის შემცირება	-	(3,591)
მეკავშირე საწარმოს წილის გასხვისება	-	(13,775)
ჯგუფის წილი მოგებიდან, მოგების გადასახადის გამოკლებით	-	1,731
ნაშთი 31 დეკემბერს	2,021	2,021

2019 წლის დეკემბერში „ჯგუფმა“ გაყიდა მისი წილი (49.99%) შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურში“ 6,845 ათას ლარიანი მოგებით. გაყიდული ინვესტიციის სანაცვლოდ მიღებული ანაზღაურება 20,620 ათასი ლარის ოდენობით სრულად იქნა მიღებული ფულადი ანაზღაურების სახით 2019 წლის 30 დეკემბერს.

2018 წლის 11 ივნისს „ჯგუფის“, შპს ენგურჰესის და სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის წილობრივი მონაწილეობით (40%, 40% და 20% შესაბამისად) დაფუძნდა შპს ენგურის ჰიდრომაკუმულირებელი ელექტროსადგური (შემდეგში - ეჰე). ეჰე დაფუძნდა ჰიდრომაკუმულირებელი სადგურის პროექტის მიზანშეწონილობის შესწავლისთვის და დადებითი შედეგების შემთხვევაში ეჰე-მ უნდა განახორციელოს აღნიშნული პროექტი. წესდების მიხედვით, პირველადი შენატანი ეჰე-ს საწესდებო კაპიტალში განისაზღვრა 1,500 ათასი აშშ დოლარით, რომელიც უნდა იქნას გადახდილი დამფუძნებლების მიერ მათი წილობრივი მონაწილეობის მიხედვით. 2020 წლის განმავლობაში „ჯგუფის“ მხრიდან არ განხორციელებულა ინვესტიცია ეჰე-ს საწესდებო კაპიტალში (2019: 446 ათასი ლარი).

ამასთან, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ ფლობს წილს კომპანიებში - შპს „საერთაშორისო მილსადენის კომპანია „სარმატია“ და შპს „AGRI LNG Project Company“, რომელთაგან ორივე მნიშვნელოვანი გავლენის საგანს წარმოადგენს. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 13 აპრილის ბრძანების №775 საფუძველზე, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს პროექტების „თეთრი ნაკადი“ და „ტრანსკასპიური გაზის მილსადენი“-ს განხორციელებაში. პარტნიორთა ყოველწლიური კრების საფუძველზე, რომელიც 2017 წლის 9 ივლისს გაიმართა, „სარმატია“-ს პარტნიორებმა მიიღეს გადაწყვეტილება შპს „სარმატია“-ს საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ. ზემოხსენებული გადაწყვეტილების საფუძველზე, მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების შეძენაში გადახდილმა ფულადმა სახსრებმა შეადგინა 740 ათასი ლარი.

„ჯგუფის“ არცერთი ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში არ წარმოადგენს საჯარო საწარმოს და, შესაბამისად, ისინი არ აქვეყნებენ აქციების ფასების კოტირებას.

8. სხვა ხარჯები

'000 ლარი	2020	2019 (გადაანგარიშებული)
ტრანსპორტირება, მასალა, რემონტი და ტექნიკური უზრუნველყოფა	8,893	10,905
რეგულირების ხარჯები	2,335	2,759
კომუნალური ხარჯები	1,716	755
იურიდიული ხარჯები*	965	8,445
თბოსადგურის სატესტო რეჟიმში მუშაობის ხარჯი	903	-
პროფესიული მომსახურებები	621	206
დაზღვევის ხარჯები	611	608
საოფისე ხარჯები და საოფისე აღჭურვილობის ტექნიკური უზრუნველყოფა	468	806
აქტივების ჩამოწერა და გაყიდვა	263	843
წარმომადგენლობითი და ბიზნეს მოგზაურობების ხარჯები	168	689
სხვა	4,718	5,373
	21,661	31,389

*2019 წლის იურიდიული მომსახურების ხარჯები დაკავშირებულია იურიდიულ მომსახურებასთან, რომელიც „კომპანია“ მიიღო Hogan Lovells International LLP-სგან „კომპანიასა“ და ამ უკანასკნელს შორის 2017 წლის 6 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც ეხება ფრონტერა რისორზ ჯორჯიან კორპორეიშენთან არსებულ დავას (შენიშვნა 25 (b)). ზემოთ მოცემული პროფესიონალური მომსახურების ხარჯები მოიცავს აუდიტორული ფირმებისთვის, აუდიტორული და პროფესიული მომსახურებებისთვის გადახდილ თანხებს 343 ათასი ლარის ოდენობით (2019: 202 ათასი ლარი).

9. სხვა შემოსავალი

'000 ლარი	შენიშვნა	2020	2019 (გადაანგარიშებული)
პირგასამტეხლოდან მიღებული შემოსავალი		6,104	7,516
შემოსავალი გაცვლითი კურსებიდან		1,184	120
შემოსავალი ნავთობის გადაამუშავებიდან		653	466
საიჯარო შემოსავალი		630	728
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		-	290
შემოსავალი მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის გაყიდვიდან		-	6,845
სხვა		1,283	1,496
		9,854	17,461

*2020 და 2019 წლებში მიღებული შემოსავალი პირგასამტეხლოდან უმეტესწილად უკავშირდება კონტრაქტის პირობების დარღვევისთვის დაკისრებულ პირგასამტეხლოს, რომელიც დაკავშირებულია თბოელექტროსადგურის მშენებლობის სახელშეკრულებლო ვადების გადაცილებასთან (იხილეთ შენიშვნა 30 (g)).

10. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები

'000 ლარი	2020	2019 (გადაანგარიშებული)
მოგებაში ან ზარალში აღიარებული		
საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით დისკონტირების დაბრუნება ფინანსური იჯარის მოთხოვნაზე (შენიშვნა 14)	7,955	14,999
დისკონტირების დაბრუნება ურთიერთდაკავშირებული მხარის მიმართ რესტრუქტურული მოთხოვნაზე (შენიშვნა 16)	6,828	5,280
	2,283	2,549
ფინანსური შემოსავალი	17,066	22,828
საპროცენტო ხარჯი სესხებსა და კრედიტებზე	(50,733)	(27,564)
სხვა ფინანსური ხარჯები	(3,961)	-
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზარალი*	(103,144)	(37,682)
ფინანსური ხარჯები	(157,838)	(64,246)
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური ხარჯები	(140,772)	(42,418)

* ლარი/აშშ დოლარის კურსი 2020 წლის ბოლოს გაუფასურდა 14%-ით, წინა წელთან შედარებით. იხილეთ შენიშვნა 22 (d) (i) სავალუტო რისკი

11. მოგების გადასახადის ხარჯი

2020 წელს „ჯგუფის“ მშობელმა კომპანიამ (სს საპარტნიორო ფონდი) მიიღო გადაწყვეტილება „კომპანიის“ 2019 წლის კონსოლიდირებული მოგების 35%-ის, დივიდენდების სახით განაწილების შესახებ (2019: 2018 წლის კონსოლიდირებული მოგების 35%). საქართველოს საგადასახადო კოდექსი აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს მოგების განაწილებაზე (იმ დივიდენდების გარდა, რომელიც ეკუთვნის 2008-2016 წლებში გამომუშავებულ წმინდა მოგებას) ქართულ სამეწარმეო სუბიექტებს შორის (გარდა მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული საწარმოსი), რომლებსაც აქვთ იურიდიული საწარმოს სტატუსი საქართველოში. იმის გათვალისწინებით, რომ განაწილებული დივიდენდები ეკუთვნოდა 2019 წლის გაუნაწილებელ მოგებას, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, აღნიშნული არ ითვლება მოგების განაწილებად და შესაბამისად მოგების გადასახადით არ იბეგრება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ქართულ მეწარმე სუბიექტებს შორის 2008-2016 წლებში გამომუშავებული წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება ითვლება შემოსავლების განაწილებად, 2008-2016 წლების კუთვნილი, გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლის უფლებით.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯამური გადასახადი, რომელიც შეიძლება გაიქვითოს მოგების გადასახადთან, რომელიც ეხება 2008-2016 წლებში გამომუშავებული წმინდა მოგების დივიდენდების სახით განაწილებას, შეადგენს 47,962 ათას ლარს.

12. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	გაზის და ნავთობის მილსადენები	მიწა და შენობა- ნაგებობები	ელექტრო- ენერგიის წარმოების ერთეული	ნავთობის ჭაბურღილები	მანქანა- დანადგარები	სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებული მოწყობილობები	სულ
თვითღირებულება/შეფასებული ღირებულება								
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს, ადრე წარდგენილის შესაბამისად	431,297	44,469	381,403	35,404	19,921	12,691	315,210	1,240,395
კორექტირების შედეგი	-	-	-	-	-	-	15,224	15,224
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს (გადაანგარიშებული)	431,297	44,469	381,403	35,404	19,921	12,691	330,434	1,255,619
შესყიდვები (გადაანგარიშებული)	2,188	1,963	-	-	322	2,522	225,623	232,618
გადატანები (გადაანგარიშებული)	10,533	1,355	4,016	18	58	-	(15,980)	-
კაპიტალიზირებული სასესხო ხარჯები (გადაანგარიშებული)	-	-	-	-	-	-	34,460	34,460
გაყიდვები (გადაანგარიშებული)	-	-	-	(17)	(299)	-	(3,323)	(4,117)
რეკლასიფიკაცია	1,646	-	-	-	-	-	(1,646)	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს (გადაანგარიშებული)	445,664	47,787	385,419	35,405	20,002	14,735	569,568	1,518,580
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	445,664	47,787	385,419	35,405	20,002	14,735	569,568	1,518,580
შესყიდვები	1,604	3,783	2,239	-	185	926	145,242	153,979
გადატანები	20,603	1,465	505,879	-	185	33	(528,165)	-
კაპიტალიზირებული სასესხო ხარჯები	-	-	-	-	-	-	7,152	7,152
გაყიდვები	-	(29)	-	-	-	-	(4,143)	(4,172)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	467,871	53,006	893,537	35,405	20,372	15,694	189,654	1,675,539
ცვეთა და გაუფასურების ზარალი								
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს, ადრე წარდგენილის შესაბამისად	174,151	7,245	52,716	26,396	12,185	6,261	3,040	281,994
კორექტირების შედეგი	-	-	9,711	-	-	-	-	9,711
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს (გადაანგარიშებული)	174,151	7,245	62,427	26,396	12,185	6,261	3,040	291,705
წლის ცვეთა (გადაანგარიშებული)	18,212	621	17,852	700	1,783	1,592	-	40,760
გაყიდვები	-	-	-	(17)	(16)	(478)	-	(511)
რეკლასიფიკაცია	952	-	-	-	-	-	(952)	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს (გადაანგარიშებული)	193,315	7,866	80,279	27,079	13,952	7,375	2,088	331,954
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	193,315	7,866	80,279	27,079	13,952	7,375	2,088	331,954
წლის ცვეთა	18,619	901	35,583	585	1,877	1,135	-	58,700
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	211,934	8,767	115,862	27,664	15,829	8,510	2,088	390,654
საბალანსო ღირებულებები								
2019 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)	257,146	37,224	318,976	9,008	7,736	6,430	327,394	963,914
2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	252,349	39,921	305,140	8,326	6,050	7,360	567,480	1,186,626
2020 წლის 31 დეკემბერი	255,937	44,239	777,675	7,741	4,543	7,184	187,566	1,284,885

საფინანსო
განმარტება

დაუმონტაჟებელი მოწყობილობები შეადგენს 105,877 ათას ლარს (2019 წელს: 92,475 ათასი ლარი) ჯამური 187,566 ათასი ლარის ნაშთიდან (2019 წელს: 567,480 ათასი ლარი). დაუმონტაჟებელი მოწყობილობა მოიცავს მშენებარე აქტივებს და დაუმონტაჟებელ მოწყობილობებს. დაუმონტაჟებელი მოწყობილობების უმეტესობა გაზის მილსადენებისგან და ტურბინებისგან შედგება, რომელთა გამოყენებაც ჯერ არ დაწყებულია. იმის გამო, რომ საქართველოს ბაზარი არ არის განვითარებული, თითქმის შეუძლებელია თბოელექტროსადგურების ნაწილების სასწრაფო წესით შეძენა, გადაუდებელ სიტუაციებში, შესაბამისად „ჯგუფს“ უწევს დამატებითი მარაგის შენახვა.

დაუმთავრებელი მშენებლობის დამატებების ზრდა 108,195 ათასი ლარით (2019: 176,786 ათასი ლარი) ჯამური 145,242 ათასი ლარიდან (2019: 225,623 ათასი ლარი) დაკავშირებულია გარდაბნის მე-2 კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის მშენებლობასთან. ძირითადი მშენებლობა დასრულდა 2020 წლის 12 თებერვალს, თარიღი, როდესაც თბოსადგური მზად იყო გამოყენებისთვის და ამავე თარიღიდან დაიწყო მასზე ცვეთის დარიცხვა. „ჯგუფი“ იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს და თბოსადგურის სასარგებლო მომსახურების ვადად განსაზღვრული აქვს 25 წელი. გაზის ტურბინის ფრთების კაპიტალური რემონტი, რომელიც შესულია „ელექტროენერგიის წარმოების ერთეულის“ ძირითადი საშუალებების ჯგუფში, საბალანსო ღირებულებით 36,091 ათასი ლარის ოდენობით (2019: 1,596 ათასი ლარი) და რომლის ჩატარება ივარაუდება ყოველ 5-8 წელიწადში ერთხელ, აღირიცხება ცალკე კაპიტალური რემონტის კომპონენტად და ცვეთა ერიცხება ძირითადი აქტივისგან განცალკევებით.

დაუმთავრებელი მშენებლობის დარჩენილი ნაწილი ძირითადად შედგება მილსადენების მშენებლობა/რეაბილიტაციასთან დაკავშირებული სამუშაოებისგან.

2020 წელს, კაპიტალიზირებულმა საპროცენტო ხარჯებმა, რომელიც დაკავშირებულია გარდაბნის მე-2 კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის მშენებლობასთან, შეადგინა 7,152 ათასი ლარი (2019: 34,460 ათასი ლარი), ხოლო კაპიტალიზაციის განაკვეთმა - 7.27% (2019: 7.27%).

2020 წლის განმავლობაში „კომპანიის“ მშობელმა კომპანიამ განახორციელა 1,530 ათასი ლარის მიწის ნაკვეთების, 1,609 ათასი ლარის მილსადენების შენატანი, „კომპანიის“ სააქციო კაპიტალის ზრდის სახით (2019: მიწის ნაკვეთები 1,773 ათასი ლარი, მილსადენები - 1,854 ათასი ლარი). შეტანილი მიწის ნაკვეთების და მილსადენების თვითღირებულება მათ სამართლიან ღირებულებასთან არის მიახლოებული.

ხელმძღვანელობამ გაანალიზა გაუფასურების მაჩვენებლები ბასს 36 „აქტივების გაუფასურება“ მოთხოვნების შესაბამისად და დაასკვნა, რომ 2020 წლის 31 დეკემბრისთვის გაუფასურების ინდიკატორები არ არსებობს.

13. ავანსები

000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
გრძელვადიანი აქტივები		
ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის	1,039	97,170
მიმდინარე აქტივები		
ავანსები	94,566	66,198
	<u>95,605</u>	<u>163,368</u>

2016 წლის 28 სექტემბერს შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-ს და „China Tianchen Engineering Corporation“-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება გარდაბნის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის დაპროექტების, შესყიდვისა და მშენებლობის შესახებ. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „China Tianchen Engineering Corporation“-სთვის ავანსად გადახდილმა თანხამ შეადგინა 89,953 ათასი ლარი. 2020 წლის თებერვალში გარდაბნის მე-2 თბოელექტროსადგურის მშენებლობა დასრულდა. შესაბამისად, ზემოხსენებული ავანსი სრულად იყო ათვისებული 2020 წელს.

მოკლევადიანი ავანსების ნაშთი ძირითადად დაკავშირებულია გაზის მომწოდებლებისთვის გადახდილ თანხებთან კომპანია „South Caucasus Pipeline Option Gas Company Limited“-ისთვის 68,173 ათასი ლარის ოდენობით (2019 წელს: 42,933 ათასი ლარი) და კომპანია „Azerbaijan Gas Supply Company Limited“-ისთვის (AGSC) 14,980 ათასი ლარის ოდენობით (2019 წელს 13,332 ათასი ლარი).

14. ფინანსური იჯარის მოთხოვნა

1996 წელს საქართველოს მთავრობა შევიდა 30-წლიან გარიგებაში ნავთობის კომპანიების კონსორციუმთან, რომელმაც იკისრა საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრიდან საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე სუფსის ნავთობტერმინალამდე ნავთობის მილსადენის სისტემის მშენებლობის და განვითარების ვალდებულება. გარიგების საფუძველზე ნავთობის კომპანიებს მიენიჭა მითითებული მილსადენის სისტემით ნავთობის საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანსპორტირების უფლება. მილსადენი საქართველოს სახელმწიფო ქონება გახდა. ამ მილსადენის საკუთრების უფლება გადაეცა „კომპანიას“ 2010 წლის ივნის-ივლისში „კომპანიის“ საწესდებო კაპიტალში განხორციელებული შენატანის სახით, ნომინალური ღირებულებით 269,299 ათასი ლარი. მილსადენით მოსარგებლე ნავთობკომპანიებისგან „ჯგუფი“ იღებს სატრანზიტო საფასურს ტრანსპორტირებული ნავთობის თითოეულ ბარელზე. ხელმძღვანელობამ განსაზღვრა, რომ თავდაპირველი გარიგება მოიცავდა ფინანსურ იჯარას დაწყების თარიღიდან, იმის გამო, რომ საიჯარო ხელშეკრულება მოიჯარეს გადასცემდა საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას.

„ჯგუფმა“ აღიარა ფინანსური იჯარის მოთხოვნა 39,229 ათასი ლარის ოდენობით იმ თარიღში, როდესაც საკუთრების უფლება მილსადენებზე გადაეცა „ჯგუფს“. ფინანსური იჯარის მოთხოვნა წარმოადგენს წმინდა ინვესტიციის მიმდინარე ღირებულებას იჯარაში, რომელიც აქტივების არაუზრუნველყოფილი ნარჩენი ღირებულების მიმდინარე ღირებულებას მოიცავდა იჯარის ვადის ბოლოს, რომელიც დისკონტირდება იჯარაში არსებული საპროცენტო განაკვეთით. 230,070 ათასი ლარის სხვაობა იჯარაში წმინდა ინვესტიციების ნომინალურ და მიმდინარე ღირებულებას შორის აღიარებულ იქნა კაპიტალში სამართლიანი ღირებულების ცვლილების სახით, მესაკუთრის არაფულადი შენატანისთვის.

‘000 ლარი	2020	2019
ფინანსური საიჯარო მოთხოვნა 1 იანვარს	73,134	67,854
დისკონტირების დაბრუნება ფინანსური იჯარის მოთხოვნაზე	6,828	5,280
ფინანსური იჯარის მოთხოვნა 31 დეკემბერს	79,962	73,134

2020 წლის განმავლობაში ცვლადმა საიჯარო გადახდებმა ნავთობის ტრანსპორტირებიდან (აღიარებული კონსოლიდირებულ მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში), შეადგინა 26,348 ათასი ლარი (2019: 21,168 ათასი ლარი).

15. გაცემული სესხები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
გრძელვადიანი აქტივები		
აქციონერზე გაცემული სესხი	19,914	15,983
მესამე მხარეზე გაცემული სესხი	207	171
	20,121	16,154
მიმდინარე აქტივები		
მესამე მხარეზე გაცემული სესხი	1,513	1,692
	1,513	1,692
სულ გაცემული სესხები	21,634	17,846

აქციონერზე - სს „საპარტნიორო ფონდზე“ გაცემული სესხი არაუზრუნველყოფილ სუბორდინირებულ სესხს წარმოადგენს და ის აშშ დოლარშია დენომინირებული (4,500 ათასი აშშ დოლარი). მასზე ირიცხება სახელშეკრულებო წლიური საპროცენტო განაკვეთი 9,5%-ის ოდენობით.

სესხის ხელშეკრულების საფუძველზე ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის დაფარვა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2021 წლის 31 მაისისა ან ექვსი თვის შემდეგ სს საპარტნიორო ფონდის მიერ Credit Suisse-სთვის (სს საპარტნიორო ფონდის გამსესხებელი) გადასახდელი სესხის თანხის სრულად დაფარვიდან.

2020 წელს სს საპარტნიორო ფონდმა გამოიყენა Credit Suisse-სთან გაფორმებული სესხის ხელშეკრულების პირობა ძირითადი თანხის დაფარვის ვადის გაგრძელებაზე და გადასახდელი სესხის დაფარვის ვადა გაახანგრძლივა 2021 წლის სექტემბრამდე. შესაბამისად, „კომპანიამ“ გაახანგრძლივა სს საპარტნიორო ფონდისგან სესხის დაფარვის ვადა 2022 წლის მარტამდე.

2018 წლის მარტში „კომპანიამ“ გასცა სესხი ჯორჯიან ოილ ენდ გაზ ლიმიტედ-ზე (GOGL) (არ არის ურთიერთდამოკიდებული მხარე) 500 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. სესხზე ირიცხება სახელშეკრულებო წლიური საპროცენტო განაკვეთი 9,5%-ის ოდენობით. 2020 წლის განმავლობაში GOGL-მა გადაიხადა პროცენტი სესხის დაუფარავ ოდენობაზე. 2020 წლის 30 დეკემბრის სესხის დამატების საფუძველზე სესხის ძირითადი თანხის დაფარვის ვადა გაახანგრძლივდა 2021 წლის 31 დეკემბრამდე.

„ჯგუფის“ დამოკიდებულება საკრედიტო რისკზე და სესხებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი განხილულია 22-ე შენიშვნაში.

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

'000 ლარი	2020	2019
გრძელვადიანი აქტივები		
რესტრუქტურირებული მოთხოვნები*	14,514	15,718
სულ გრძელვადიანი	14,514	15,718
მიმდინარე აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	247,889	275,677
რესტრუქტურირებული მოთხოვნები*	3,204	4,296
სხვა მოთხოვნები	997	1,655
სულ მიმდინარე	252,090	281,628
	266,604	297,346

*2017 წლის 16 ნოემბერს, „კომპანია“ და შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ (სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანია) გააფორმეს ხელშეკრულება მაგისტრალური მილსადენის იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნის რესტრუქტურირების შესახებ. ხელშეკრულების მხარეებმა შეათანხმეს გადახდის გრაფიკი, რის საფუძველზეც მთლიანი თანხა დაიფარება 2025 წლის ბოლოსთვის. მოთხოვნის რესტრუქტურირება გულისხმობს პირობების არსებით მოდიფიკაციას; შესაბამისად, რესტრუქტურირების თარიღისთვის „კომპანია“ შეწყვიტა არსებული მოთხოვნის აღიარება და აღიარა ახალი აქტივი ახალი პირობების გათვალისწინებით. 2017 წელს ნაშთის სამართლიანი ღირებულების დაანგარიშება პირველადი აღიარებისას, მოხდა მომავალი გადახდების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირდა წლიური საბაზრო საპროცენტო განაკვეთით 10.86%-ის ოდენობით (შენიშვნა 10). 2020 წელს შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ განახორციელა გადახდა 5,000 ათასი ლარის ოდენობით, ზემოხსენებული გადახდის გრაფიკის მიხედვით.

„ჯგუფის“ დამოკიდებულება საკრედიტო და სავალუტო რისკებზე, ასევე სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი განხილულია 22-ე შენიშვნაში.

17. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და შეზღუდული ფულადი სახსრების ნაშთები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
საბანკო ნაშთები	24,203	71,141
მოთხოვნამდე დეპოზიტები	49,831	64,674
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	74,034	135,815

დაფარვამდე ანაბრები წარმოადგენს ვადიან ანაბრებს, რომელთა დაფარვაც შეიძლება სავალდებულო გახდეს, სამთვლიანი ან მეტი დაფარვის ვადით განთავსების თარიღიდან და რომლებისთვისაც „ჯგუფს“ აქვს ანაბრის გატანის ცალმხრივი უფლება შეტყობინების გაგზავნიდან რამდენიმე დღეში, ჯარიმების გადახდის და არსებითი საპროცენტო ზარალის გარეშე. შედეგად, აღნიშნული ვადიანი ანაბრების კლასიფიკაცია მოხდა მათი ბუნებიდან გამომდინარე, რაც წარმოადგენს მოთხოვნამდე ანაბარს.

შეზღუდული ფულადი სახსრები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეზღუდული ფულადი სახსრების ნაშთი 924 ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს აკრედიტების ხელშეკრულების უზრუნველყოფის სახით ფლობილ საბანკო ნაშთებს საქართველოს ერთ ბანკში (2019: 60 ათასი ლარი).

საპროცენტო განაკვეთის რისკზე „ჯგუფის“ დამოკიდებულება და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი განხილულია 22-ე შენიშვნაში.

18. კაპიტალი

(a) სააქციო კაპიტალი

აქციების რაოდენობა (სხვაგვარად მითითებამდე)

	ჩვეულებრივი აქციები	
	2020	2019
ნომინალური ღირებულება	20 ლარი	20 ლარი
რაოდენობა 1 იანვრის მდგომარეობით	32,145,250	31,329,768
აქციების გამოშვება არაფულადი აქტივების შენატანების სანაცვლოდ	156,950	815,482
გამოშვებული 31 დეკემბრისთვის	32,302,200	32,145,250

ჩვეულებრივი აქციები

2020 წლის განმავლობაში „კომპანიის“ მშობელმა კომპანიამ გადაწყვიტა „კომპანიის“ სააქციო კაპიტალში გაეკეთებინა ძირითადი საშუალების შენატანი (მიწის ნაკვეთები და მილსადენები) ნომინალური ღირებულებით 3,139 ათასი ლარი, რომელიც დაახლოებით ტოლია ამ აქტივების სამართლიანი ღირებულების გადაცემის დღისთვის.

2019 წლის განმავლობაში „კომპანიის“ მშობელმა კომპანიამ „კომპანიის“ სააქციო კაპიტალში შეიტანა ძირითადი საშუალებები ნომინალური ღირებულებით 15,548 ათასი ლარი, და იკისრა 762 ათასი ლარის ვალდებულება 2020 წელს განსახორციელებელი კაპიტალური შენატანებისთვის. 2019 წელს შეტანილი ძირითადი საშუალებების ნომინალურ და სამართლიან ღირებულებებს შორის სხვაობამ (შენატანების განხორციელების თარიღებისთვის) შეადგინა 11,921 ათასი ლარი და აღიარებული იყო კაპიტალში „დამატებითი შენატანები კაპიტალში“ კომპონენტის შემცირების სახით.

(b) დამატებითი შენატანები კაპიტალში

დამატებით გადახდილი კაპიტალი წარმოადგენს „ჯგუფისთვის“ საქართველოს მთავრობის (რომელიც ასრულებს მისი აქციონერის ფუნქციას) მიერ გადაცემულ სარგებელს.

სააქციო კაპიტალის გაზრდისას, ნებისმიერი სხვაობა სააქციო კაპიტალის რეგისტრირებულ ოდენობას და შეტანილი აქტივების სამართლიან ღირებულებას შორის აღიარდება კაპიტალის ცალკეული კომპონენტის სახით, როგორც „დამატებითი შენატანები კაპიტალში“.

(c) დივიდენდები

2020 წელს 42,482 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები იქნა გამოცხადებული „კომპანიის“ მიერ (2019: 56,469 ათასი ლარი გამოცხადებული და 60,000 ათასი ლარი გადახდილი) და 38,951 ათასი ლარი გადახდილ იქნა სს „საპარტნიორო ფონდზე“.

სხვაობა გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებს შორის 2019 წელს აღიარებულ წინასწარ გადახდილ დივიდენდებს წარმოადგენს, რომლებიც გაქვითულია იმ დივიდენდებთან, რომლებიც 2020 წელს იქნა განაწილებული.

2020 წლის წმინდა მოგებიდან კომპანიის მიერ არ გამოცხადებულა და არ გადახდილა შუალედური დივიდენდები.

2019 წელს შპს გარდაბნის თბოსადგურმა გამოაცხადა 2,000 ათასი ლარის დივიდენდები, საიდანაც 982 ათასი იქნა გადახდილი არამაკონტროლებელი წილის მფლობელ - სს „საპარტნიორო ფონდზე“. 2020 წელს, შპს „გარდაბნის თბოსადგურს“ დივიდენდები არ გამოუცხადებია და არ გადაუხდია.

(d) არამაკონტროლებელი წილები

არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს სს „საპარტნიორო ფონდის“ შენატანს საწესდებო კაპიტალში და მის წილს შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ („ჯგუფის“ 51%-იანი შვილობილი კომპანია) კუმულატიურ გაუნაწილებელ მოგებაში (იხილეთ შენიშვნა 23).

2020 წელს „კომპანიაში“ ხელი მოაწერა სესხის ხელშეკრულებას ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) 2021 წლის აპრილში ევროზღბილიგაციების რეფინანსირების მიზნით, 217 მილიონი ევროს ოდენობით. 2020 წლის 20 სექტემბერს ხელი მოეწერა საგარანტიო ხელშეკრულებას შპს გარდაბნის თბოსადგურსა, შპს გარდაბნის თბოსადგური 2-სა და EBRD-ს შორის. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, შპს გარდაბნის თბოსადგური და შპს გარდაბნის თბოსადგური 2 (ერთობლივად - სესხის "გარანტორები") შეთანხმდნენ, რომ ერთობლივად და ცალ-ცალკე უზრუნველყოფენ „კომპანიის“ EBRD-ს წინაშე არსებულ ვალდებულებებს სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში. საგარანტიო ხელშეკრულების თანახმად, თუ „კომპანია“ არ დაფარავს რაიმე თანხას სესხის ხელშეკრულების ფარგლებში, გარანტორები დაუყოვნებლივ გადაიხდიან ამ თანხას, თითქოს ისინი იყვნენ ძირითადი მოვალეები და არა მხოლოდ გარანტორები.

იმის გამო, რომ შპს გარდაბნის თბოსადგურმა და შპს გარდაბნის თბოსადგური 2-მა უზრუნველყვეს „კომპანიისთვის“ გარანტია ანაზღაურების გარეშე, გარანტია აღირიცხება როგორც განაწილება „კომპანიისთვის“, შვილობილი კომპანიების ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, სამართლიანი ღირებულებით. გარანტიის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შემოსავლის მიდგომის საფუძველზე, დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელის გამოყენებით. შეფასების მოდელი ითვალისწინებს მთლიანი პერიოდის სასესხო გადახდების ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომის გათვალისწინებით, რომელიც დისკონტირდება გარანტიის გაცემის თარიღისთვის არსებული, საქართველოს ბანკების მიერ კორპორატიულ კლიენტებზე უცხოურ ვალუტაში გაცემული გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების განაკვეთების გამოყენებით. გარანტიის მთლიანი სამართლიანი ღირებულება გაიყო შპს "გარდაბნის თბოსადგურის" და შპს "გარდაბნის თბოსადგური 2"-ს შორის მათი შესაბამისი წმინდა აქტივების წილის პროპორციულად. სამართლიანი ღირებულების შეფასება მესამე დონის სამართლიან ღირებულებად კლასიფიცირდა, ზემოაღნიშნულ შეფასების ტექნიკაში გამოყენებული შეტანილი მონაცემების საფუძველზე.

„ჯგუფის“ დონეზე აღნიშნული გარანტიები დაელიმინირდა და შემცირდა არამაკონტროლებელი წილი, „კომპანიის“ მესაკუთრეებზე მიკუთვნებადი გაუნაწილებელი მოგების სასარგებლოდ, შპს გარდაბნის თბოსადგურის გარანტიის წილით, რომელმაც შეადგინა 19,081 ათასი ლარი.

(e) განაწილება მესაკუთრეზე

საქართველოს მთავრობის განზრახვის, საქართველოს მოსახლეობისთვის გაზის სამომხმარებლო ტარიფების შენარჩუნების შესაბამისად და იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მთავრობა წარმოადგენს „კომპანიის“ საბოლოო მფლობელს, მთავრობამ დაავალა ამ უკანასკნელს გაეფორმებინა N16 დამატება გაზის გაყიდვის ხელშეკრულებაზე (GSA), რომელიც გაფორმებულია სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტსა ("SGEI") და „კომპანიას“ შორის 2011 წლის 23 დეკემბერს, რამაც გამოიწვია, inter alia, (i) „კომპანიის“ მხრიდან SGEI-ის მიმართ არსებული მოთხოვნების შემცირება (108,475 ათასი ლარი დღგ-ს გარეშე), SGEI-ის მიერ „კომპანიისგან“ სოციალური გაზის შესყიდვის ფასების შემცირების გზით, 2018-2020 წლებში მოსახლეობაზე მიწოდებული „სოციალური გაზის“ შესაბამის მოცულობებზე და (ii) შესაბამისად, აზერბაიჯანული მხარის მიერ N12 შეთანხმებით გათვალისწინებულ, 2021-2025 წლებში („საკომპენსაციო პერიოდი“) მისაღებ 15 აშშ დოლარის ფასდაკლებაზე უარის თქმა. იხილეთ შენიშვნა 6(d)).

რადგან საქართველოს მთავრობა წარმოადგენს „კომპანიის“ საბოლოო მფლობელს, და ზემოხსენებული ოპერაცია განხორციელდა „ჯგუფის“ მიერ მთავრობის დავალების საფუძველზე და არ წარმოადგენს ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში შესრულებულ ტრანზაქციას, ხელმძღვანელობამ აღრიცხა ეს ოპერაცია კაპიტალში, როგორც „მესაკუთრეზე განაწილება“ და შესაბამისად „ჯგუფის“ გაუნაწილებელი მოგება შემცირდა 108,475 ათასი ლარით.

19. კაპიტალის მართვა

„ჯგუფს“ არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის შესაბამისი ბაზის უზრუნველყოფას „ჯგუფის“ საოპერაციო და სტრატეგიულ საჭიროებებთან დაკავშირებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, და ასევე ბაზრის მონაწილეების ნდობის შესანარჩუნებლად. ეს მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვის, „ჯგუფის“ შემოსავლებისა და მოგების და იმ გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების მუდმივი მონიტორინგის გზით, რომლებიც ძირითადად „ჯგუფის“ საოპერაციო ფულადი ნაკადებით და არაუზრუნველყოფილი ობლიგაციებით ფინანსდება. ამ ღონისძიებების გატარებით, „ჯგუფი“ მისი მოგების მდგრად ზრდას ისახავს მიზნად.

წლის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია კაპიტალის მართვაში „ჯგუფის“ მიდგომის ცვლილებას. „კომპანია“ ან/და მისი შვილობილი კომპანიები არ წარმოადგენენ გარედან დაკისრებული, კაპიტალის მოთხოვნების საგანს.

20. სესხები და კრედიტები

მოცემულ შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია „ჯგუფის“ პროცენტური სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც ამორტიზირებული ღირებულებით ფასდება. საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და ლიკვიდურობის რისკზე „ჯგუფის“ დამოკიდებულებების შესახებ მეტი ინფორმაცია იხილეთ 22-ე შენიშვნაში.

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გამოშვებული არაუზრუნველყოფილი ობლიგაცია	-	705,122
მიმდინარე ვალდებულებები		
გამოშვებული არაუზრუნველყოფილი ობლიგაციის მიმდინარე ნაწილი	828,152	16,902
	828,152	722,024

(a) სესხის დაფარვის ვადები და გრაფიკი

გადაუხდელი სესხების ვადები და პირობები იყო შემდეგი:

'000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	31 დეკემბერი 2020		31 დეკემბერი 2019	
				ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
არაუზრუნველ- ყოფილი ობლიგაციის გამოშვება სულ პროცენტური ვალდებულებები	აშშ დოლარი	6.75%	2021	829,148	828,152	725,675	722,024
				829,148	828,152	725,675	722,024

არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები, რომლის დაფარვის ვადა იყო 2021 წლის აპრილი, გამოშვებული იყო „კომპანიის“ 2012 წლის ევროობლიგაციების გადაფარვის მიზნით, რომელთა დაფარვის ვადა იყო 2016 წლის აპრილი.

2020 წლის დასაწყისიდან „კომპანიამ“ დაიქირავა წამყვანი საინვესტიციო ბანკები, რომელთა მიზანი იყო 2020 წლის მარტისთვის ფინანსურ ბაზარზე გასვლის ხელშეწყობა. თუმცა, COVID-19 პანდემიის გავრცელებისა და ფინანსური ბაზრების შემდგომი კრიზისის გამო, აღნიშნული პროცესი შეჩერდა არახელსაყრელი საბაზრო პირობების გამო. შესაბამისად, „კომპანიამ“, ბანკების რჩევის გათვალისწინებით, გადაწყვიტა დროებით შეეჩერებინა გარიგება და პარალელურად, 2020 წლის აპრილიდან დაიწყო ალტერნატიული დაფინანსების წყაროების ძიება.

EBRD-თან ფართომასშტაბიანი მოლაპარაკებების შედეგად, „კომპანიამ“ 2020 წლის სექტემბერში ხელი მოაწერა 217 მილიონი ევროს (873 მილიონი ლარი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) 10-წლიან სესხის ხელშეკრულებას, რომელიც აშშ დოლარის ექვივალენტში საკმარისი იყო გადასახდელი 250 მილიონი აშშ დოლარის (819 მილიონი ლარი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) ევროობლიგაციების და მათზე დარიცხული კუპონის დასაფარავად.

250 მილიონი აშშ დოლარის ევროობლიგაციების და მათზე დარიცხული კუპონის სრული დაფარვა მოხდა 2021 წლის აპრილში. ევროობლიგაციების დაფარვისთვის გამოყენებულმა სესხის მოცულობამ შეადგინა 853,734 ათასი ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრისთვის „კომპანიის“ მიერ EBRD-ს სესხი არ იყო გატანილი/ათვისებული და „კომპანიამ“ გადაიხადა სესხის მართვის საფასური 8,225 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც აღრიცხულ იქნა გადახდილი ავანსების სახით.

2018 წელს, კომპანიამ „KfW“-თან ხელი მოაწერა სასესხო ხელშეკრულებას 150 მილიონ ევროზე, საქართველოში პირველი მიწისქვეშა გაზსადგავის მშენებლობის დაფინანსებისთვის. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის არცერთი ტრანში არ ყოფილა გატანილი/ათვისებული და კომპანიამ გადაიხადა სესხის მომსახურების საფასური 904 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც აღიარებულ იქნა ფინანსურ ხარჯებში (2019 წელს „კომპანიამ“ გადაიხადა მართვის საფასური 4,455 ათასი ლარის ოდენობით და 89.5 ათასი ლარის სესხის მომსახურების საკომისიო).

	წინა წარდგენილი	კორექტირებები	გადაანგარიშებული
მიმწოდებლებისა და თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(777,353)	(7,024)	(784,377)
მიღებული პროცენტი	12,917	(332)	12,585
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	60,621	(7,356)	53,265
ძირითადი საშუალებების შეძენა, გადახდილი ავანსების ჩათვლით	(234,084)	7,372	(226,712)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(208,019)	7,372	(200,647)
წმინდა კლება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	(212,835)	16*	(212,819)

2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, „ჯგუფმა“ აღმოაჩინა, რომ მიმწოდებლებისთვის და თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრების ნაწილი არასწორად იყო კლასიფიცირებული ძირითადი საშუალებების შეძენის სახით, მათ შორის ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგების საინვესტიციო საქმიანობებში გადახდილი ავანსები. შედეგად, ადრე გამოშვებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან შემცირებული იყო 7,024 ათასი ლარით, ხოლო ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან - გაზრდილი 7,024 ათასი ლარით.

*გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე

31. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში, და თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული „ჯგუფის“ საწარმოების მიერ.

ზოგიერთი შესადარისი თანხები დაკორექტირდა შეცდომების გასწორების შედეგად (იხილეთ შენიშვნა 30).

რიგი ახალი ან კორექტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები შევიდა ძალაში 2020 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არ იქონიეს არსებითი გავლენა „ჯგუფის“ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(a) კონსოლიდაციის საფუძველი

(i) არამაკონტროლებელი წილები

არამაკონტროლებელი წილები ფასდება შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების წილის პროპორციულად, შესყიდვის თარიღისთვის.

ცვლილებები „ჯგუფის“ შვილობილ კომპანიაში არსებულ წილში, რომლებიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას აღირიცხება, როგორც კაპიტალის ოპერაციები.

(ii) შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ „ჯგუფის“ მიერ კონტროლირებად სტრუქტურულ ერთეულებს. „ჯგუფი“ აკონტროლებს საწარმოს თუ მას აქვს შვილობილ კომპანიაში ჩართულობით ცვალებადი ამონაგების მიღების და ასევე ამონაგებზე გავლენის მოხდენის უფლებამოსილება (მისი ჩართულობიდან საწარმოში). შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება ჩართულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, კონტროლის დაწყების მომენტიდან მისი შეწყვეტის მომენტამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა იცვლება საჭიროებისამებრ, რათა შესაბამისობაში მოვიდეს „ჯგუფის“ მიერ მიღებულ ერთიან სააღრიცხვო პოლიტიკასთან. შვილობილ კომპანიაში არამაკონტროლებელ წილზე მიკუთვნებადი ზარალი, მიკუთვნებულია არამაკონტროლებელ წილებზე მიუხედავად იმისა, იწვევს ეს თუ არა არამაკონტროლებელი წილის უარყოფით (დეფიციტურ) ნაშთს.

(iii) წილები „ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში“

„ჯგუფის“ წილი მეკავშირე საწარმოებში მოიცავს წილებს მეკავშირე საწარმოებში და ერთობლივ საწარმოებში.

მეკავშირე საწარმოები წარმოადგენს საწარმოებს, რომლებშიც „ჯგუფს“ აქვს მნიშვნელოვანი გავლენა, მაგრამ არ ახორციელებს კონტროლს ან ერთობლივ კონტროლს ფინანსურ და საოპერაციო პოლიტიკებზე. მნიშვნელოვანი გავლენა არსებობს, როდესაც „ჯგუფი“ ფლობს 20%-დან 50%-მდე ხმის უფლებას სხვა საწარმოში.

ერთობლივი საწარმო წარმოადგენს გარიგებას რომელშიც „ჯგუფს“ აქვს ერთობლივი კონტროლი, რომლის საშუალებითაც „ჯგუფს“ აქვს უფლებები გარიგების წმინდა აქტივებზე, და არა უფლებები მის აქტივებზე და ვალდებულებები მის ვალდებულებებზე. წილი მეკავშირეებსა და ერთობლივ საწარმოებში აღირიცხება კაპიტალის მეთოდის გამოყენებით და თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. ინვესტიციის ღირებულება მოიცავს გარიგების ღირებულებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს „ჯგუფის“ წილს მეკავშირე საწარმოების მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში, „ჯგუფის“ სააღრიცხვო პოლიტიკებთან მორგების მიზნით კორექტირებების განხორციელების შემდეგ, იმ თარიღიდან, როდესაც იწყება მნიშვნელოვანი გავლენა ან საერთო კონტროლი, ამ უკანასკნელის დასრულებამდე.

როცა „ჯგუფის“ ზარალის წილი აღემატება მის წილს მეკავშირე საწარმოებში, ამგვარი წილის საბალანსო ღირებულება, ნებისმიერი გრძელვადიანი ინვესტიციების ჩათვლით, ნულამდე არის შემცირებული და შემდგომი ზარალის აღიარება წყდება, გარდა შემთხვევისა, როდესაც „ჯგუფს“ აქვს ვალდებულება ან აქვს განხორციელებული გადახდები ინვესტიციის ობიექტის სახელით.

(iv) კონსოლიდაციისას აღმოფხვრილი ოპერაციები

გამორიცხება შიდა ჯგუფური ნაშთები და გარიგებები და „ჯგუფის“ შიდა გარიგებებიდან წარმოშობილი ნებისმიერი არარეალიზებული შემოსავალი ან ზარაჟი. მეკავშირე საწარმოსთან დადებული გარიგებებიდან მიღებული არარეალიზებული ამონაგები აღმოიფხვრება ინვესტიციის საპირწონედ, ჯგუფის ინვესტიციის ობიექტში წილის მიხედვით. არარეალიზებული ზარალები აღმოიფხვრება იგივენაირად როგორც არარეალიზებული ამონაგები, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს გაუფასურების მტკიცებულება.

(b) შემოსავალი

ინფორმაცია „ჯგუფის“ სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, მოცემულია 6(e) შენიშვნაში.

(i) მილსადენების იჯარა

საოპერაციო იჯარა:

„კომპანია“ იჯარით გასცემს გაზის მილსადენებს და მათთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურას შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაზე“. საიჯარო ხელშეკრულება არის არა-გაუქმებადი და ძალაშია 2021 წლის 1 იანვრამდე.

გაზის მილსადენების იჯარებიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც წარმოადგენს ფიქსირებულ საიჯარო გადასახადს, აღიარდება მოგებაში ან ზარალში ყოველთვიურად (გთხოვთ იხილეთ შენიშვნა 6).

(ii) ნავთობის ტრანსპორტირება

ნავთობის ტრანსპორტირების საფასური მოიცავს ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით მიღებულ პირობით ქირას. შემოსავალი აღიარდება მილსადენებით გადაცემული ნავთობის მოცულობის მიხედვით, ხელშეკრულებით ბარელ ნავთობზე დადგენილი განაკვეთის საფუძველზე.

(c) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

„ჯგუფის“ ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავალი;
- ფინანსური საიჯარო მოთხოვნაზე დისკონტირების დაბრუნება;
- რესტრუქტურირებულ მოთხოვნაზე დისკონტირების დაბრუნება;
- საპროცენტო ხარჯი;
- კლიენტების მიერ გადახდის დაგვიანებისთვის დარიცხული ჯარიმები;
- უცხოური ვალუტის ამონაგები ან ზარალი ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. დივიდენდებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, იმ თარიღისთვის, როდესაც დადგენილია „ჯგუფის“ უფლებები გადახდების მიღებასთან დაკავშირებით.

‘ეფექტური საპროცენტო განაკვეთი’ არის განაკვეთი, რომელიც ადისკონტირებს მომავალ ფულად გადახდებს ან მისაღებ თანხებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში:

- ფინანსური აქტივის ბრუტო საბალანსო ღირებულებამდე ან
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებამდე.

საპროცენტო შემოსავლების და ხარჯების გაანგარიშებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის ბრუტო საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის კრედიტ-გაუფასურებული) ან ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებაზე. თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც გაუფასურებულია კრედიტით, მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საპროცენტო შემოსავალი ანგარიშდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებაზე გამოყენებით. თუ აქტივი აღარ არის კრედიტ-გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გაანგარიშება ისევ უბრუნდება ბრუტო საფუძველს.

(d) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია „ჯგუფის“ სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება ანგარიშსწორების თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით, „ჯგუფის“ სამუშაო ვალუტაში. უცხოური ვალუტით მიღებული ამონაგები ან ზარალი ფულად ერთეულებზე წარმოადგენს პერიოდის დასაწყისში არსებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული მოქმედი ვალუტის ამორტიზირებული ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებული ღირებულების სხვაობას.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში რომლებიც ფასდება ისტორიული ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტირებით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(e) დასაქმებულთა გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმის ფარგლებში, თუ „ჯგუფს“ ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ხსენებული თანხა თანამშრომლის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად, და როდესაც ხსენებული ვალდებულება შესაძლებელია საიმედოდ იქნას შეფასებული.

(f) მოგების გადასახადი

ზოგადად, მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე გადასახადს.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, აგრეთვე, წინა წლის საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი კორექტირება. მიმდინარე გადასახადი აგრეთვე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ გადასახადს.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და მოქმედებს საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში მოგვიანებით შევა.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა რომლისთვის არის გადახდილი დივიდენდები. დივიდენდების განაწილებაზე საგადასახადო ვალდებულების თანხა ანგარიშდება, როგორც წმინდა განაწილებული თანხის 15/85.

საგადასახადო ვალდებულების ჩათვლა გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებზე შესაძლებელია მოგების გადასახადზე, რომელიც გადაიხდება გაუნაწილებელ მოგებაზე 2008-2016 წლებში, თუ ამგვარი მოგება განაწილდება 2017 წელს ან შემდგომ წლებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განსაზღვრულია მოგების გადასახადის დარიცხვა გარკვეულ გარიგებებზე რომლებიც არ უკავშირდება პირის ეკონომიკურ საქმიანობას, უსასყიდლო მიწოდებებზე და დაშვებულ ფარგლებს გარეთ წარმომადგენლობით ხარჯებზე. კომპანია ამგვარი ოპერაციების დაბეგვრას ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებს გარეთ განიხილავს და მათ აღრიცხავს, როგორც მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადებს.

(g) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის ღირებულება ეფუძნება FIFO მეთოდის პრინციპს და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებასა და გადამუშავებაზე და პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია მარაგების მოცემულ ადგილსა და მოცემულ მდგომარეობაში მოსაყვანად. წარმოებული მარაგების და დაუსრულებელი წარმოების შემთხვევაში, ღირებულება მოიცავს წარმოების ზედნადები ხარჯების შესაბამის წილს ჩვეულებრივი სამუშაო სიმძლავრის საფუძველზე.

ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას გამოკლებული სავარაუდო დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

(h) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და აკუმულირებული გაუფასურების ზარალი. აქციონერის მიერ შენატანის სახით განხორციელებული ძირითადი საშუალებები თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება. ძირითადი საშუალებების თვითღირებულება ფასს-ის მიღების თარიღისთვის (2008 წლის 1 იანვარი), განისაზღვრა მოცემულ თარიღში მის სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით („მოსალოდნელი ღირებულება“).

თვითღირებულება მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის შეძენას. საკუთარი ძალებით აშენებული აქტივის თვითღირებულება მოიცავს მასალის და პირდაპირი შრომის ხარჯებს, ნებისმიერი სხვა ხარჯს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას მისი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად, დემონტაჟის და მისი გატანის ხარჯებს, ასევე იმ სამუშაო მოედნის აღდგენას, რომელზედაც ისინი არის განთავსებული, ასევე კაპიტალიზირებულ სასესხო ხარჯებს. შესყიდული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც შესაბამისი მოწყობილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება ამ მოწყობილობის ნაწილის სახით.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული მომსახურების ვადა აქვს, ისინი აღირიცხება როგორც ძირითადი საშუალების ცალკე ერთეული (ძირითადი კომპონენტი). გაზის ტურბინებთან დაკავშირებული კაპიტალური დანახარჯები, რომელიც შესულია „ელექტროენერგიის გამომუშავების ერთეულის“ ჯგუფში, რომლის ჩატარება ივარაუდება ყოველ 5-8 წელიწადში ერთხელ, აღირიცხება ცალკე კაპიტალური რემონტის კომპონენტად და ცვეთა ერიცხება ძირითადი აქტივისგან განცალკევებით.

ძირითადი საშუალების ერთეულის გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობისა და მისი საბალანსო ღირებულების შედარებით და აღიარდება წმინდა სახით მოგებაში ან ზარალში სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯების ფარგლებში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალების კომპონენტის ჩანაცვლების ხარჯი აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ კომპონენტში განვითარებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი „ჯგუფში“ შემოედინება, და მისი ღირებულება სანდოდ შეიძლება შეფასდეს. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზა მდგომარეობაში მიყვანის მომენტიდან, ან ორგანიზაციის შიგნით შექმნილი აქტივებისთვის, იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი დასრულდება და გამოსაყენებლად მზად იქნება. ცვეთა ანგარიშდება აქტივის ღირებულებას გამოკლებული ნარჩენი ღირებულება.

ცვეთა ზოგადად აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით ძირითადი საშუალების ერთეულის თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, რადგან ეს მეთოდი საუკეთესოდ ასახავს აქტივის გამოყენების შედეგად მისაღები მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება იჯარის ვადასა და მათ მომსახურების ვადას შორის უმცირესით, გარდა შემთხვევებისა როდესაც გონივრულად მოსალოდნელია, რომ „ჯგუფი“ იჯარის ვადის ბოლოსთვის მიიღებს საკუთრების უფლებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი, ძირითადი საშუალებების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადა, მიმდინარე და შესადარის პერიოდში, შემდეგია:

– გაზისა და ნავთობის მილსადენები	30-35 წელი;
– შენობა-ნაგებობები	50 წელი;
– ელექტროენერგიის გამომუშავების ერთეული	25 წელი;
– ნავთობის ჭაბურღილები	4-9 წელი;
– მნიშვნელოვანი კაპიტალური დანახარჯები	8 წელი;
– მანქანა დანადგარები	2-14 წელი;
– სხვა	1-6 წელი.

ცვეთის მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და ნარჩენი ღირებულების გადახედვა ხორციელდება ყოველ საანგარიშგებო წელს და ისინი საჭიროებისამებრ კორექტირდება.

(i) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

„ჯგუფი“ სავაჭრო მოთხოვნებს და სასესხო ფასიან ქაღალდებს თავდაპირველად აღიარებს მათი წარმოშობის თარიღისთვის ყველა სხვა ფინანსური აქტივის და ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხორციელდება გარიგების თარიღისთვის, როდესაც „ჯგუფი“ ხდება ფინანსური ინსტრუმენტის ხელშეკრული მხარე.

ფინანსური აქტივი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის არის სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რომელსაც ემატება (თუ აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული), გარიგების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული მის ყიდვასთან ან გამოშვებასთან. სავაჭრო მოთხოვნა, მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტის გარეშე თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით.

(ii) კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას აქტივი კლასიფიცირდება: ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

„ჯგუფის“ მიერ არ ხდება ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია, მათი თავდაპირველი აღიარების შემდგომ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფი ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა დაკავშირებული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირდება ბიზნეს მოდელის შეცვლის შემდეგ საანგარიშგებო პერიოდის პირველ დღეს.

ფინანსური აქტივი აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობებსა და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და ძირ თანხაზე დაგროვილი დაუფარავი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში აღიარდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობებსა და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და ძირ თანხაზე დაგროვილი დაუფარავი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციების, რომლებიც არ არის გამიზნული ვაჭრობისთვის, თავდაპირველი აღიარებისას „ჯგუფს“ აქვს შეუქცევადი არჩევანის უფლება, სხვა სრულ შემოსავალში ასახოს ინვესტიციის სამართლიან ღირებულებაში განხორციელებული შემდგომი ცვლილებები. ეს არჩევანი კეთდება კონკრეტული ინვესტიციების მიხედვით.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ ავლინებით, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ეს ვრცელდება ყველა წარმოებულ ფინანსურ აქტივზე. თავდაპირველი აღიარებისას, „ჯგუფს“ შეუქცევადი არჩევანის უფლება აქვს, ფინანსური აქტივი, რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასების კრიტერიუმებს, შეაფასოს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ამგვარი კლასიფიკაცია მთლიანად აღმოფხვრის, ამ მნიშვნელოვნად ამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამოებს, რომლებიც სხვაგვარად წარმოიშვებოდა.

ფინანსური ვალდებულებები – კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და ამონაგები და ზარალი

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება - ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის არის სავაჭროდ გამიზნული, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად პირველადი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა შემოსულობით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და უცხოური გაცვლითი კურსიდან ამონაგები და ზარალი აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში. ნებისმიერი ამონაგები ან ზარალი აღიარების შეწყვეტისას, ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ცვლილება

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები იცვლება, „ჯგუფმა“ უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა შეცვლილი აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „მნიშვნელოვანი ცვლილება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

„ჯგუფი“ ახორციელებს მოცემული ცვლილების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები შეცვლილი ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. „ჯგუფი“ აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს „ჯგუფი“ ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

„ჯგუფი“ ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა სასესხო უზრუნველყოფაში;
- ცვლილებები ფინანსური აქტივის პირობებში, რომლებიც იწვევს შეუსაბამობას „მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდების“ კრიტერიუმებთან.

თუ ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული, შეცვლილი აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები, არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ ცვლილების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, „ჯგუფი“ ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს როგორც მოგებისა ან ზარალის კორექტირებას მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა ითვლება როგორც შეცვლილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს შეცვლილი ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და არის ამორტიზირებული შეცვლილი ფინანსური აქტივის დარჩენილი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

„ჯგუფი“ წყვეტს ფინანსურ ვალდებულების აღიარებას როდესაც იცვლება მისი პირობები და არსებითად განსხვავდება შეცვლილი ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი შეცვლილ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა ჩამოწერილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ შეცვლილ პირობებიან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ ცვლილება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას „ჯგუფი“ იყენებს ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ საადრიცხვო პოლიტიკას. როდესაც ცვლილება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას „ჯგუფი“ აღიარებს ესეთი ცვლილებიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, ცვლილების (გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა კორექტირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან, მაგალითად, ცვლილებები ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთებში ინიცირებული ბანკების მიერ, ეროვნული ბანკის ძირითადი საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო, თუ სესხის ხელშეკრულების პირობები აძლევს ბანკებს ამის უფლებას და „ჯგუფს“ აქვს უფლება დაეთანხმოს გადახედილ საპროცენტო განაკვეთს ან დააბრუნოს სესხი ჯარიმების გარეშე. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, „ჯგუფი“ ხელმძღვანელობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც.

„ჯგუფი“ აფასებს არსებითია თუარა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. „ჯგუფი“ ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ფინანსური ვალდებულების ვალუტის ცვლილება;
- ცვლილებები გირაოში ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებები;
- კონვერტაციის პირობის დამატება;
- ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციის ცვლილება.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების ცვლილება მიჩნეულია ვალის განულებად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აღიარებულია ვალის განულებიდან მიღებულ შემოსულობასა ან ზარალში. თუ გაცვლა ან ცვლილება არ არის მიჩნეული ვალის განულებად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზირებულია შეცვლილი ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

(iv) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

„ჯგუფი“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც „ჯგუფი“ არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და „ჯგუფი“ არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე კონტროლს.

„ჯგუფი“ დებს გარიგებებს რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“

ფინანსური ვალდებულებები

“ჯგუფი” წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მის სახელშეკრულებო ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. “ჯგუფი” ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები იცვლება და შეცვლილი ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც კორექტირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი არაფულადი აქტივების გადაცემის და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(v) ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც ჯგუფს აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

(j) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც, კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციების და სააქციო ოფციონების გამოშვებასთან დაკავშირებული პირდაპირი მზარდი ხარჯები აღიარდება, როგორც გამოქვითვა კაპიტალიდან, ნებისმიერი გადასახადების გამოკლებით.

სააქციო კაპიტალის ზრდა

სააქციო კაპიტალის ზრდა ხორციელდება ახალი აქციების გამოშვების გზით. სააქციო კაპიტალის გაზრდისას ნებისმიერი სხვაობა სააქციო კაპიტალის რეგისტრირებულ თანხასა და შეტანილი აქტივების სამართლიან ღირებულებას შორის აღიარდება კაპიტალის ცალკე კომპონენტის სახით, როგორც სამართლიანი ღირებულების კორექტირების რეზერვი მესაკუთრეთა არაფულადი შენატანებისთვის ან დამატებით შეტანილი კაპიტალი.

(k) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები და სახელშეკრულებო აქტივები

„ჯგუფი“ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ზარალის რეზერვებს აღიარებს:

- ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე

„ჯგუფი“ აღრიცხავს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით, შემდეგი შემთხვევების გარდა როდესაც აღიარდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სავალო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი ანგარიშგების თარიღისთვის; და
- სხვა სავალო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომლებისთვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე და სახელშეკრულებო აქტივებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისათვის, ჯგუფი ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი დამატებითი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, ჯგუფის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

„ჯგუფი“ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის ზრდას მნიშვნელოვნად მიიჩნევს, როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

„ჯგუფი“ ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ როდესაც:

- არ არის სავარაუდო რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს „ჯგუფის“ მიმართ, „ჯგუფის“ მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ესეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსურ აქტივი 90 დღეზე მეტია ვადაგადაცილებული;

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი რომელიც წარმოიშობა ნებისმიერი შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას საანგარიშო თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევების შედეგად (ან უფრო მოკლე პერიოდში თუ ინსტრუმენტის მოსალოდნელი სასიცოცხლო ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მაქსიმალურ პერიოდად, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისას განიხილება მაქსიმალური სახელშეკრულებო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც „ჯგუფი“ დამოკიდებულია საკრედიტო რისკზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალების ალბათობით შეწონილი შეფასება. საკრედიტო ზარალები ანგარიშდება, როგორც ყველა ფულადი დანაკლისის (სხვაობა ხელშეკრულების მიხედვით ჯგუფის მიერ მისაღებ ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც მოელის „ჯგუფი“) მიმდინარე ღირებულება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირდება ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

კრედიტით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, „ჯგუფი“ აფასებს გაუფასურდა თუ არა კრედიტით ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდები. ფინანსური აქტივი არის (საკრედიტო რისკით) გაუფასურებული, როდესაც მოხდა ერთი ან მეტი მოვლენა, რომელიც უარყოფით ზეგავლენას ახდენს ფინანსური აქტივის მომავალ ფულად ნაკადებზე.

ფინანსური აქტივის კრედიტით გაუფასურების მტკიცებულებები მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- ემიტენტის ან მსესხებლის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად დეფოლტის ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;

- „ჯგუფის“ მიერ სესხის ან წინასწარ გადახდილი თანხების რესტრუქტურისა იმ პირობებით, რომლებსაც „ჯგუფი“ სხვა შემთხვევებში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებლის მიერ გაკოტრების პროცედურის, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესის დაწყება; ან
- უზრუნველყოფის აქტიური ბაზრის გაქრობა ფინანსური სირთულეების გამო.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ასახვა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების ზარალის რეზერვები გამოიქვეთება აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის ბრუტო საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება, როდესაც „ჯგუფს“ არ გააჩნია ფინანსური აქტივის მთლიანად ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინი. ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის, „ჯგუფს“ აქვს განსაზღვრული ბრუტო საბალანსო ღირებულების ჩამოწერის პოლიტიკა, როდესაც ფინანსური აქტივი არის 365 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული, მსგავსი აქტივების ამოღების ისტორიული გამოცდილების საფუძველზე. კორპორატიული მომხმარებლების შემთხვევაში „ჯგუფი“ ახორციელებს ვადებისა და ჩამოწერის ოდენობების ინდივიდუალურ შეფასებას, იმის გათვალისწინებით არსებობს თუ არა აქტივის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერილი თანხებიდან ჯგუფი არ ელოდება მნიშვნელოვან აღდგენას. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება მაინც გახდეს სააღსრულებლო საქმიანობის საგანი იმისათვის, რომ მოვიდეს „ჯგუფის“ თანხების ამოღების პროცედურებთან შესაბამისობაში.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების გაუფასურების ზარალი ანგარიშდება ინვესტიციის ანაზღაურებადი ღირებულების მის საბალანსო ღირებულებასთან შედარების გზით. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში და აღდგება თუ მოხდა დადებითი ცვლილება შეფასებებში, რომლებიც გამოყენებულ იქნა ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისთვის.

(ii) არაფინანსური აქტივები

„ჯგუფის“ არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების გარდა) განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის აღდგენადი ღირებულება. გაუფასურების ზარალი აღიარდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეული (CGU) აღემატება მის მოსალოდნელ აღდგენად ღირებულებას.

გაუფასურების ტესტირების მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების შემოძინების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობისთვის, რომლებიც დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ფულადი შემოძინებისგან ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულისგან.

აქტივის ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის აღდგენადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით) ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში. ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი დაერიცხება აქტივის ერთეულს პროპორციული გადანაწილების საფუძველზე და შეამცირებს მათ საბალანსო ღირებულებას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება თითოეული ანგარიშგების თარიღში, ნებისმიერ მინიშნებაზე იმისა, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება, თუ აღგილი აქვს ცვლილებას აღდგენადი თანხის განსაზღვრებაში გამოყენებულ შეფასებებში. გაუფასურების ზარალი აღდგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც იქნებოდა განსაზღვრული, ცვეთისა და ამორტიზაციის გამოკლებით, თუ აღგილი არ იქნებოდა გაუფასურების ზარალის აღიარებას.

(l) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება, როცა „ჯგუფს“ აქვს სანდოდ შეფასებადი, სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დაფარვას დასჭირდება ეკონომიკური სარგებლის გადინება. ანარიცხები განისაზღვრება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით გადასახადებამდე არსებული განაკვეთით, რაც ასახავს ფულის დროით ღირებულების და, ვალდებულებისთვის დამახასიათებელი რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს. დისკონტირების დაბრუნება აღიარდება ფინანსური ხარჯის სახით.

(m) იჯარები

ხელშეკრულების დადებისას, „ჯგუფი“ განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად გადასცემს თუ არა ხელშეკრულება კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას, „ჯგუფი“ ფასს 16-ის იჯარის განმარტებას იყენებს.

(i) როგორც მოიჯარე

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის, „ჯგუფს“ არ აქვს არსებითი საიჯარო ხელშეკრულებები, რომლებშიც ის მოქმედებს როგორც მოიჯარე. „ჯგუფმა“ აირჩია არ აღიაროს აქტივები გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებები მოკლევადიანი იჯარებისთვის. „ჯგუფი“ აღნიშნულ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით, წრფივი მეთოდით იჯარის ვადის მანძილზე.

(ii) როგორც მეიჯარე

საიჯარო კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დადებისას ან მისი ცვლილებისას, „ჯგუფი“, ხელშეკრულებაში მოცემულ ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე ანაწილებს მათი შესაბამისი დამოუკიდებელი ფასების მიხედვით

როდესაც „ჯგუფი“ მეიჯარეს სახით მოქმედებს, ის იჯარის დაწყებისას განსაზღვრავს იჯარა ფინანსურ იჯარას წარმოადგენს თუ საოპერაციო იჯარას.

თითოეული იჯარის კლასიფიკაციისთვის, „ჯგუფი“ ახორციელებს ზოგად შეფასებას იმისა გადასცემს თუ არა იჯარა შესაბამისი აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას. თუ კი, მაშინ იჯარა ფინანსური იჯარის სახით კლასიფიცირდებოდა; თუ არა, მაშინ საოპერაციო იჯარის სახით. აღნიშნული შეფასების ნაწილის სახით, „ჯგუფმა“ გაითვალისწინა გარკვეული მაჩვენებლები, მაგალითად იყო თუ არა იჯარა აქტივის ეკონომიკური სასიცოცხლო ვადის ძირითადი ნაწილისთვის.

თუ გარიგება შეიცავს საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტებს, მაშინ „ჯგუფი“ ხელშეკრულებაში მოცემული ანაზღაურების გასანაწილებლად იყენებს ფასს 15-ს.

„ჯგუფი“ იჯარაში წმინდა ინვესტიციაზე იყენებს ფასს 9-ის აღიარების შეწყვეტის და გაუფასურების მოთხოვნებს. „ჯგუფი“ შემდგომ რეგულარულად მიმოიხილავს იჯარაში ბრუტო ინვესტიციის გამოთვლაში გამოყენებულ სავარაუდო არა-გარანტირებულ ნარჩენ ღირებულებებს.

„ჯგუფი“ საოპერაციო იჯარების ფარგლებში მიღებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს შემოსავლის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე, „სხვა შემოსავლის“ კატეგორიაში.

(n) სეგმენტის ანგარიშგება

საოპერაციო სეგმენტი წარმოადგენს „ჯგუფის“ კომპონენტს, რომელიც ჩართულია ბიზნეს საქმიანობაში, საიდანაც ის იღებს შემოსავალს ან გასწევს ხარჯებს, იმ ხარჯებისა და შემოსავლების ჩათვლით, რომლებიც „ჯგუფის“ ნებისმიერ სხვა კომპონენტებთან დადებულ გარიგებებს უკავშირდება. ყველა საოპერაციო სეგმენტის საოპერაციო შედეგები რეგულარულად არის მიმოხილული გენერალური დირექტორის მიერ, რათა მიიღოს გადაწყვეტილებები სეგმენტზე რესურსების განაწილებაზე და მისი საქმიანობის შედეგების შეფასებისთვის და რომელთათვისაც ხელმისაწვდომია დისკრეტული ფინანსური ინფორმაცია.

სეგმენტის შედეგები, რომელთა ინფორმირებაც ხდება გენერალური დირექტორისთვის, მოიცავს სეგმენტზე პირდაპირ მიკუთვნებად ერთეულებს.

32. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები რომლებიც 2020 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენება ნებადართულია); თუმცა „ჯგუფს“ ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შეცვლილი სტანდარტები მიღებული წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი კორექტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას „ჯგუფის“ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- კაბალური ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის კორექტირებები)
- საპროცენტო განაკვეთის ბენჩმარკის რეფორმა - ეტაპი 2 (ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16-ის კორექტირებები).
- COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო კონცესიები (ფასს 16-ის კორექტირება).
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი გამიზნულ გამოყენებამდე (ბასს 16-ის კორექტირებები).
- კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ფასს 3-ის კორექტირებები);
- ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის კორექტირებები).
- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები და ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებების კორექტირებები

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N210740595



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

15.07.2021 წ

სანოტარო მოქმედების დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

ლანა მაჭავარიანი

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ. თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. N1, სადარბაზო IV,
სართული 2

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

(+995) 595 10 16 08

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

57694431128421



მე, ნოტარიუსი ლანა მაჭავარიანი, რომლის სანოტარო ბიუროს მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. N1, სადარბაზო IV, სართული 2-ში გამოწმებ ინგლისური ენის დიპლომირებული მთარგმნელის სოფიო კაპანაძის (დაბადებული: 08.02.1991 წ., დაბადების ადგილი: ქ. თბილისი, პირადი ნომერი: 01008047830, პირადობის მოწმობა № 113IL59605, გაცემულია 12.06.2015 წ., მცხოვრები: თბილისი, ამაშუკელის 16) ხელმოწერის ნამდვილობას დოკუმენტის - სს" საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის"-ს 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება - ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე თარგმანზე. თარჯიმანმა წარმოადგინა ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი: დიპლომი M № 19GE000656KAPS001G, გაცემულია 12.08.2019 წ., BRITISH COUNCIL, IELTS TEST მიერ, თარგმანმცოდნეობის საქმის (ინგლისური ენა) სპეციალობით.

მე, თარჯიმანი გავაფრთხილე თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებებისა და იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს, თარჯიმანმა ჩემს წინაშე განაცხადა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყო ზუსტი თარგმანი. მისთვის ცნობილია, რომ პასუხსაგებს თარგმანის სისწორეზე და ხელი მოაწერა ჩემი თანდასწრებით. გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური (წინამდებარე დოკუმენტის 6 ეგზემპლარზე შესრულებული 396 ხელმოწერის დამოწმებისათვის) 792 ლარი, (თანხმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილების N507-ის 31-ე მუხლისა), აგრეთვე დ.დ.გ 142.56 ლარი (თანხმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (თანხმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილების N507-ის 39-ე მუხლისა); სულ გადახდილია 936(ცხრაას ოცდაექვსმეტი) ლარი და 56 (ორმოცდათექვსმეტი) თეთრი.

ნოტარიუსი

ლანა მაჭავარიანი



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

მეცხრეული და დანაწილი
შეძახა
ნოტარიუსი
ლანა მამუკაშვილი

